ნავთობსადენის გადარჩენა ნავთობსადენით გადარჩენისთვის A8

კვირის TV პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 6 დეკემბერი, 2002 წელი. №187

ფასი 50 თეთრი

არ იწვიმო, რა, ცაო!

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

სტიქიასთან ბრძოლაში არმიაც ჩაერთო.

ზაზა ფაჩუაშვილი

აღმოსავლეთიდან მოვარდნილი გრიგალისებური ქარიშხალი ორი დღის განმავლობაში მძვინვარებდა ქუთაისი-ფოთის მიმართულებით და მანამდე არ მოისვენა, სანამ საქართველოს პრეზიდენტს სტიქიასთან ბრძოლის სამთავრობო კომისია არ შეაქმნევინა. ფოთში ამბობენ, კიდევ კარგი, ზღვიდან არ უბერავდა, თორემ შტორმი წაგვიღებდაო.

სრულებითაც არ არის გადაჭარბებული ნათქვამი და ამაში სამთავრობო კომისია თავად დარწმუნდა, როცა სტიქიით დაზარალებული დასავლეთ საქართველო მოინახულა.

ქუთაისი

“ასეთი ქარი ქუთაისში არ ყოფილა, დედა, დალეწა და დაამტვრია ყველაფერი. ფანჯარა არ დატოვა მთელი”, - დოლაბებივით უსვამდნენ ხელს ხელზე თავწაკრული ქუთაისელები.

“მესტეკლოიებმა გეიხარეს ბ-ჯო! დადიენ და სვამენ ამ სტეკლოებს. ფული ხვარ მიცეს ამ ქარს, ნეტა!” – ნამეტანი სერიოზულობით ხუმრობდა ზოგი იხტიბარგაუტეხელი.

“ეს შიფერი სულ კრიშიდან გადმოყარა და ჩვენი ფანჯრებიც ჩაამტვრია,” – დიდი ამბით ყვებოდა

გაგრძელება A2 გვერდზე

მინისტრები იცვლებიან, ენერგოკრიზისი კი - რჩება

მთავრობას თავისი უყურადღებობით ხალხი ქუჩაში გამოჰყავს

მაია ურუშაძე

”მე შეძრწუნებული ვარ იმით, რაც მოვისმინე!” – განაცხადა გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, ენერგეტიკაში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩუბინიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენების შემდეგ. ***”ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, რა უბედურება გვჭირს?”*** – კითხულობდნენ პარლამენტარები და საკუთარ კითხვებს თავადვე სცემდნენ პასუხს. ***”ამ განუკითხაობისთვის პასუხისმგებლობა მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა დაეკისროს,”*** – მიიჩნევდნენ ისინი. ირაკლი ჩუბინიშვილი კი გუშინ მხოლოდ იმ ”საქმეებზე” საუბრობდა, რომელთა უმეტესობაც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ უკვე დიდი ხანია, რაც პროკურატურისა და პრეზიდენტის წინაშე დაალაგა.

”24 საათი” არაერთხელ წერდა ენერგოსექტორში გამეფებული კორუფციის შესახებ, რის გამოც მოსახლეობას – დენი, ელექტროსადგურებს კი – სათანადო დაფინანსება დღემდე ვერ ეღირსა. როგორც ჩანს, ენერგეტიკაში უთავბოლო ქაოსი სუფევს, ხელისუფლება კი ამ ქაოსის წინაშე უსუსურია.

გაგრძელება A8 გვერდზე

ჩეჩნების ექსტრადირება კანონიერია - ასეთია სასამართლოს ვერდიქტი

ჩეჩნების ადვოკატები, გუშინ სასამართლოში ყველანაირად ცდილობდნენ საკუთარი კლიენტების დაცვას. ვითარება ისე დაიძაბა, რომ ადვოკატებმა მოსამართლე არაობიექტუროობაში დაადანაშაულეს და პროტესტის ნიშნად უარი თქვეს მოვალეობის შესრულებაზე - სასამართლო დარბაზი დემონსტრაციულად დატოვეს.

ხათუნა ჭანგირაშვილი

პროცესის დაწყებისთანავე, ექსტრადიციისთვის გამზადებული სამი ჩეჩენის ადვოკატებმა პირველივე შუამდგომლობით, მოსამართლეს რუსეთიდან გადმოგზავნილი მასალებისა და საქმის გაცნობისთვის, მინიმუმ, ხუთდღიანი ვადა მოსთხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს. სახელმწიფო ბრალმდებელმა პროცესის დახურულად გამოცხადების შუამდგომლობა დააყენა, რამაც ადვოკატთა და დარბაზში მყოფ ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. **“ჩაკეტილ კაბინეტებში ასეთი საქმეების განხილვა არ შეიძლება. ჩეჩნების ექსტრადიციის საკითხი საჯაროდ უნდა გადაწყდეს”,** – ასეთი იყო ადვოკატების მოთხოვნა, რასაც მოსამართლეც დაეთანხმა და ამით პროკურორის შუამდგომლობას, პროცესის დახურულად გამოცხადების შესახებ, უარი ეთქვა. მიუხედავად მოსამართლის ამ გადაწყვეტილებისა, ადვოკატებმა თავად მოსამართლის აცილების საკითხი დააყენეს. დაახლოებით, ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ მოსამართლემ ჩეჩენთა საქმე წარმოებაში დაიტოვა და ადვოკატებმაც სწორედ ამის შემდეგ დარბაზი დატოვეს. მოსამართლე არკად პარუნიანმა კანონით დადგენილი ვადა არ დაარღვია და დაცვის გარეშე დარჩენილ სამ ჩეჩენ ბრალდებულს – რუსლან გელოგაევს, ხუსეინ ალეხანოვსა და რუსტამ ელიხაჯიევს ორ საათში სახაზინო ადვოკატები დაუნიშნა.

გაგრძელება A7 გვერდზე

„ეი-ი-ესი” საქართველოდან წასვლას არ აპირებს

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომაზე გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ გაკოტრების პირას მისული “ეი-ი-ეს” კორპორაცია საქართველოს ტოვებს, ხოლო მისი ქართული შვილობილი მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას, ბევრისთვის, უპირველეს ყოვლისა კი, თავად “ეი-ი-ეს თელასისთვის” სრულიად მოულოდნელი და მტკივნეული აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, რომ ამერიკული კომპანიის შესახებ ეს განცხადება “იტერას” წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტის შემდეგ გაკეთდა. ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება, თუ რა და ვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა პრეზიდენტი შევარდნაძე. “ეი-ი-ესი” ფინანსური სირთულეების არსებობას, შესაბამისად კი, საქართველოს დატოვების გადაწყვეტილებას კატეგორიულად უარყოფს და “იტერასთან” არც თუ სახარბიელო კონტექსტში მოხსენიებასაც აპროტესტებს.

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს ენერგეტიკის სფეროსთვის ერთადერთი რეალური გადამხდელის - “ეი-ი-ეს თელასის” წინააღმდეგ გაკეთებული განცხადების უკან, თავად კომპანიაში სერიოზული ძალების დაიტრესებას ხედავენ. **“ცხადია, რომ ჩვენს წინააღმდეგ სერიოზული კამპანია მიმდინარეობს. ბევრს ესიზმრება, რომ “ეი-ი-ესი” საქართველოდან წავა და “თელასში” ფულის კეთებას ისევ ისე შეძლებენ, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. როგორც ჩანს, ამ ძალებმა შეძლეს პრეზიდენტზე ზემოქმედების მოხდენა”,** - განაცხადა “ეი-ი-ეს თელასის” ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა “24 საათთან” საუბრისას. იგი მიიჩნევს, რომ “ეი-ი-ეს თელასის” “დაძირვით” ბევრია დაინტერესებული, თუმცა, იმ ძალების ვინაობას, რომელთა გავლენა ქვეყნის პრეზიდენტზეც კი ვრცელდება, არ აკონკრეტებს. ამ ძალების სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი იმ კომპანიის წინააღმდეგ გამოდიან, რომელსაც მუდმივად ლობირებს აშშ-ს ადმინისტრაცია და სავალუტო ფონდი.

სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტის, ვლადიმერ პაპავას აზრით, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მიერ ნატო-ში გაწევრიანების საკითხის ოფიციალურად დაყენებისა და რუსეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობების ფონზე, პრეზიდენტს არავითარ შემთხვევაში

გაგრძელება A4 გვერდზე

მართული ანარქია - ენერგეტიკის მართვის სტილი

გიორგი ასანიშვილი

ანარქისტების ცნობილი დევიზის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ და მას დღევანდელ ქართულ სინამდვილეს მოვარგებთ, თამამად შეგვეძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოში ”კორუფცია - წესრიგის დედაა”. ხელისუფლების მიერ არჩეული მართვის სტილის ანარქიზმთან შედარება და გაიგივება სულაც არ არის უსაფუძვლო და ამა თუ იმ მოსაზრების მხოლოდ მხატვრულად შესალამაზებელი ხერხი - ყველა ისედაც კარგად ხედავს, რომ ქვეყანაში სტაბილურობის (”წესრიგის”) საფუძვლად არჩეულია არა კანონის უზენაესობა, არამედ კლანური ინტერესების იმპერატიულობა, რაც განაპირობებს კიდეც ქაოსის ”უალტერნატივობას”. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ კლანური ინტერესების შეჯახებებისა და კორუფციული გარიგებების უწყვეტ ჯაჭვზე იმსხვრევა ქართული სახელმწიფოებრიობის სიჯანსაღე. კლანურ-ანარქისტულ-კორუფციული მოდელი ”წარმატებით მუშაობს” თითქმის ყველა უწყებაში, დარგსა თუ სფეროში. და მაინც, მისი ძალა ყველაზე კარგად ენერგეტიკაში იგრძნობა. ეს ბუნებრივიც არის - ამ სექტორში დიდძალი ფული (საბიუჯეტოც და უცხოური ინვესტიციებიც) ტრიალებს და, აქედან გამომდინარე, ხელი ხელს უკეთესად ბანს. ***”ქვეყანა გვაქვს, მაგრამ ამ ქვეყანაში სახელმწიფო არ არსებობს”***, - გულწრფელად აღიარებს დეპუტატი ირაკლი ჩუბინიშვილი, რომელსაც, როგორც ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს, თავისი მოხსენების მომზადებისას, ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროცესებში ღრმად ჩახედვა მოუხდა. დარგში შექმნილი სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, რიგ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ის სათბობენერგეტიკის მინისტრის ფინანსურ დაინტერესებასაც ასახელებს და გენერალურ პროკურორს მოუწოდებს, ***”ამ საკითხს მიხედოს”.***

გაგრძელება A8 გვერდზე

ქართველი სამბისტი მსოფლიო ჩემპიონი გახდა B7

გიორგი გაბაშვილის ფოტო

მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები. მარჯვნივ მსოფლიო ჩემპიონი აკაკი ხანიშვილი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ცესკო უნდა შეიცვალოს, მაგრამ როგორ?

დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულების თანახმად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქმიანობის ვადა მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჰქონდა გაგრძელებული და ამ პერიოდში ყველა დონის არჩევნების ორგანიზატორი სწორედ იგი იყო. 30 ნოემბრის შემდგომ, მომავალ საპრალმენტო არჩევნებამდე, საქართველოში არანაირი არჩევნები აღარ იგეგმება. ამიტომ, პარლამენტმა სერიოზულად უნდა დაიწყოს ფიქრი იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაატარებს არჩევნებს მომავალი წლის შემოდგომაზე.

A2

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ენერგეტიკოსები საბანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოითხოვენ

"საქართველოში უმწვავესი ენერგეტიკული კრიზისი დაიწყო. ენერგოსისტემაში დეფიციტმა 70 პროცენტს მიაღწია. საქართველოში ენერგოკრიზისი ხელოვნურად არის შექმნილი ჩინოვნიკური სისტემით, რომელიც კერძო გამორჩენისათვის და არა ენერგეტიკის ინტერესებისათვის მუშაობს."- განაცხადა საქართველოს ენერგეტიკოსთა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა, გუშინ "საქენერგოში" გამართულ ენერგეტიკოსთა გაფართოებულ ფორუმზე.

A4

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ერაყში აკრძალული ქიმიური ნივთიერება აღმოაჩინეს

გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიამ ერაყში, ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე, აკრძალული ქიმიური ნივთიერება – იპრიტი (“მდოგვის გაზი”) აღმოაჩინა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის დიმიტრის პერიკოსის ინფორმაციით, გაზი საარტილერიო ჭურვებში იყო მოთავსებული. პარალელურად, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ის ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაში დარწმუნებულია. თავის მხრივ, ბაღდადმა გაერო-ს ინსპექტორთა მისიას აშშ-ს და ისრაელის ჯაშუშობაში დასდო ბრალი.

A5

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

თაბუკაშვილის №44 გამვლელებს კიდევ კარგა ხანს დაუფრთხობს

ორშაბათს მერიაში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ თაბუკაშვილის N44-ის მობინადრენი ავარიული სახლიდან ამ კვირაში უნდა გაიყვანონ. მერიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ზოდელავას დავალებები ფურცელზე არ რჩება, თუმცა, მერიამ ამ სახლის მობინადრეთა დაკმაყოფილება რომც მოინდომოს, მათთვის სასურველს ვერაფერს შესთავაზებს.

A6

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისი 14
ქუთაისი 18
ბათუმი 20
სოხუმი 17
ფოთი 19
თელავი 13
ზუგდიდი 19
გორი 12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.1661
გირვანქა სტერლინგი	3.3967
რუბლი	0.0680

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ენერგეტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 კვირის TV პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული და პერსონალური ცვლილებების წინადადებებს სოხუმის ლიდერს ვლადისლავ არძინბას, სავარაუდოდ, ორშაბათს, 9 დეკემბერს წარუდგენენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ახმედ ზაკაევმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ საქართველო სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას დაუშვებს, თუ დათანხმდება აგვისტოში საზღვარზე დაკავებული ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირებაზე.

"ჩეჩნების გადაცემა ხელს ვერ შეუწყობს კეთილმეზობლობის განმტკიცებას, შთამომავლობა ამას არ დაივიწყებს", - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დანიაში პატიმრობიდან გათავისუფლებული, იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერი ახმედ ზაკაევი კვირის ბოლომდე ჩამოაყალიბებს უახლოეს გეგმებს და ამ ქვეყანას დატოვებს, რათა გააგრძელოს ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის და თავდაცვის კომიტეტის დავალებების შესრულება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" სააქციო საზოგადოება "აზოტის" პრივატიზაციის წინააღმდეგი გამოდის.

ფრაქციის წევრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" და მისი საპარლამენტო წარმომადგენლობა შეეწინააღმდეგება "აზოტის" პრივატიზებაზე საბოლოო ხელშეკრულების გაფორმებას საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფ "იტერასთან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილო-კავკასიის რეგიონალური სამმართველოს შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი პუტოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2003 წელს რუსეთის საზღვარი საქართველოსთან ტექნიკური და საინჟინრო საშუალებებით გაძლიერდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობაში ხუთშაბათს პედაგოგების გაფიცვა დაიწყო, სამთვიანი სახელფასო დავალიანების გამო.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა კოდორის ხეობის შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსმა ნორა კვიციანმა, პედაგოგები უარს ამბობენ მუშაობაზე, ვიდრე ხელფასების დავალიანება მთლიანად არ დაიფარება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის სამხედროების მიერ საქართველოში მიწითა და უძრავი ქონებით სარგებლობისათვის გადასახადის გადახდის ვადები და მექანიზმები დეკემბრის ბოლოს განიხილება ორი ქვეყნის სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მოლაპარაკებებზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ახალქალაქში დისლოცირებული, რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის სარდალმა, პოლკოვნიკმა ევგენი აჩალოვმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ "არარეალურად" მიიჩნევს ქართული მხარის პოზიციას, რომელიც ამ ბაზის ლიკვიდაციას სამ წელში ითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტმა უნდა გაიაროს, საქართველოს მკვიდრი რუსეთის მოქალაქეები ადგილობრივ მოსახლეობაში მიზანმიმართულ პროპაგანდას ეწევიან მილსადენის მშენებლობის დისკრედიტაციის მიზნით.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლის რეგიონში ლევან მამალაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში დღეს გამართული ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა იყო 29 ნოემბერს გალის აფხაზური ადმინისტრაციის შენობაში მომხდარი აფეთქება.**მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დეკემბრისათვის დანიშნული უკრაინის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი, პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ხელმძღვანელობით, დეკემბრის მესამე დეკადისთვის გადაიდო. **კავკას-პრესი.**

არ იწვიმო, რა, ცაო!

პირველი გვერდიდან

თავგადასავალს ნამტვრევების გორაზე მოხტუნავე ბავშვი.

"ჩვენი ფანჯრები კიდე არ დოუმტვრევია, მარტო ჟოლობი ჩამოაგდო," – ეჯიბრებოდა მეორე.

ასე აალაპარაკა დაზარალებული ხალხი დაუპატიჟებელმა ქარმა, რომლის სიჩქარე მართლაც კოსმოსური – 40-42 მ/წმ ყოფილა. სამთავრობო კომისიამ, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობს, მუშაობა ხალხთან შეხვედრებით დაიწყო და ბევრი საცოდაობაც მოისმინა. ზოგი ბებია ისე საწყლად ტიროდა, კაცი იფიქრებდა, ოღონდ ეს გაჩერდეს და მთელი ზამთარი გულის ჯიბით ვატარებო; მაგრამ რამდენს ეყოფა ასეთი პატარა ჯიბე.

წინასწარი მონაცემებით, ქუთაისში 4,5 მილიონი ლარის სამუშაოებია ჩასატარებელი. დაზიანებულია კერძო სექტორი, განათლების ობიექტები, სამედიცინო დაწესებულებები. 800 მაღლივი საცხოვრებელი სახლიდან 215 დაზიანებულია. გადახდილია 140 ათასი კვ/მ სახურავი. ჩამტვრეული ფანჯრების რაოდენობა ოფიციალურად არავის დაუთვლია, მაგრამ არც იმ ქალბატონის ნათქვამი გამოდგა სწორი, "სტეკლო" აღარ შერჩა ფანჯარასო, რომ ამბობდა.

საგრძნობლად დაზიანებულა ქალაქის ელექტრომეურნეობა. ქუთაისის ელექტროგადაცემის საქსელო საწარმოს დირექტორის ზურაბ მიქაბაძის თქმით, ჯერ არ ყოფილა, რომ ერთი და იგივე ხაზი ხუთ ადგილას გამწყდარიყოს. აღდგენითი სამუშაოები ოპერატიულად დაიწყო, მაგრამ სამუშაო ძალიან ბევრია. მთელი მეურნეობის აღდგენას 200-240 ათასი ლარი დასჭირდება. ცალკე ქვესადგურებია გასარემონტებელი. ამ ყოველივეს გამო ქუთაისს კიდევ უფრო გაუჭირდა. განსაკუთრებით აუტანელია უწყლობა. წყალი ცალკეულ უბნებში ცისტერნებით შეაქვთ. თუმცა, ხალხი კომისიას სულ სხვა რამეს ევედრებოდა: **" მშივრები ვიქნებით, ყველაფერს ავიტანთ, ოღონდ სახლები გადაგვიხურეთ, სანამ წვიმები დაიწყება, თორემ სულ მთლად დავიღუპებით."**

ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი ყველას ერთი და იგივე ინფორმაციით ამშვიდებდა:

"გარკვეული თანხა უკვე გამოყოფილია. სამი ტრაილერი ბათუმში გავაგზავნეთ შიფერის ჩამოსატანად. ჩამოიტანს და კიდევ წავა. ხის მასალას ადგილზე ვამზადებთ. თქვენც უნდა მოგვეხმაროთ და ერთად გავაკეთოთ საქმე."

ასეთი სურათი ფოთის ქუჩებში არც თუ იშვიათია.

ჭომა

ჭომა ქუთაისის ძირძველი უბანია და ერთ დროს რიონის პირას ყოფილა გაშენებული. ახლაც იქაა, მაგრამ ისე ჩვენი მტერი გაშენდეს. ამ ბოლო ხანს რიონს იმდენი უტრიალია, რომ 250 მეტრი მიწა მოუთხრია და თან წაუღია. ხალხი შუა მდინარეში გვანახებდა ადგილებს, იქ სახლები იდგაო. მაგრამ ვინღა ჩივის იმ წყალნაღებულ სახლებს, როცა წყალმა ახალ ეზოებს შეუტია. წყალგაყვანილობის მილები მიწისგან მოშიშვლებულია და მოშლილია. ხალხი ამბობს, გაზაფხულამდე თუ რამე არ გვიშველეთ, თოვლი დნობას დაიწყებს და წყალი წაგვიღებსო.

ეს სულ სხვა პრობლემაა და ძალიან დიდი თანხები სჭირდებაო,- ისე თქვა ქუთაისის მერმა, რომ ჭომის ბედ-იღბალი სრულიად გაურკვეველი დარჩა.

ფოთი

ფოთში ქარიშხალს უფრო დიდი ხეები მოუგლეჯია, ვიდრე ქუთაისში. განსაკუთრებით ძლიერი გრიგალი ღამე ყოფილა. ამან გადაგვარჩინაო,- ამბობენ ფოთელები და არც ტყუიან. იმხელა ხეებს დაუმტვრევია ბეტონის ღობეები, ის რომ გამვლელს დაცემოდა...

შიფერის სახურავები ქუჩებში ნამსხვრევებად ეყარა. თუნუქისა კი მთლიანად ეგდო კორპუსებს შორის. სასმელი წყალი იქაც ცისტერნებით მიეწოდებოდა მოსახლეობას.

ფოთის მერის განცხადებით, სახურავი აღარ აქვს 78 კორპუსს, განათლების 14 ობიექტს, 8 საბავშვო ბაღს, 7 სამედიცინო დაწესებულებას და ა.შ. აღდგენით სამუშაოებს 1-1,5 მილიონი ლარი დასჭირდება. მერს კი შიფერის საყიდლად ხალხი ერგნეთის ბაზრობაზე გაუგზავნია, იქნება იაფად ვიშოვოო. ფოთში თათბირს დაესწრნენ სენაკის, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის და აბაშის გამგებლები. უნდა ითქვას, რომ ყოველმა მათგანმა გამოიჩინა მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნება და ფულის მაგივრად სამშენებლო მასალით დახმარება მოითხოვა. დანარჩენს საკუთარი ძალებით მიხედავენ. მარტო აბაშის გამგებელს არ დაუდია ასეთი პირობა. მან პირდაპირ თქვა, მე ვერაფერს გავაკეთებ, თუ არ დამეხმარებითო.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ქუთაისშიც და ფოთშიც აღნიშნა, რომ სამთავრობო კომისია ადგილებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩავიდა, რათა შექმნილი ვითარება შეაფასოს და ამოცანები დასახოს. ვინაიდან ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, გამოიყოფა პრიორიტეტები და დაიწყება პირველი რიგის სამუშაოები. მთავარია, უმოკლეს ვადაში გადაიხუროს ყველა დაზიანებული სახლი. შაბათს საგანგებო შეხვედრა მოეწყობა სახელმწიფო მინისტრთან, სადაც რეგიონული ხელმძღვანელები ზარალის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას წარადგენენ. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ 10-14 დღის განმავლობაში წვიმა არ წამოვიდეს, თორემ ფოთში თუ ერთი გაწვიმდა...

ფოთის შემდეგ კომისიამ ხობი და სენაკი მოინახულა და თბილისში დაბრუნდა.

ნავთობსადენის მშენებლობის ბიუჯეტი არ შეიცვლება

"ჩვენ, უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიუხედავად, 2,95 მილიარდზე მეტს არ დავხარჯავთ," – განაცხადეს გუშინ, ბაქოში, დევიდ ვუდვორდმა და ნატიკ ალიევმა.

ზაზა წულაძე

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ბიუჯეტი ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც ბორჯომის ხეობის პრობლემის წარმოშობამდე იყო ანუ ჩვენ ერთი ცენტითაც არ გადავაჭარბებთ 2,95 მილიარდ დოლარს. ამის მიუხედავად, ჩვენ ვაგრძელებთ და მანამ გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს ქართულ კომპანია "ჯორჯიან მინერალ გლასთან", სანამ არ გავიგებთ, კონკრეტულად რა იწვევს მათ შეშფოთებას." ეს განცხადება გუშინ, ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე, "ბიპი-აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა გააკეთა. პრესკონფერენცია "ბრიტიშ პეტროლიუმის" ინიციატივით შედგა და მთლიანად ნავთობსადენის ქართულ მარშრუტზე ბოლო პერიოდში წარმოქმნილ პრობლემებს მიეძღვნა. ბაქოელ ჟურნალისტებს, ვუდვორდთან ერთად, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნატიკ ალიევიც შეხვდა.

"საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ორი წლის წინ თავად მოგვთხოვა კატეგორიულად, რომ ახალქალაქზე ნავთობსადენს არ გაევლო, ამიტომ ბოლოდროინდელი კამპანია (იმის გათვალისწინებით, რომ ქართველებს სხვა მარშრუტი უბრალოდ არ გააჩნიათ და ჩვენ 18 თვის მანძილზე სწორედ ამჟამინდელ მარშრუტზე ვატარებდით მოსამზადებელ სამუშაოებს), რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. მით უმეტეს, რომ ნავთობსადენი ბორჯომის წყლის სათავედან 15 კილომეტრის მოშორებით გაივლის," – აღნიშნა თბილისში მძიმე მოლაპარაკებებ - გადატანილმა ვუდვორდმა.

"ბრიტიშ პეტროლიუმი" აცხადებს, რომ პროექტის გაჭიანურება (ბორჯომის ხეობის პრობლემის გამო) ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებას ან რამდენიმე წლით გადაწევდა, ან საერთოდ ჩაშლიდა. **"მარშრუტის შეცვლის შემთხვევაში, პროექტი, მინიმუმ, ორჯერ ძვირი გახდებოდა და მშენებლობის დაწყება 18 თვით გადაიწევდა; შესაძლოა, ამის გამო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს საერთოდ უარი ეთქვათ მის დაფინანსებაზე,"** – განაცხადა ნატიკ ალიევმა. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ პროექტის წინააღმდეგ მიმართული ბოლო კამპანია იმ ქვეყნებიდან მომდინარეობს, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის სასტიკი მოწინააღმდეგენი არიან. **"ამ ქვეყნების ჩამონათვალი ყველასათვის ცნობილია. ეს იყო ამ ორი წლის განმავლობაში ყველაზე სერიოზული კამპანია პროექტის წინააღმდეგ; მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამას ველოდით და მზად ვიყავით,"** – აღნიშნა ალიევმა.

დევიდ ვუდვორდმა ბაქოშიც დაადასტურა, რომ ნავთობსადენის ყველა "სარისკო მონაკვეთზე", მათ შორის - ბორჯომის რაიონის მონაკვეთზე, უსაფრთხოების დამატებითი ზომები იქნება მიღებული. **"ამ მონაკვეთებზე ჩამკეტ-გამანაწილებელი, სტანდარტთან შედარებით, ორჯერ მეტი იქნება, რაც ნებისმიერი ავარიის ლიკვიდაციის საშუალებას მოგვცემს უმოკლეს დროში. ასევე გათვალისწინებულია ელექტრონული სიგნალიზაციის შექმნა, რომელიც მთელ ნავთობსადენს მოიცავს. ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტდება უსაფრთხოების ჯგუფები, რომლებსაც შესაბამის ტრანსპორტსა და აპარატურას გადავცემთ. დაიგება ახალი გზები, რომ ნავთობსადენის ნებისმიერ მონაკვეთთან მისვლა სწრაფად, უსაფრთხოდ და ნებისმიერ ამინდში იყოს შესაძლებელი. ყველა ეს მოთხოვნა კრედიტორებისგან მომდინარეობს, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ მათთან მოლაპარაკებები რთული იქნება,"** – განაცხადა ვუდვორდმა.

უსაფრთხოების დამატებითი, უპრეცედენტო ზომების მიუხედავად, ნატიკ ალიევმაც და დევიდ ვუდვორდმაც კატეგორიულად აღნიშნეს, რომ არ შეიცვლება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის პირვანდელი ღირებულება, 2,95 მილიარდი დოლარი. **"ჩვენ ადრე გამოვყავით გარკვეული თანხა გაუთვალისწინებელ სირთულეებზე და ყველა ახალი ინიციატივა ამ თანხიდან დაფინანსდება,"** – თქვა ალიევმა.

"ბრიტიშ პეტროლიუმის" მთავარი მენეჯერის მაიკლ თაუზერის თქმით, უკვე დეკემბრის ბოლოდან დაიწყება მიწის იმ ნაკვეთების შეძენა, რომელზეც ნავთობსადენისთვის დერეფანი უნდა გაკეთდეს. **"სამივე ქვეყანაში ყველა სამუშაო გრაფიკით მიმდინარეობს, ნავთობსადენის მშენებლობა, სავარაუდოდ, მარტში ან აპრილში უნდა დაიწყოს,"** – განაცხადა თაუზერმა.

ცესკო უნდა შეიცვალოს, მაგრამ როგორ?

დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულების თანახმად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქმიანობის ვადა მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჰქონდა გაგრძელებული და ამ პერიოდში ყველა დონის არჩევნების ორგანიზატორი სწორედ იგი იყო. 30 ნოემბრის შემდგომ, მომავალ საპარლმენტო არჩევნებამდე, საქართველოში არანაირი არჩევნები აღარ იგეგმება. ამიტომ, პარლამენტმა სერიოზულად უნდა დაიწყოს ფიქრი იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაატარებს არჩევნებს მომავალი წლის შემოდგომაზე.

თამარ მჭედლიშვილი

პარლამენტში სულ უფრო აქტუალური ხდება საუბრები საარჩევნო ადმინისტრაციების შეცვლის თაობაზე, მაგრამ ფრაქციებმა, ჯერჯერობით, ვერ იპოვეს ის პრინციპი, რომლის ირგვლივაც მსჯელობა ფრაქციებს საერთო შეთანხმებამდე მიიყვანს.

სხვათა შორის, საარჩევნო კოდექსში უკვე ჩადებულია საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პრინციპი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციების წევრები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასახელებული პიროვნებები უნდა გახდნენ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი შეძლებენ პარლამენტართა ხმების ორი მესამედის მოპოვებას.

დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებს პარლამენტის წინაშე უკვე წარდგენილი ჰყავდათ კონკრეტული კანდიდატები, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ვერც ერთი კანდიდატი საჭირო ხმებს ვერ მოაგროვებდა.

ამის შემდეგ ფრაქციებმა პარიტეტული საწყისით დაკომპლექტებულ საარჩევნო კომისიებზე დაიწყეს საუბარი. შეთანხმების თანახმად, ცესკო შემდეგნაირად უნდა დაკომპლექტებულიყო: ბოლო ორ არჩევნებში 4-პროცენტიანი ბარიერის გადამლახველი პარტიების ორ-ორი წარმომადგენელი, პლუს პრეზიდენტისა და ავტონომიების თითო-თითო პროტეჟე.

ამ პრინციპს პირველი მოსმენით ეყარა კენჭი, თუმცა "ახალი მემარჯვენეების" ინიციატივით, მისი შემდგომი დახვეწა და კანონის სახით ჩამოყალიბება გადაიდო და 2 ივნისის არჩევნები, გარდამავალი დებულების თანახმად, ცესკო-ს ახლანდელმა შემადგენლობამ ჩაატარა.

ახლა ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე მსჯელობა თავიდან იწყება. ფრაქციები ბჭობენ, თუ რომელი პრინციპი აიღონ საფუძვლად. თითქმის ყველა პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება ვერ მოხერხდება. შესაბამისად, ფრაქციათა ნაწილი იხრება მეორე ვარიანტისკენ, კომისიების პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებისკენ.

პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა უკვე გამართა რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ორ-სამ დღეში ასეთი თავყრილობა კვლავ გაიმართება და შესაძლოა, სწორედ მაშინ გამოიძებნოს ფრაქციებს შორის კონსენსუსი.

ყველა პოლიტიკოსი აღიარებს, რომ გადაწყვეტილება ძალზე სწრაფად არის მისაღები და თუ ეს ვერ მოხერხდა, არსებობს რეალური საშიშროება, მომავალი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება კვლავ ამ შემადგენლობის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელოს. ეს კი პარტიათა უმრავლესობისთვის მიუღებელია. მით უფრო, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ცესკო-ს არჩევნების გამყალბებელ სტრუქტურად მოიხსენიებს და ზოგიერთები კომისიის ხელმძღვანელობის სისხლის სამართლის პასუხიმგებლობაზეც საუბრობენ.

"გაერთიანებული დემოკრატები", "ტრადიციონალისტები", "ახალი მემარჯვენეები", "ნაციონალები", "მრეწველები" თანახმანი არიან დაკომპლექტების პარიტეტულ წესზე. ამ პრინციპს ეთანხმებიან ე. წ, სახელისუფლებო ფრაქციებიც, ოღონდ ამ "საერთო იდილიის" ფონზე პრინციპული უთანხმოება უკვე სახეზეა. თუკი პირველი ოთხი ფრაქცია მომხრეა, რომ ცესკო-ში ის პარტიები შევიდნენ, რომლებმაც ბოლო ორ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს, სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის დამძლევი პარტიები.

ამ ლოგიკით ცესკო-ში წარმოდგენილები იქნებიან მხოლოდ მოქალაქეთა კავშირი, "აღორძინება" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", რაც, ცხადია, სხვა პარტიათა ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

მოკლედ, პარტიებს საკმაოთ საკმაოდ ბევრი აქვთ და რამდენადაა შესაძლებელი შეთანხმების მიღწევა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარის, ირაკლი მინდელის თქმით, **"ამ საკითხზე შეთანხმება არ არსებობს. ყველას თავისი მოსაზრება აქვს და ვერ ვიტყოდი, რომ ეს მოსაზრებები ბოლომდე ჰქონდეთ ჩამოყალიბებული. მოსაძებნია ახალი წესი, მაგრამ რაიმე კონკრეტულ მოდელზე საუბარი ახლა მიჭირს".**

ფრაქცია "21-ე საუკუნის" ერთ-ერთი ლიდერი ანზორ აბრალავა ამბობს:

"როდესაც მოქალაქეთა კავშირი უმრავლესობაში იყო, დაკომპლექტების სრულიად გაურკვეველი ფორმულა შემოგვთავაზეს. ახლა ამის შეცვლაზე დაიწყეს საუბარი. თანაც გასათვალისწინებელია, რომ პარლამენტის გარეთაც არიან პოლიტიკური ძალები და მათთანაც აუცილებელია კონსულტაციები. პარლამენტი არ ასახავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას. ცესკო, სამწუხაროდ, ხელისუფლების ხელში სათამაშო აღმოჩნდა. რომ არა ხელისუფლების მხარდაჭერა, ცესკო მხოლოდ თავისი ნებით არ ჩაიდენდა ამდენ უკანონობას, თუმცა მე სერიოზული ეჭვი მიჩნდება, რომ ამის პარალელურად ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურ გარიგებებს და ცესკო იქცა ჩვეულებრივ კორუმპირებულ ორგანოდ. რაც შეეხება ახალ მოდელს: ჩვენ რამდენიმე მოდელი გავიარეთ ბოლო 10 წლის მანძილზე და შეიძლება რომელიმე შევარჩიოთ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ ჩვენთან არ არის კანონაღსრულებითი გარემო".

სამაგიეროდ, საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი სხვა ფრაქციების წარმომადგენლები.

ფრაქცია "დემოკრატის" თავმჯდომარემ გია ბარამიძე აცხადებს: **"ცესკო აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ჩვენ გვაქვს წინადადებები, რომელიც შემუშავებულია ჩვენს პარტნიორ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად. საუბარია ცესკო-ს დაკომპლექტების პარიტეტულ წესზე, ძირითადად, იმ პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებმაც გასულ საპარლამენტო არჩევნებში არა მხოლოდ შვიდპროცენტიანი, არამედ ოთხპროცენტიანი ბარიერიც გადალახეს. მართალია, თუ ამ წესს მივიღებთ, "გაერთიანებულ დემოკრატებს" კომისიაში წევრები არ ეყოლებათ, მაგრამ თუ შეთანხმება გაითვალისწინებს ადგილობრივი არჩევნების შედეგებსაც, ეს, ბუნებრივია, ჩვენს ინტერესებშიც შევა. ალბათ, სამართლიანი იქნება საუბარი ოთხპროცენტიან ბარიერზე. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციების პასუხისმგებლობას, ეს საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. ჩვენ უნდა შევეცადოთ, ყველამ დაინახოს, რომ ასეთი დარღვევები არავის შერჩება. თუ მოხერხდა რამდენიმე ადამიანის სამართლიანად დასჯა, მაშინ მომავალში ძალიან ბევრი ათასჯერ დაფიქრდება, უღირს თუ არა მას კანონის დარღვევა".**

"ტრადიციონალისტი" ალექსანდრე შელამბერიძე:

"რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. პირველი მოსმენით უკვე მიღებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირება პარიტეტული საწყისით. ამ კვირაში ფარქციებს გვექნება შეხვედრა და უნდა შევთანხმდეთ დაკომპლექტების წესზე. შეიძლება ვიმსჯელოთ კვლავ არასამთავრობო სექტორით ცესკო-ს დაკომპლექტებაზე. თანახმა ვარ ნებისმიერ წესზე, ოღონდ კი ცესკო-ს ახლანდელი შემადგენლობა შეიცვალოს. ეს არის ყველანაირად გასვრილი ორგანო. უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ცესკო-ს ხელმძღვანელობაზე და მასალები გადაეცეს პროკურატურას".

როგორც "ახალი მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, **"პრაქტიკულად ყველა პარტია თანხმდება, რომ ამ ტიპის საარჩევნო კომისიით შემდგომი არჩევნების ჩატარება აღარ შეიძლება. შეცვლა უნდა მოხდეს საშემოდგომო სესიის მსვლელობის დროს. თორემ თუ ეს გადავიდა მომავალ საგაზაფხულო სესიაზე, ძნელი იქნება კონსენსუსამდე მისვლა. ახლა კონტურები გამოკვეთილია და საფუძველი შეთანხმებისა უკვე არის. თუ იგი დაირღვა და კონსენსუსი არ შედგა, მაშინ ძალიან გართულდება ახალი მოდელის მოძებნა, რადგან არასამთავრობოებით საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ალბათ, გაჭირდება. ეს კი იქნება ძველი კომისიის დარჩენის საფუძველი".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

საკრებულო ერთსულოვანი უმრავლესობის გარეშე

მთავრობის დაკომპლექტებამ საკრებულო ერთსულოვანი უმრავლესობის გარეშე დატოვა. "ლეიბორისტები" და "ახლები" მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ვანო ზოდელავამ გუშინ ღამე საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლებს არაოფიციალურად წარუდგინა ორი შესაძლო ვიცე-პრემიერის კანდიდატურა – "დემოკრატების" კანდიდატი ვლადიმერ დარჯანია და "ნაციონალების" კანდიდატი გიორგი კარბელაშვილი. თბილისის მერის ღამის სტუმრებს შორის არ იყვნენ "ახლები" და "ლეიბორისტები". "დღეს შეიძლება ითქვას, რომ მერიამ და საკრებულომ თანამშრომლობა დაიწყეს," – აცხადებს ღამის თათბირის შემდეგ ზოდელავა.

სოფო ბუკია

გუშინ მერიამ ჟურნალისტები კიდევ ერთხელ ააფორიაქა – არიქა, მოდით, ვანო ზოდელავა საკრებულოს დედაქალაქის ახალ მთავრობას წარუდგენსო. მერიიდან წამოსული მესიჯი ისევ ცრუ ინფორმაცია გამოდგა, დედაქალაქის მომავალ მმართველთა სახელები საკრებულოს კოლეგიის სხდომაზე არ ამოუკითხავთ.

თუ საკრებულოში არსებულ აზრთა სიჭრელეს მხედველობაში მივიღებთ, თბილისი უნდობლობაგამოცხადებულ მთავრობას კიდევ კარგა ხანს უნდა დასჯერდეს.

"ლეიბორისტები" ჯიუტად იცავენ საკუთარ პოზიციასა და "კორუმპირებული" ზოდელავას მიერ შემოთავაზებული მთავრობის არც ერთ კანდიდატურას არ გაახარებენ. ნათელაშვილის თანაგუნდელები იმუქრებიან, რომ მთავრობის დამტკიცების პროცედურას საერთოდ არ დაესწრებიან და სხდომას პროტესტის ნიშნად დატოვებენ. შრომის პარტიის ამ მოსაზრებას მიესალმებიან "ახლებიც", მათ მთავრობის დამტკიცების საკუთარი მოდელი შემოაქვთ. ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე კოლეგებისგან ინტერფრაქციული ჯგუფის გამოყოფას ითხოვს. საკრებულოს წევრებისგან შემდგარმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ახალი მთავრობის შესაძლო კანდიდატურები უნდა ამოარჩიოს, რასაც შემდეგ ვანო ზოდელავას წარუდგენენ განსახილველად. **"უნდობლობაგამოცხადებული მერის კანდიდატურები არ უნდა იყოს განხილული. ჩვენ თავად, ინტერფრაქციული ჯგუფის მეშვეობით შევიმუშაოთ მთავრობის ახალი მოდელი, გადავცეთ მერს, რის შემდეგაც მას საკრებულო განიხილავს,"** – აცხადებს კაციტაძე. "ახლების" ამ ინიციატივას მხარდაჭერა არც ერთი ფრაქციიდან არ ეღირსა, იგი "დროის გაყვანის მცდელობად" მოინათლა და იმთავითვე უარყოფილ იქნა.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი, მართალია, აღიარებს, რომ ზოდელავას გარეშე საკრებულო უკეთ იმუშავებდა, მაგრამ რადგან მერის გადაყენება არ ხერხდება, სააკაშვილმა საკრებულოს წევრებს კონსულტაციების გამართვა და **"ხარისხიანი მთავრობის რაც შეიძლება უმოკლეს დროში დაკომპლექტება"** ურჩია. საკრებულოს თავმჯდომარემ კოლეგებს აქილევსის ქუსლი მოუნახა და მომავალი საპარლამენტო არჩევნები შეახსენა. **"მჯერა, ბევრი ჩვენთაგანი მომავალ პარლამენტში მოხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი ოპოზიციური იქნება. ჩვენ მოგვიწევს შევარდნაძის მიერ წარმოდგენილი მინისტრების დამტკიცება, თუმცა, ჩვენ შევარდნაძე არ მოგვწონს... ჩვენ ვაიძულებთ ზოდელავას, საკრებულოსთვის და ხალხისთვის სასურველი მთავრობა დააკომპლექტოს. არც ისე აუღებელი ციხე-სიმაგრეა ზოდელავა, რომ ამდენი ფრაქციის ინტერესს შეეწინააღმდეგოს... საკრებულომ უნდა დაიწყოს მუშაობა რაც შეიძლება მალე... ჩვენ ხალხის, ამომრჩევლის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ,"** – სცადა საკრებულოს გამოფხიზლება სააკაშვილმა.

ზოდელავასთან კონსულტაციების მომხრენი არიან "გაერთიანებული დემოკრატები", "მრეწველები", "აღორძინება" და "ერთობა". გუშინ ამ ფრაქციებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს.

"აღორძინებას" არ უნდა საკრებულო **"ერთი კაცის – ქალაქის მერის თანამდებობიდან მოხსნის ფუქციით შემოიფარგლოს"** და **"საბოტაჟი გაუწიოს საკუთარ გადაწყვეტილებებს".** გურამ საღარაძე "ერთობიდან" კოლეგებს მოუწოდებს, **"ციდან ვარსკვლავების კრეფას"** თავი დაანებონ და მერთან თანამშრომლობაზე და **"ქალაქისთვის საინიკეთო საქმეების კეთებაზე"** იფიქრონ.

კოლეგების შთაგონებებმა განაწყენებულ ფრაქციებზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, "ლეიბორისტები" და "ახლები" ზოდელავას წინააღმდეგ გალაშქრებით **"საკრებულოს ღირსების დაცვას"** ცდილობენ.

გუშინ კოლეგიის სხდომიდან დედაქალაქის მთავრობაზე ზრუნვამ საკრებულოს წევრებს ზოდელავას კაბინეტში მოუყარა თავი. ღამის ათ საათზე ზოდელავასთან მომავალი მთავრობის შესათანხმებლად საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები შეიკრიბნენ. თბილისის მერის ღამის სტუმრებს შორის არ იყვნენ "ახლები" და "ლეიბორისტები".

დახურულ კარს მიღმა მერმა ფრაქციების თავმჯდომარეებს ვიცე-პრემიერების პოსტზე მისთვის მისაღები კანდიდატურები გააცნო. ბედმა ახალ სახეს - კარბელაშვილს და ამჟამინდელ ვიცე-პრემიერს ეკონომიკურ საკითხებში - დარჯანიას გაუღიმა. "დემოკრატების" კანდიდატად მიჩნეული ვლადიმერ დარჯანია ვანო ზოდელავამ "თავის საქმეში პროფესიონალიზმის" გამო შეარჩია. რაც შეეხება სააკაშვილის თანაგუნდელ გიორგი კარბელაშვილს, ის, როგორც "აღორძინების" წევრი გიორგი ტაბიძე ამბობს, **"ნაციონალების" კანდიდატია, ეგაა და გორის ციხე".**

"კონსულტაციის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა დარწმუნებული ვარ ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც საჭიროა და როგორც ქალაქის მოსახლეობას ეკადრება. ვიცე-პრემიერების თანამდებობებზე განიხილება დარჯანიას და კარბელაშვილის კანდიდატურები, სხვებზეც არის ლაპარაკი, მაგრამ დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. საჭიროა, საკრებულო და მერია ერთობლივ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. დღეს შეიძლება ითქვას, რომ მერიამ და საკრებულომ თანამშრომლობა დაიწყეს," – განაცხადა ფრაქციებთან მოლაპარაკების შემდეგ ზოდელავამ. მესამე ვიცე-პრემიერის კანდიდატურის წარმოსადგენად ქალაქის მერი სამდღიან ვადას ითხოვს. მისი თქმით, სამშაბათს ან ოთხშაბათს სამივე ვიცე-პრემიერის კანდიდატურები განსახილველად გადაეცემა საკრებულოს.

ვანო ზოდელავას ჭერჭერობით შეუძლია, კმაყოფილი იყოს.

თუ რატომ არ იყვნენ გუშინ მერის კაბინეტში "ახლები" და "ლეიბორისტები", ზოდელავამ არ იცის: **"ეს "ლეიბორისტებს" უნდა ჰკითხოთ,"** – დაგვაკვალიანა მან.

როგორც ჩანს, კარბელაშვილს და დარჯანიას გუშინდელ ღამის სერობაზე მოწინააღმდეგეები არ ჰყოლიათ. თუმცა, ფრაქციების წარმომადგენლთა თქმით, ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა ამ კანდიდატურებს მაინც არა აქვთ და საბოლოო სიტყვას კენჭისყრა იტყვის. ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე გიორგი ტაბიძე აცხადებს, რომ მის ფრაქციას შემოთავაზებული კანდიდატურების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. "ნაციონალებიც" მშვიდად არიან, თუმცა მსუბუქად ჩივიან იმაზე, რომ დარჯანია ძველი სახეა. მერის გადაწყვეტილებები არც "დემოკრატებისთვის" ყოფილა სიურპრიზი. **"დარჯანია პროფესიონალია, მას შემდეგ, რაც ის კურატორობს ეკონომიკის სფეროს, შემოსავლების მობილიზება გაციელებით გაიზარდა, რაც ალბათ მერმა დაიფასა. რაც შეეხება კარბელაშვილს, ის "ნაციონალების" კანდიდატია და როგორც ვიცი, მის კანდიდატურას მერიაში პრობლემები არ ექნება,"** – ამბობს "დემოკრატი" დავით ხუციშვილი.

რაც შეეხება მესამე ვიცე-პრემიერს, ამ პოსტზე სავარაუდოდ კრწანისი-მთაწმინდის გამგებელს ქურხულს მოიაზრებდნენ, თუმცა გუშინ იგი არ უხსენებიათ. კულუარული ინფორმაციით, ქურხულს ვიცე-პრემიერობა ასცდა.

არასამთავრობოები არაჰუმანური საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებისგან მოთხოვნილი თანხების მიღების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, სამხედრო უწყება ცდილობს, დამატებითი თანხები ისევ წვევემდელების ოჯახებს გადაახდევინოს. ამჟამად საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტში განსახილველად დევს თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი - "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილების შესახებ, რომელიც დედისერთებს და ერთი შვილის პატრონ წვევამდელებს უფასო გადავადების უფლებით სარგებლობას უსპობს.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

როგორც ცნობილია, თავდაცვის სამინისტროს აშკარა ლობირებით, მიმდინარე წლის ივლისში უკვე შევიდა შესწორება სამხედრო ვალდებულების შესახებ არსებულ საკანონმდებლო აქტში და ოფიციალურად დაკანონდა ფულადი მოსაკრებელი არმიაში სამსახურის გადავადების შესახებ. პრეზიდენტის ხელმოწერით მიღებული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა წვევამდელებმა უფლება მოიპოვეს, 200 ლარის საფასურად, ყოველ წელს გადაივადონ კონსტიტუციით დაკისრებული მხედრული ვალი. თანაც, 27 წლის ასაკამდე, ამ უფლებით მათ იმდენჯერ შეუძლიათ სარგებლობა, რამდენჯერაც აღნიშნული თანხის შეგროვებას მოახერხებენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოში ლამის კბილებით გაიტანა ეს ინიციატივა, დარწმუნებული იყო, ამით კომისარიატებში კორუფციასაც მოუღებდა ბოლოს და ბიუჯეტსაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

დავით თევზაძე: ***"გადავადებაშია პრობლემა. გადავადების პრობლემას მოვხსნით, იქნება გარკვეული თანხა, რომელიც გარკვეულწილად შეენაცვლება მის ბეგარას. ეს თანხები მოიზიდება და მოემსახურება იმ ადამიანების ყოფას, რომლებიც თავის ქვეყანას ემსახურებიან. გარდა ამისა, ამ ცვლილებას ჩვენ განვიხილავთ როგორც ანტიკორუფციულ ღონისძიებას."***

მიუხედავად ამ კეთილშობილური ჩანაფიქრისა, ქრთამის ოფიცილურმა დაკანონებამ საქმეს ვერ უშველა. პროგნოზირებადი 16 მილიონი ლარის სანაცვლოდ, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე პირველ წელს მხოლოდ 250 ათასი ლარი შევიდა. მიუხედავად ამისა, ქართველი სამხედროები კიდევ უფრო შორს მიდიან და ცდილობენ, დაბეგვრის რეჟიმი წვევამდელთა იმ კონტიგენტზეც გავრცელდეს, რომელიც აქამდე უფასო გადავადების შეღავათით სარგებლობდა. მათ შორის კი აღმოჩნდნენ დედისერთები და ერთშვილიან ჭაბუკთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რაც ხელისუფლების მიმართ არასამთავრობო ორგანიზაციათა მძაფრ პროტესტს იწვევს. ამავე მოსაზრებას იზიარებენ ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც არმიაში სამსახურს ღირსების საქმედ მიიჩნევენ.

იურისტი შალვა თადუმაძე მოწოდებით სამხედროა. მან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ოფიცრის კარიერა აირჩია და მუშაობა თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში განაგრძო.

შალვა თადუმაძე: ***"მე ვთვლი, რომ კაცი, თუნდაც 18 წლის, რომელიც სამხედრო სამსახურში დგას, ჩემზე ერთი ნაბიჯით წინ არის სახელმწიფოს წინაშე; იმიტომ რომ, ჩემზე წინ მიდის ტყვიაზე და მხოლოდ იმის შემდეგ მივდივარ მე სახელმწიფოს დასაცავად. გარდა ამისა, არის რაღაც ვაუკაცური დამოკიდებულება, ის ქართული ტრადიცია - იარაღთან ურთიერთობისა, ბრძოლისა."***

ასეთი ძლიერი ფსიქოლოგიური მოტივაციის მიუხედავად, შალვა თადუმაძე იძულებული გახდა, სამხედრო სამსახურზე სულ მალე ეთქვა უარი. ამის მიზეზად იგი სწორედ სამხედრო წრეებში სამსახურისადმი მერკანტილურ მიდგომას ასახელებს.

შალვა თადუმაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს იცავენ, ორი თვის წინ " სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობისთვის" კოალიცია ჩამოაყალიბეს და ერთ-ერთი საკითხი, რომელშიც ისინი ხელისუფლებას მწვავედ უპირისპირდებიან, სწორედ საკონსტიტუციო მოვალეობის ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცევაა. მათი აზრით, ამგვარი მიდგომით, ეცემა სამხედრო სამსახურის პრესტიჟი და მოსახლეობას, ფაქტობრივად, არაპირდაპირი სამხედრო ხარკის გადახდა ეკისრება.

ამ ფონზე მათი სრული აღშფოთება გამოიწვია თავდაცვის სამინისტროში მომზადებულმა ახალი ცვლილებების პროექტმა, რომელიც სამხედრო სამსახურიდან უფასო გადავადების უფლებას დედისერთა და ერთშვილიან წვევამდელებს ართმევს. იურისტი ლევან ალაფიშვილი, რომელიც სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის ერთერთი თანაავტორია, მიიჩნევს, რომ წვევემდელთა ამ კატეგორიისთვის შეღავათის მოხსნა სერიოზულ პრობლემას შექმნის.

ლევან ალაფიშვილი: ***"ნებისმიერ ქვეყანაში სამხედრო სამსახური განისაზღვრება მომეტებული რისკის მქონე სამსახურად. ამიტომ, შესაბამისად, იმ ოჯახების ინტერესების გათვალისწინებით და დაცვის მიზნით, რომლებსაც არ ჰყავთ სხვა მემკვიდრე, მე მხედველობაში მყავს ვაჟი, გათვალისწინებული იყო შეღავათი და ეს გადაწყვეტილება მივიღეთ ჯერ კიდევ 1996 წელს - დედისერთები გათავისუფლდნენ სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდისაგან."***

ორგანიზაციის - "კოალიცია სამხედრო-სამოქალაქო დიალოგისთვის" - წარმომადგენლები ემხრობიან პრინციპს, რომ თავდაცვის სფერო უნდა ფინანსდებოდეს ბიუჯეტიდან და არა იმ მოქალაქეთა ხარჯზე, რომელთაც ორსული მეუღლე და ერთი შვილი ჰყავთ და ახლა სჭირდებათ სწორედ ფინანსები ცხოვრების დასაწყებად. თანაც, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რა ძალამ შეიძლება აიძულოს ადამიანი მიატოვოს 20 კვირის ფეხმძიმე მეუღლე ან ერთი თოთო შვილი და ყაზარმაში ცხოვრებას დათანხმდეს. მით უფრო, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ადამიანის ოჯახის წარმომადგენელებისთვის არ არსებობს სოციალური დაცვის არავითარი მექანიზმი, ხოლო ჯარისკაცის თვიური ანაზღაურება მხოლოდ 5 ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, გასაწევი რესურსი საქართველოში 90 ათას, გაწევების გეგმა კი მხოლოდ 10 ათასს კაცს შეადგენს. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომ გაწევა შეეხოს დედისერთებისა და ერთი მცირეწლოვანი შვილის მამების კონტიგენტს, რომელთა საერთო რიცხვი 5000-ს არ აღემატება.

თანაც, როგორც კანონპროექტზე დართულ განმარტებით ბარათშია ხაზგასმული, ხელისუფლებას სურს არა კონსტიტუციური მოვალეობის წინაშე გაათანაბროს მოქალაქეები, არამედ უფრო მეტ ადამიანს ჩააყოფინოს ჯიბეში ხელი ამ მოვალეობის გამოსასყიდად. **"ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი თანხების მობილიზება და წარმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლებიც შემდგომში მოხმარდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა შენახვასა და არმიის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას,"** - ამბობს განმარტებითი ბარათი.

აქედან გამომდინარე "კოალიციაში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობისთვის" შემავალ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ, თუ საზოგადოებრივი მუხრუჭები დროზე არ ამოქმედდა, დამატებითი თანხების მოპოვების ეშხში შესულმა სამხედრო ხელისუფლებამ, გადავადება ფასიანად შესაძლოა მთელი მამრობითი სქესის, შემდგომ კი ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვისაც გამოაცხადოს.



მონოპოლიზმი და კორუფცია ყველგან, მიწაშიც კი!

პრესკონფერენცია "24 საათის" რედაქციაში.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია და საინჟინრო-გეოდეზიური კვლევის განმახორციელებელი კერძო კომპანიები ახალი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნის შესაძლებლობასაც კი აპროტესტებენ. იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა "განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ" კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს განსახილველად დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა წარუდგინა. საკანონმდებლო ორგანომ ის პირველი მოსმენით უკვე განიხილა და კანონპროექტში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა. მეორე მოსმენა დეკემბერშია დაგეგმილი.

სოფიკო ოხანაშვილი

"ჩვენი აზრით, კანონმა ხელსაყრელი გარემო უნდა შექმნას, როგორც ამგვარი საქმიანობის მწარმოებელი კერძო კომპანიებისათვის, ასევე სტრატეგიული დანიშნულების ნაგებობათა მესაკუთრეთათვის. ისინი ხომ უნდა დაინტერესდნენ, რომ თავისი საკუთრების უსაფრთხოება დაიცვან. საინჟინრო-გეოდეზიური საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევა თავად სტრატეგიული ნაგებობის მესაკუთრის პრეროგატივა უნდა იყოს და ეს პროცესი არ უნდა იყოს მონოპოლიზირებული რომელიმე უწყების მიერ", - განაცხადა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორმა ჯაბა ებანოიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს მიწის მესაკუთრეებისათვის ამ კანონპროექტის შინაარსის გაცნობა წარმოადგენდა.

"კანონპროექტის მიზანია განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საიმედო, უსაფრთხო მშენებლობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლის და დაკვირვების მეშვეობით. აღნიშნული კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უნდა იყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოდეზიური კვლევის ცენტრი. ამა თუ იმ სტრატეგიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე ვალდებულია, ხელშეკრულება გააფორმოს გეოდეზიური კვლევის ცენტრთან და დააფინანსოს ამ ცენტრის მიერ ჩასატარებელი კონტროლისა და კვლევის სამუშაოები."

პრესკონფერენციის ორგანიზატორების პროტესტი, სწორედ საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლის დარგის ერთი სტრუქტურის ხელში მონოპოლიზების მცდელობამ გამოიწვია. მათი თქმით, ეს კანონპროექტი, ფაქტობრივად, კიდევ ერთ მაკონტროლებელ სახელმწიფო უწყებას განუსაზღვრელ უფლებამოსილებას მიანიჭებს. კიდევ ერთი მაკონტროლებელი უწყების შექმნა კი, კორუფციის დამატებითი წყარო გახდება, რომელიც შეზღუდავს კერძო კომპანიების ინტერესებს და განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მესაკუთრეებს არჩევანის საშუალებას მოუსპობს. **"ეს კანონპროექტი ზღუდავს როგორც კერძო კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ობიექტების მესაკუთრეთა მიერ გამართულ ტენდერში და ჯანსაღ საკონკურენტო პირობებში გამარჯვებაც მოიპოვონ, ასევე, მესაკუთრეებს, რომლებსაც არჩევანის საშუალებას ართმევს",** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საკონსულტაციო ცენტრის, "გეოგრაფიკის" წარმომადგენელმა დავით ტყაბლაძემ.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორის ჯაბა ებანოიძის თქმით, კანონპროექტი უხეშად არღვევს და წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, რადგან: **"კონტროლს აწარმოებს იგივე უწყება, ვინც აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს – ეს კი, წინააღმდეგობრივია და, თავისთავად, კორუფციის წინაპირობაა"**, - განაცხადა ჯაბა ებანოიძემ. მან აქვე დასძინა, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ასეთი ცენტრის არსებობას, მაგრამ ითხოვს მისი ფუნქციების დაკონკრეტებას. **"საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლი კერძო კომპანიებმა უნდა განახორციელონ, ამ ცენტრმა კი კერძო კომპანიების მუშაობის მონიტორინგი უნდა ჩაატაროს"**, - თავისი ვერსია გაუზიარა ებანოიძემ ჟურნალისტებს.

სტრატეგიული შენობა-ნაგებობების უმრავლესობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების დაქვემდებარებაში იმყოფება. ჯაბა ებანოიძის თქმით, ეს კანონპროექტი იძლევა იმის საშუალებას, რომ გარიგება მოხდეს სახელმწიფო უწყებების და გეოდეზიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელებს შორის, რის შედეგადაც ბიუჯეტიდან თანხები კერძო პირების ჯიბეებში გადაინაცვლებს. **"ხელოვნურად გაიზრდება ჩასატარებელი სამუშაოების რაოდენობა, ფასები, რაც ბიუჯეტზე ცუდად აისახება"**, - აღნიშნა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორმა.

კანონპროექტის მთავარ ნაკლად კერძო კომპანიების წამომადგენლებს მიაჩნიათ, რომ კანონპროექტის ტექსტში არსად არ არის განმარტებული კონტროლის მექანიზმი და კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები. ისინი განსაკუთრებულ პროტესტს საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლის საქმიანობისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებაზე გამოთქვამენ. ჯაბა ებანოიძის თქმით, ჯანსაღ გარემოში ფასი კონკურენციამ და ბაზარმა უნდა შექმნას, ყველანაირი ხელოვნური ჩარევა, მათ შორის, ფიქსირებული ტარიფის დაწესებაც კი, დარგს სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანს. კანონპროექტის თანახმად, საინჟინრო-გეოდეზიური საქმიანობისათვის საფასურს, სწორედ, გეოდეზიური კვლევის მონოპოლისტი ცენტრი განსაზღვრავს.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ პარლამენტი გაითვალისწინებს მათ წინადადებებს და აღნიშნულ კანონპროექტს არსებული სახით არ მიიღებს.

ენერგეტიკოსები საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოითხოვენ

"საქართველოში უმწვავესი ენერგეტიკული კრიზისი დაიწყო. ენერგოსისტემაში დეფიციტმა 70 პროცენტს მიაღწია. საქართველოში ენერგოკრიზისი ხელოვნურად არის შექმნილი ჩინოვნიკური სისტემით, რომელიც კერძო გამორჩენისათვის და არა ენერგეტიკის ინტერესებისათვის მუშაობს."- განაცხადა საქართველოს ენერგეტიკოსთა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა, გუშინ "საქენერგოში" გამართულ ენერგეტიკოსთა გაფართოებულ ფორუმზე.

მირონ ფირცხელანი

ნინო ნარჩემაშვილი

კრიზისის გამომწვევი მიზეზი, როგორც ფორუმზე ითქვა, რა თქმა უნდა, ახალი არ არის – იგი მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის სისტემატურ გადაუხდელობაში მდგომარეობს. ენერგეტიკოსებისადმი ბაზრის საერთო დავალიანებამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში 423 მილიონ ლარს გადააჭარბა. მიმდინარე წლის ვალმა კი 126 მილიონ ლარს მიაღწია. ენერგეტიკის სექტორში მომუშავე პერსონალი წლობით ელოდება ხელფასებს და მათ დასაკმაყოფილებლად უკვე 400 მილიონ ლარზე მეტია საჭირო.

"ზაფხულის პერიოდში რომ გარემონტებულიყო ელექტროსადგურები, ქვესადგურები და გადამცემი ხაზები, საქართველოს ენერგოსისტემას, სულ მცირე, 300 მეგავატი დაემატებოდა, ენერგეტიკის მესვეურებმა და ხელისუფლებამ არაფერი იღონეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. უფრო მეტიც, არც ამჟამად ხდება მიმდინარე რემონტებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც ხელს უშლის სისტემაში სიმძლავრეების გაზრდას," - აღნიშნეს ფორუმის მონაწილეებმა.

რაც შეეხება ვალებს, როგორც ითქვა, "ეი-ი-ეს" თელასის დავალიანება ყველაზე დიდია. მიუხედავად იმისა, რომ იგი სისტემატურად იღებს ელექტროენერგიას, მისი გადახდა ხუთპროცენტიან ზღვარს ვერ ასცილდა და ვალმა 55 მილიონ ლარს მიაღწია. მიმდინარე წელს მხოლოდ აჭარა ცდილობს ვალის გაქვითვას და მისი დებიტორული დავალიანება უკვე 70 პროცენტით არის დაფარული.

"ამჟამად, ცუდად თუ კარგად, მაინც ხდება ელექტროენერგიის მოწოდება, მაგრამ ზამთრის განმავლობაში მოსალოდნელია დეფიციტი და რომელ დღეს ან რომელ წუთს მოხდება ეს, არავინ იცის,"- განაცხადა მირონ ფირცხელანმა და ენერგეტიკაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოითხოვა. მისი თქმით, აუცილებელია: საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის წინაშე დადგეს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიისა და გამანაწილებელი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი, მაქსიმალურად შემცირდეს სატარიფო გადასახადები, დაინერგოს წინასწარი გადახდის სისტემა, ზამთრის სეზონის განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურები გაერთიანდნენ ერთ სისტემაში, რომელსაც კოორდინაციას "ენერგოგენერაცია" გაუწევს. ფირცხელანის მტკიცებით, ეს შესაძლებელს გახდის - ყველა მომხმარებელს მიეწოდოს იმ რაოდენობის ელექტროენერგია, რის საფასურსაც გადაიხდის. ამ ყველაფრის გასაკონტროლებლად კი საჭიროდ მიაჩნია ენერგეტიკოსებისაგან შემდგარი კომისიის შექმნა.

და ბოლოს, "გაერთიანებული ელექტროსისტემის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ისინი არ წავლენ ელექტროენერგიის გათიშვაზე, **"რადგან ეს ისევ მოსახლეობისთვის საზიანო იქნება"**, მაგრამ ენერგეტიკოსების მიერ ჩამოყალიბებული პირობებისა და მოთხოვნების შესრულება ხელისუფლების მხრიდან სასწრაფოდ განსახორციელებლად მიაჩნიათ, რათა მომავალში მაინც თავიდან იქნას აცილებული მძიმე კრიზისული სიტუაციები.

"ეი-ი-ესი" საქართველოდან წასვლას არ აპირებს

ქვეყნის პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს - აცხადებენ კომპანიაში

პირველი გვერდიდან

არ შეიძლება ხელს არ აძლევდეს ქვეყნიდან ამერიკული კომპანიის გაშვება. შესაბამისად, მისი ვარაუდით, პრეზიდენტის ასეთ განცხადებას მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი დაედო საფუძვლად.

მელაშვილის თქმით, შევარდნაძე შეცდომაში შეიყვანეს, როცა "ეი-ი-ეს"-ის ფინანსურ სირთულეებზე და, მით უმეტეს, მის გაბანკროტებაზე მიაწოდეს ინფორმაცია. მისი ინფორმაციით, უკანასკნელი თვეები "ეი-ი-ეს"-ისთვის საკმაოდ წარმატებული იყო: კომპანიის აქციების ფასი თითქმის ორჯერ გაიზარდა და მან კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციასაც მიაღწია.

ეს ინფორმაცია, ანუ ის, რომ "ეი-ი-ეს"-ს სერიოზული ფინანსური პრობლემები აღარ აქვს, "ინტერნეტში" გავრცელებული ოფიციალური ფინანსური ანგარიშებითაც დასტურდება. მიმდინარე წლის ცხრა თვეში კომპანიის მოგება 12 პროცენტით გაიზარდა. თუკი 2001 წელს "ეი-ი-ეს"-ის წმინდა შემოსავალი 52 მილიონი დოლარი იყო, წელს მესამე კვარტალში ამ მაჩვენებელმა 315 მილიონი დოლარი შეადგინა. კომპანიისთვის საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა მეორე კვარტალი, როცა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრი, პირველ კვარტალთან შედარებით, თითქმის ორჯერ შემცირდა, მაგრამ მესამე კვარტალში "ეი-ი-ეს"-მა მდგომარეობის მნიშვნელოვნად გამოსწორება შეძლო და წლის დასაწყისის დონეს დაუბრუნდა. პარადოქსია, რომ სწორედ ოთხი დეკემბრის (შევარდნაძემ ამ დღეს გააკეთა განცხადება "ეი-ი-ეს"-ის თითქმის გაბანკროტების შესახებ) საგაჭრო სესიაზე, "ეი-ი-ეს"-ის აქციების ფასი 12 პროცენტით გაიზარდა და 3.08 დოლარს გაუტოლდა. იმაზე, რომ კომპანიის საქმე, ფინანსური თვალსაზრისით, არც საქართველოში მიდის ურიგოდ, "24 საათი" უკვე წერდა. ამის გათვალისწინებით, მელაშვილის თქმით, გაუგებარია, რა მონაცემებს ეყრდნობოდა ქვეყნის პრეზიდენტი, როცა ამერიკული კომპანიის შესახებ ამ გახმაურებულ განცხადებას აკეთებდა.

პრეზიდენტის გამოსვლაში მეორე უხერხული მომენტი "ეი-ი-ეს"-ის "იტერასთან" არც თუ სასიამოვნო კონტექსტში ხსენება იყო. იმ მოტივით, რომ "ეი-ი-ეს"-ს ბუნებრივი აირი სწორედ "იტერამ" უნდა მიაწოდოს, მელაშვილი პრეზიდენტის განცხადების ამ ნაწილის კომენტირებისგან თავს იკავებს, თუმცა, ხელისუფლებას მაინც ურჩევს, კარგად შეამოწმოს, რომელია გაკოტრებული კომპანია - "ეი-ი-ეს"-ი თუ "იტერა".

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყებას, "ეი-ი-ეს"-ი დიდ შეცდომად მიიჩნევს, იგი საქართველოდან წასვლას მაინც არ აპირებს. ამ ეტაპზე მისთვის მთავარ საზრუნავს მეცხრე ენერგობლოკის ჩართვის უზრუნველყოფა და, ზოგადად, მიმდინარე ზამთრის წარმატებით გადატანა წარმოადგენს. სხვათა შორის, იმას, რომ პრეზიდენტის განცხადება მეცხრე ბლოკისთვის ბუნებრივი აირის შესაძენად აუცილებელი კრედიტის თაობაზე მოლაპარაკებებს დაემთხვა, "ეი-ი-ეს"-ის ლობისტი მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, მელაშვილის თქმით, "საქართველოს ბანკთან" 1.5 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და უახლოეს დღეებში მეცხრე ბლოკი ამუშავდება.

MBG

Microfinance Bank of Georgia

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

MBG – ის დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენი მიზანია, ვიყოთ პროფესიონალური და სანდო პარტნიორი, რომელიც სთავაზობს ევროპული სტანდარტების მომსახურებას ქართველ და უცხოელ კორპორაციულ და კერძო კლიენტებს. 1999 წლის მაისში ბანკის ფუნქციონირების დაწყებიდან, ჩვენ ვართ ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკი საქართველოში.

გთავაზობთ გახდეთ ჩვენი ჯგუფის წევრი და დაიკავოთ შემდეგი ვაკანსიები:

ოპერაციონისტი

სამუშაო მოვალეობები:
კონსულტაციების გაწევა კლიენტებისათვის
ანგარისის მართვა
საბანკო ოპერაციების წარმოება (ნაღდი ფულის გაცემა, თანხების მიღება, გადარიცხვები, ა.შ)

მოთხოვნები :
უმაღლესი განათლება
სამუშაოსადმი მიუკერძოებელი დამოკიდებულება, კლიენტებისადმი კეთილგანწყობილება, თვით-მოტივირებულობა, მზადყოფნა რთული სამუშაოს შესრულებისა და მუდმივი წინსვლისათვის;
უნარი სათანადო ყურადღება დაეთმოს დეტალებს, საუკეთესო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები
ზეწოლის ქვეშ და სწრაფად მუშაობის უნარი;
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა (კითხვა და წერა), ინგლისური ენის კარგი ცოდნა ჩაითვლება პლუსად;
ასაკი: 22-30;

დეპოზიტების ექსპერტი

სამუშაო მოვალეობები:
- არსებული და პოტენციური კლიენტებისათვის საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე კონსულტაციების გაწევა
კლიენტების მოზიდვა, საბანკო პროდუქტების გაყიდვა
მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება ფინანსებში, მარკეტინგში ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ საგანში (ან ბოლო კურსის სტუდენტი, სრული განაკვეთით მუშაობის შესაძლებლობით)
თვით-მოტივირებულობა, მზადყოფნა რთული სამუშაოს შესრულებისა და მუდმივი წინსვლისათვის; ურთიერთობის კარგი უნარ-ჩვევები
საბანკო საქმიანობის და პროდუქტების კარგი ცოდნა
კლიენტზე ორიენტირებული საქმიანი მიდგომა
მშობლიური ენა-ქართული, რუსული ენის თავისუფლად ცოდნა (კითხვა, წერა) და ინგლისური (კითხვა);
ასაკი: 20-30 წელი

სალომბარდო განყოფილების ოპერატორი
მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება
მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა,
ასაკი- 35 წლამდე

მოლარე
მოთხოვნები:
არანაკლებ ერთი წლის მუშაობის გამოცდილება იგივე თანამდებობაზე
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა
მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
რეკომენდაციები წინა სამუშაო ადგილებიდან
ასაკი- 35 წლამდე

საკრედიტო ექსპერტი (6 ვაკანსია)
მოთხოვნები:
საწყის ეტაპზე თეორიული და პრაქტიკული სწავლების შემდეგ, ჩვენს საკრედიტო ექსპერტებს ევალებათ სათანადო კლიენტების შერჩევა და მათი ფინანსური შესაძლებლობების ანალიზი. საკრედიტო ექსპერტი პასუხისმგებელია მთლიან სასესხო პროცესის ორგანიზებაზე და მის კონტროლზე.

მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება (აუცილებელი არ არის ეკონომიკური)
ზოგადი ეკონომიკური საკითხებით დაინტერესება
მუდმივ ზრდაზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა
კომუნიკაბელურობა
უპირატესობად ჩაითვლება მუშაობის გამოცდილება მცირე ბიზნესში
მშობლიური ენა ქართული, თავისუფლად ფლობდეს რუსულ ენას (წერა, ზეპირი).
ასაკი – 30 წლამდე

აღნიშნულ ვაკანსიებზე კანდიდატურები განიხილება თბილისის ფილიალისათვის

დაინტერესებულმა პირებმა გამოგვიგზავნეთ შემდეგი საბუთები:
განცხადება
რეზიუმე ერთი ფოტოსურათით
დიპლომის და სხვა სერთიფიკატების ასლები
რეკომენდაცია

გთხოვთ მიუთითოთ რომელ ვაკანსიაზე შემოგაგვთ განცხადება და გამოაგზავნოთ საბუთები შემდეგ მისამართზე:
MBG – საქართველოს მოკროსაფინანსო ბანკი
ქ. თბილისი-380012, თამარ მეფის გამზ. N18

საბუთები მიღება წარმოებს 2002 წლის 14 დეკემბრამდე

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2002 წლის 30 ნოემბერი - 6 დეკემბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UKJ	US$	€uro	₾en
UKJ		0.6358	0.6365	0.0051
US$	1.5728		1.0007	0.008
€uro	1.5718	0.9993		0.008
₾en	196.88	125.17	125.3	

2002 წლის 6 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1661 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.3967 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4699 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1650 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.4040 ლარი
იაპონური იენი	10	0.1729 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0680 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4425 ლარი
სომხური დრამი	100	0.3691 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0604 ლარი

ევროკომისიის პრეზიდენტი ევროპის ფედერაციის შექმნას უჭერს მხარს

ხუთშაბათს ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ ევროპის ქვეყნებს ევროკავშირის ფედერაციად გარდაქმნისაკენ მოუწოდა. მან ევროკავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებების გაზრდა მოითხოვა და უარყო წინადადება "ევროკავშირის პრეზიდენტის" პოსტის შემოღების შესახებ.

პროდის გეგმა ეხმაურება გერმანიისა და კავშირის პატარა ქვეყნების წამოყენებულ წინადადებებს, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდის საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მოთხოვნებთან, რომლებიც საკავშირო სტრუქტურებზე სახელმწიფოთა მთავრობების პრიმატის შენარჩუნებას უჭერენ მხარს.

პროდიმ წამოაყენა წინადადება, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი ამიერიდან ევროპის პარლამენტმა აირჩიოს, რაც მათ მეტ ლეგიტიმურობას და ცალკეული ქვეყნებისაგან დამოუკიდებლობას მიანიჭებს.

"სტატუს ქვოს შენარჩუნება შეუძლებელია, - განაცხადა მან, - განსაკუთრებით, გაფართოების პირობებში".

"ჩვენ უნდა ავაშენოთ მსოფლიოში პირველი ზენაციონალური დემოკრატია," – მიმართა პროდიმ ევროპის პარლამენტს.

პროდიმ მხარი დაუჭირა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღებას. ამჟამად კავშირის საგარეო პოლიტიკას ორი ადამიანი წარმართავს, საგარეო კოორდინატორი ხავიერ სოლანა, რომლის განკარგულებაშიც შეზღუდული რესურსებია და საგარეო საქმეთა კომისარი, კრის პატენი.

"წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი პირობა, ევროკავშირის ზესახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ. ერთიანი ხმით ლაპარაკი გადამწყვეტია გლობალიზაციის პირობებში ევროპის სოციალური მოდელისა და ჩვენი ღირებულებების დასაცავად", - განაცხადა პროდიმ.

ამასთანავე, კომისია მოითხოვს გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლას და კონსენსუსიდან ხმათა უმრავლესობის პრინციპზე გადასვლას. პროდის აზრით, ახალი წესი უნდა შეეხოს ყველა სფეროს, თავდაცვის გარდა. ევროპის პარლამენტს კი უფრო დიდი საკანონმდებლო და საბიუჯეტო უფლებები უნდა მიენიჭოს

"კავშირის უახლესი ისტორიის ყველაზე ბნელ მომენტებს საერთო მიზეზი – კონსენსუსის წესი გააჩნია," - განაცხადა მან და უარით უპასუხა საფრანგეთის, ესპანეთისა და ბრიტანეთის მოთხოვნას, ევროპის ქვეყნების ლიდერებიდან არჩეულიყო "ევროკავშირს პრეზიდენტი", რომელიც ევროპას ხმასა და სახეს მისცემდა, ამასთან, იქნებოდა სტატუსით სხვა ლიდერების, მაგალითად აშშ პრეზიდენტის თანასწორი.

ამ მოთხოვნაზე პროდის პასუხი სარკასტულად ჟღერდა: რა უნდა აკეთოს ახალმა პრეზიდენტმა წელიწადში 360 დღე, როდესაც არც ევროპული საბჭო იკრიბება და არც ჯორჯ ბუში რეკავსო.

რომანო პროდი

REUTERS

ამის ნაცვლად, მან მხარი დაუჭირა 6-თვიანი თავმჯდომარეობის წესის შენარჩუნებას, რომელსაც ბევრი არაეფექტურად მიიჩნევს.

კომისიის პრეზიდენტი მოითხოვს, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი კავშირის აღმასრულებელი ორგანო, პასუხისმგებელი იყოს არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების, არამედ ევროპარლამენტის წინაშეც.

ამჟამად ევროპარლამენტს შეუძლია, კომისია მთლიანად დაითხოვოს, მაგრამ მის ცალკეულ წევრებზე კონტროლს ვერ ახორციელებს.

პროდის ახალი ინიციატივების პაკეტი სიურპრიზებს ნაკლებად შეიცავდა, თუმცა, იგი ცხადყოფდა პრეზიდენტის მზადყოფნას, წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის "სახელმწიფოთა კავშირის" გზით განვითარების მომხრეებს.

"როიტერი"

ისრაელის პრემიერ-მინისტრის პირველი სამშვიდობო გეგმა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა პირველად გაახმაურა თავისი გეგმა, რომელიც პალესტინის სახელმწიფოს შექმნას შეეხება. მისი თქმით, ეს გეგმა მთლიანად შეესაბამება აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ წარდგენილ წინადადებებს, რომელთა თანახმად, პალესტინის სახელმწიფოს შექმნამდე ავტონომიაში რეფორმების განხორციელებაა აუცილებელი. როგორც ცნობილია, პალესტინის სახელმწიფომ ღაზას სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო უნდა მოიცვას. შარონმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომლის თანახმადაც, ამ გეგმის განსახორციელებლად, პირველ რიგში, **"ტერორის აბსოლუტური შეწყვეტაა"** აუცილებელი. **"უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს პალესტინის ავტონომიის ყველა სახის უშიშროების სამსახურის განიარაღება,"** განაცხადა არიელ შარონმა. მან ასევე მოითხოვა პალესტინის ლიდერის პოსტზე იასირ არაფატის შეცვლა. ეს ორი მოთხოვნა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბევრ მიმომხილველს შარონის ინიციატივა "მკვდრადშობილად" მიეჩნია.

თელ-ავივის მახლობლად გამართულ პრესკონფერენციაზე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის ყველაფერს იღონებს სამშვიდობო გეგმის განსახორციელებლად, თუკი მისი პარტია "ლიკუდი" 28 იანვარს დაგეგმილ არჩევნებში გაიმარჯვებს. აღსანიშნავია, რომ შარონის გეგმით, ისრაელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ყველა ძირითადი უსაფრთხოების ზონის კონტროლი ისრაელის ძალების დაქვემდებარებაში მოხვდება. **"პალესტინის სახელმწიფო იქნება დემილიტარიზებული. მას ეყოლება მსუბუქად შეიარაღებული პოლიცია. საზღვრებს და საჰაერო სივრცეს ისრაელი გააკონტროლებს,"** - ხაზგასმით განაცხადა შარონმა. ის ამ გეგმას **"რეალისტურს, ლოგიკურს და განხორციელებადს"** უწოდებს. მისი გეგმის თანახმად, ისრაელის არმია დატოვებს ყველა იმ პალესტინურ ქალაქს, სადაც ამჟამად არის განლაგებული.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის აღნიშნულ ინიციატივას, ჯერჯერობით, ფართო საერთაშორისო გამოხმაურება არ მოჰყოლია. თუმცა, პალესტინის ავტონომიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა საებ ერექათმა ეს გეგმა უარყო. მისი განცხადებით, **"მშვიდობის ერთადერთი გზა ისრაელის 1967 წლისდროინდელ საზღვრებში დაბრუნებაა."**

მიუხედავად ამისა, არიელ შარონი აღნიშნულ გეგმას განსახილველად წარადგენს ოთხმხრივ შეხვედრაზე, რომელიც 20 დეკემბერს, ვაშინგტონში გაიმართება. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მიწვევით, ამ დღეს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად შექმნილი "კვარტეტის" – აშშ-ს, ევროკავშირის, გაერო-ს და რუსეთის წარმომადგენლები ვაშინგტონში შეიკრიბებიან.

ერაყში აკრძალული ქიმიური ნივთიერება აღმოაჩინეს

გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიამ ერაყში, ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე, აკრძალული ქიმიური ნივთიერება – იპრიტი ("მდოგვის გაზი") აღმოაჩინა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის დიმიტრის პერიკოსის ინფორმაციით, გაზი საარტილერიო ჭურვებში იყო მოთავსებული. პარალელურად, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ის ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაში დარწმუნებულია. თავის მხრივ, ბაღდადმა გაერო-ს ინსპექტორთა მისიას აშშ-ს და ისრაელის ჯაშუშობაში დასდო ბრალი.

ლევან ღირსიაშვილი

როგორც ცნობილია, ერაყმა 8 დეკემბერს გაერო-ს უნდა წარუდგინოს უშიშროების საბჭოს მოხსენება, რომელშიც ქვეყანაში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის ფაქტი ან უნდა უარყოს, ან დაადასტუროს. ორი დღით ადრე კი ვითარება ერაყის პრობლემატიკის გარშემო საკმაოდ გამწვავდა. ინსპექტორთა მიერ მომწამლავი გაზის აღმოჩენა, კოლინ პაუელის განცხადება და ინსპექტორთა მიმართ ერაყის ბრალდება თითქმის ერთმანეთის პარალელურად მოხდა.

საერთაშორისო ექსპერტებმა აკრძალული ქიმიური ნივთიერება იპრიტი ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით, 70 კილომეტრის მანძილზე, მუთხანის რაიონში აღმოაჩინეს. ამას ერაყის ხელისუფლების უმწვავესი რეაქცია მოჰყვა.

ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა ტახა იასინ რამადანმა საერთაშორისო ექსპერტთა მისიის მუშაობა მკაცრად გააკრიტიკა და მათ ჯაშუშობა დააბრალა. **"ინსპექტორები ჩამოვიდნენ, რათა მოამზადონ ნიადაგი და მოაგროვონ ინფორმაცია ომის დაწყებამდე. ეს ბრალდებაც კი არ არის, რადგან ერაყში ინსპექტორების მუშაობა პირველივე დღიდან ჯაშუშობას ისახავდა მიზნად. ისინი ერთდროულად ჯაშუშობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და მოსადის სასარგებლოდ,"**- განაცხადა ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა. მან ბაღდადში ინსპექტორების მიერ პრეზიდენტის ერთ-ერთი სასახლის შემოწმების ფაქტი დაგმო. მისი თქმით, ექსპერტებს იმედი ჰქონდათ, რომ ერაყელები სასახლის შემოწმებაზე უარს ეტყოდნენ და ამით ინციდენტის პროვოცირების საშუალება მიეცემოდათ. ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს №1441 რეზოლუციაში, რის საფუძველზედაც ინსპექტორები ერაყში ჩავიდნენ, რამდენიმე ნაღმია ჩადებული და მისიის მიზანსაც ამ ნაღმების ამოქმედება წარმოადგენს.

ერაყის ვიცე-პრეზიდენტი ტახა იასინ რამადანი

REUTERS

პარალელურად, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია შიშობს, რომ ერაყი თავისი მოხსენებით გაერო-ს ექსპერტების ჩიხში შეყვანას შეეცდება. თეთრი სახლის პრეს-მდივნის არი ფლეიშერის განცხადებით, აშშ-ს ოფიციალური პირები არ გამორიცხავენ, რომ დოკუმენტში აღწერილი იქნება ის მრავალრიცხოვანი მასალები და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო მრეწველობაში. ოფიციალურმა ვაშინგტონმა უკვე შექმნა სამთავრობო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დეტალურად შეისწავლის ერაყის მთავრობის მიერ 8 დეკემბერს წარდგენილ მოხსენებას. "ვაშინგტონ პოსტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ჯგუფში ასევე შევიდნენ ამერიკულ ლაბორატორიებში მომუშავე ის მეცნიერები, რომლებსაც მოანალიტიკოსებიცა და პოლიტიკოსებიც სულ უფრო ხშირად საუბრობენ ერაყის ალტერნატივაზე.

"ძალზე ბევრი იქნება იმაზე დამოკიდებული, ენდომება, თუ არა ერაყის ახალ რეჟიმს ოპეკ-ის წესების აღიარება", - განაცხადა სამერ შეჰატამ, ვაშინგტონში ბაზირებული არაბული სამყაროს შემსწავლელი ცენტრის ექსპერტმა. "შეერთებული შტატები კმაყოფილი იქნება, თუ ერაყში დემოკრატიული რეჟიმი დამყარდება. დემოკრატიული სახელმწიფოები კი, როგორც წესი, ოპეკის წევრები არ არიან", - განუცხადა ტელეკომპანია "ემესენბისის" ჟურნალისტს სახელმწიფო დეპარტამენტის ანონიმმა თანამშრომელმა.

ლონდონის გლობალური ენერგიის შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, არ არის გამორიცხული, რომ ერაყს საუდის არაბეთზე მეტი ნავთობის რეზერვები აღმოაჩნდეს.

"თუ ერაყის სანავთობო სექტორი სრულად განვითარდება და წარმოება დღეში 7-8 მილიონ ბარელს მიაღწევს, მაშინ ერაყი შეძლებს საუდის არაბეთის, როგორც მსოფლიოში ნავთობის მთავარი მიმწოდებლის, ჩანაცვლებას. შესაბამისად, საუდის არაბეთის სანავთობო იარაღი განეიტრალდება", - ამბობს დოქტორი ფ.ჯ. ჩალაბი, ერაყის ნავთობის მინისტრის ყოფილი მოადგილე.

ახლო აღმოსავლელი და ამერიკელი ექსპერტების თქმით, საუდის არაბეთმა შესაბამისი თადარიგი უკვე დაიჭირა და ნავთობის მიწოდება გაზარდა, რათა საკუთარი გავლენა მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე კიდევ უფრო გააძლიეროს. საუდის არაბეთის ეს ნაბიჯი სწორედ, ერაყის ომის მოსალოდნელი შედეგებით არის ნაკარნახევი.

შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, საუდის არაბეთმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამერიკის ბაზარზე ნავთობის ძირითადი მიმწოდებლის პოზიციები განიმტკიცა და ვაშინგტონს ნავთობის მიწოდების გაზრდაც შესთავაზა. დეკემბერში საუდებმა დღიური მოპოვება 1 მილიონი ბარელით გაზარდეს (კონკურენტების ბაზრებიდან გამოსადევნად) როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ფაქტობრივად, მათ იმ კვოტას გადააჭარბეს, რომელიც ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა მიერ არის დაწესებული.

ექსპერტების თქმით, 1980-იანი წლიდან მოყოლებული საუდის არაბეთის სანავთობო კომპანიამ ჭარბი რესურსები კონკურენტთა ჩამოსაშორებლად, სულ მცირე, სამჯერ გამოიყენა. ახლა, შეერთებული შტატების ბაზარზე ადგილის შესანარჩუნებლად, საუდის არაბეთმა ამერიკულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს ბარელ ნავთობზე 1-დოლარიანი შეღავათი დაუწესა. ანალიტიკოსთა გათვლებით, ფაქტობრივად, არცერთ სხვა მწარმოებელს არ შეუძლია მსგავსი საფასო პოლიტიკის ხანგრძლივი დროით განხორციელება.

"საუდის არაბეთის საწარმოო სიმძლავრეები მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილებების მქონე ქვეყნებს ერ-რიადზე დამოკიდებულს ხდის", - აღნიშნავენ ედვარდ მორსი და ჯეიმს რიჩარდსი "ფორინ ეფეარსში". "ეს ბირთვული იარაღის ენერგეტიკული ეკვივალენტია, უძლიერესი შემკავებელი ფაქტორი იმათ წინააღმდეგ, ვინც საუდთა ლიდერობასა და მათ მიზნებს წინ აღუდგება".

საუდის არაბეთის მმართველებს ეჭვი აქვთ, რომ კონფლიქტის შემდეგ ამერიკელები და რუსები ერაყის უზარმაზარი ნავთობის საბადოების ათვისებას აპირებენ საფრანგეთთან და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად. უკანასკნელი გათვლების თანახმად, ერაყის ამჟამინდელი საწარმოო სიმძლავრეები (2.7 მილიონი ბარელი დღეში) შესაძლოა, ხუთი წლის განმავლობაში სათანადო ინვესტიციების შემთხვევაში 2-3-ჯერ გაიზარდოს.

იმ შემთხვევაში, თუ ერაყში ამერიკელთა სამხედრო აქცია ხანგრძლივი და ამერიკელთათვის არცთუ ისე წარმატებული იქნება, ეს ნავთობზე ფასების უეცარ გაზრდას გამოიწვევს. ბაზრის სტაბილიზირებისათვის აუცილებელი რეზერვები კი მხოლოდ საუდის არაბეთს აქვს. ექსპერტების თქმით, დაახლოებით ოცდაათი დღის ვადაში საუდის არაბეთს წარმოების დამატებით ორი მილიონი ბარელით გაზრდა შეუძლია.

"საუდის არაბეთი ნავთობის ცენტრალური ბანკია", - ამბობს ჯ. რობინსონ ვესტი, "პეტროლიუმ ფაინანსის" პრეზიდენტი. "ბაზარზე სტაბილურობას სწორედ საუდის არაბეთი განაპირობებს. რაც უფრო მეტი ნავთობის ჭერის მოსაპოვებლად და, ფაქტობრივად, დასტური მიიღეს. გამოკვლევა აჩვენებს, რომ თურქების 83 პროცენტი მათი მეზობლის წინააღმდეგ ომში თურქული ბაზების გამოყენების წინააღმდეგია. ამერიკელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჭარბობს პაკისტანშიც, რომელიც, თურქეთის მსგავსად, ამერიკის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა მუსლიმურ სამყაროში.

ბუში გამოკვლევის შედეგებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: "მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მიზანი, ვებრძოლოთ ფანატიკოსთა ჯგუფებს და არა რელიგიას, რეგიონში კარგად არის ცნობილი. მთელ მსოფლიოში ჩვენი საერთაშორისო იმიჯის შესალახად პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს".

"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რათა შევახსენოთ ხალხს, რომ ჩვენ დამპყრობლები არ ვართ. ჩვენ გამათავისუფლებლები ვართ", - დასძინა პრეზიდენტმა ბუშმა.

"პიუს ცენტრის" მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას ამერიკელებისაგან განსხვავებული პრობლემები აწუხებს. ამერიკელები მასობრივი განადგურების იარაღს მსოფლიოს უმთავრეს პრობლემად თვლიან, მაშინ როდესაც მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა ძირითად საფრთხედ მიიჩნევს შიდსს, გარემოს დაბინძურებას, ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს და მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდ უფსკრულს. "პიუს ცენტრის" მიერ კვლევის ჩატარება 4 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა და ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბურია დღემდე ჩატარებულ კვლევებს შორის; 44 ქვეყანაში გამოკითხულ იქნა 38 000 მეტი ადამიანი, რისთვისაც საჭირო გახდა კითხვარის 46 ენასა და 17 დიალექტზე გადათარგმნა.

ამერიკა მსოფლიოში პოპულარობას კარგავს

რევაზ ბახტაძე

მსოფლიოში ამერიკის პოპულარობა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაეცა. ამავდროულად, ამერიკელთა შეხედულებები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე მკვეთრად განსხვავდება მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობის მოსაზრებებისგან, - ნათქვამია "პიუს საზოგადოებისა და პრესის კვლევის ცენტრის" მოხსენებაში.

ამ გამოკვლევის თანახმად, მუსულმანური სახელმწიფოების უმრავლესობაში ანტიამერიკული განწყობა ძალიან ძლიერია. "ძალზე ცოტა ამერიკელმა თუ იცის, რაოდენ კრიტიკულად არიან განწყობილები ჩვენს მიმართ მთელ მსოფლიოში და რისთვის გვაკრიტიკებენ", - აღნიშნა ენდრიუ კოჰუტმა, "პიუს ცენტრის" დირექტორმა, რომელმაც გამოკითხვის შედეგები კონგრესს ოთხშაბათს მოახსენა.

გამოკვლევის შედეგები სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც პრეზიდენტი ბუში თავის დიპლომატებს მთელ მსოფლიოში აგზავნის საერთაშორისო კოალიციის შესაქმნელად, რათა ერაყში მმართველი რეჟიმი შეცვალოს.

აღნიშნული გამოკვლევის შედეგები ცხადყობს, რომ საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა სადამ ჰუსეინის რეჟიმის ძალით შეცვლის წინააღმდეგია. ამერიკელთათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ვაშინგტონის უახლოესი მოკავშირის - ბრიტანეთის მოსახლეობის აზრი. ერაყში ომს ბრიტანელთა მხოლოდ 47 პროცენტი უჭერს მხარს.

ამ კვირაში ამერიკელი მაღალჩინოსნები თურქეთს ეწვივნენ ერაყის წინააღმდეგ ომში ანკარას მხარდაჭერის მოსაპოვებლად და, ფაქტობრივად, დასტური მიიღეს. გამოკვლევა აჩვენებს, რომ თურქების 83 პროცენტი მათი მეზობლის წინააღმდეგ ომში თურქული ბაზების გამოყენების წინააღმდეგია. ამერიკელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჭარბობს პაკისტანშიც, რომელიც, თურქეთის მსგავსად, ამერიკის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა მუსლიმურ სამყაროში.

ბუში გამოკვლევის შედეგებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: "მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მიზანი, ვებრძოლოთ ფანატიკოსთა ჯგუფებს და არა რელიგიას, რეგიონში კარგად არის ცნობილი. მთელ მსოფლიოში ჩვენი საერთაშორისო იმიჯის შესალახად პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს".

"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რათა შევახსენოთ ხალხს, რომ ჩვენ დამპყრობლები არ ვართ. ჩვენ გამათავისუფლებლები ვართ", - დასძინა პრეზიდენტმა ბუშმა.

"პიუს ცენტრის" მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას ამერიკელებისაგან განსხვავებული პრობლემები აწუხებს. ამერიკელები მასობრივი განადგურების იარაღს მსოფლიოს უმთავრეს პრობლემად თვლიან, მაშინ როდესაც მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა ძირითად საფრთხედ მიიჩნევს შიდსს, გარემოს დაბინძურებას, ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს და მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდ უფსკრულს. "პიუს ცენტრის" მიერ კვლევის ჩატარება 4 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა და ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბურია დღემდე ჩატარებულ კვლევებს შორის; 44 ქვეყანაში გამოკითხულ იქნა 38 000 მეტი ადამიანი, რისთვისაც საჭირო გახდა კითხვარის 46 ენასა და 17 დიალექტზე გადათარგმნა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნავთობის ბაზრებისთვის ომია

ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების ძირითად საზრუნავს ერაყის წინააღმდეგ ომში წარმოადგენს ნავთობის ფასი, მისი წარმოებისა და მიწოდების საკითხები. ნავთობის უდიდეს მწარმოებელ სახელმწიფოსა და რეგიონში აშშ-ს მოკავშირე საუდის არაბეთს ადარდებს კონკურენტის გაჩენა ერაყის სახით და დასავლურ ბაზრებზე პოტენციურ კონკურენტს დღესვე იცილებს.

რევაზ ბახტაძე

ერაყში ომის დაწყება ამერიკის მოკავშირეებში, რბილად რომ ვთქვათ, აღფრთოვანებას არ იწვევს. არადა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის შესაცვლელად წარმოებულ ომში (თუ ომი დაიწყო, რასაკვირველია) ვაშინგტონისთვის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ამერიკის დიდი ხნის მოკავშირე, საუდის არაბეთი, იმ ქვეყნების რიცხვში შედის, რომელთა ინტერესები ბაღდადის წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში დაზარალდება.

ამერიკისა და საუდის არაბეთის მოკავშირეობას საფუძვლად ნავთობი უდევს. მაგრამ, შესაძლოა, ორი ქვეყნის ურთიერთობებში "განხეთქილების ვაშლი" სწორედ ნავთობი გახდეს.

ერაყი, რომელიც მსოფლიოში ნავთობის რეზერვებით მხოლოდ საუდის არაბეთს ჩამორჩება, სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლის შემდეგ ნავთობს დიდი მოცულობით გაიტანს საერთაშორისო ბაზარზე. დასავლელი ექსპერტების თქმით, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ერაყი საუდის არაბეთს ჩაენაცვლოს ამერიკის ბაზარზე.

ქვეყნის მმართველ საუდების დინასტიას, ამერიკასთან მოკავშირეობის გამო, შიდა უკმაყოფილების განეიტრალება არაერთგზის მოუხდა. ამის მიუხედავად, სამეფო ოჯახი შეერთებულ შტატებთან კავშირს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა, რადგან ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ვაშინგტონის მუდმივი მხარდაჭერისა და უსაფრთხოების გარანტია ჰქონდა. ამ გარანტიას კი საუდის არაბეთში არსებული ამერიკული სამხედრო ბაზა განაპირობებს. ამავე დროს საუდები რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებს აფინანსებენ, რათა შიდა უკმაყოფილების დაბალანსება შეძლონ. ეს კი ამერიკელებს აშკარად არ მოსწონთ. 2001 წლის 11 სექტემბერის შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ტერაქტებში საუდის არაბეთის 15 მოქალაქე მონაწილეობდა, ნავთობის მოწოდების დივერსიფიცირების საკითხი კონგრესში მწვავედ დაისვა. კონგრესმენთა აზრით, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, საუდის არაბეთის გამო, კორექტირება არ უნდა სჭირდებოდეს.

საუდის არაბეთის მიერ მოწოდებული იაფი ნავთობის ალტერნატიული წყაროების ძიება ჯერ კიდევ პრეზიდენტ კლინტონის დროს დაიწყო, რათა ერ-რიადზე ამერიკის დამოკიდებულება შეემცირებინა. დღეს ამერიკელი ექსპერტების ნაწილი საუდის არაბეთის სანავთობო ბაზარზე ერაყის ალტერნატივას ხედავს. ამ ექსპერტების აზრით, ერაყის ნავთობის მოპოვების ხარჯები ბარელზე 1 დოლარს არ აღემატება, ხოლო საუდის არაბეთში ეს მაჩვენებელი 2 დოლარია. ერაყის ნავთობის ხარისხიც საუდის არაბეთის ნავთობის ხარისხის ტოლფასია. ამ ექსპერტების აზრით, ერაყის ნავთობის ექსპორტის ზრდა ბაზარზე ნავთობის ფასის ვარდნას გამოიწვევს.

სკოლის გასათბობადაც მსოფლიო ბანკის იმედად ვართ

დეკემბრის ამ სუსხიან დღეებში თბილისის სკოლებში თუ მოგიხდებათ შესვლა, ნახავთ გაკვეთილზე პალტოებით ჩამომსხდარ მოსწავლეებს, სამასწავლებლოში თვითნაკეთი ელექტროქურის გარშემო თავშეყრილ მასწავლებლებს, დენის გათიშვის გამო გენერატორებისა და ნავთქურების შესაძენად დარაზმულ მშობლებს, თვალში მოგხვდებათ სკოლის ფანჯრებიდან გამოჩრილი შეშის ღუმელების ჟანგისფერი მილები... მიუხედავად ამისა, წლევანდელი გათბობით ძალიან უკმაყოფილოს ვერავის ნახავთ.

ეთერ ჩიბოგიძე

თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურს დაქვემდებარებული 417 ობიექტიდან შარშან 107-ს ავტონომიური გათბობა ჰქონდა. 12 ობიექტი თბოელექტროცენტრალის საშუალებით თბებოდა, ხოლო დანარჩენი გათბობის ალტერნატიულ საშუალებებს - შეშას, ნავთს, აგრეთვე, დიზელის, ელექტრო და გაზის ღუმელებს იყენებდა.

წლევანდელი ზამთრის სეზონი, შარშანდელთან შედარებით, უფრო ადრე - 15 ნოემბერს დაიწყო. მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების პროგრამით, დედაქალაქის 77 სკოლაში ეტაპობრივად უნდა დაემონტაჟებინათ ინდივიდუალური გათბობის ქვაბები. მონტაჟი მარტში დაიწყო და დღეისთვის 51 სკოლას აქვს ინდივიდუალური გათბობის ქვაბი. მონტაჟი ჩატარდა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის მიხედვით. გაიმარჯვა საბერძნეთის ფირმამ, რომელმაც დაამონტაჟა ბერძნული და იტალიური უნივერსალური ქვაბები. ისინი მუშაობენ როგორც თხევად საწვავზე (სალიარი), ისე ბუნებრივ აირზე. ამ პროგრამის დამკვეთი და დამფინანსებელია მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობა. პროგრამამ მთელი განათლების სისტემა უნდა მოიცვას და თბილისის მასშტაბით გაგრძელდეს 2008 წლამდე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაკანონებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, განათლების სამეურნეო სამსახურმა, ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით, საჭირო საწვავზე ღია საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. საქართველოში მოქმედ 29 საკონსულოს გაუგზავნეს წერილობითი შეტყობინება, რომ ტენდერში მიეღოთ მონაწილეობა. სატენდერო კომისიებმა გამოავლინეს გამარჯვებული ორგანიზაციები და 10 ნოემბრიდან დაიწყო საწვავის ეტაპობრივად შემოზიდვა. ინდივიდუალური გათბობის ქვაბები თხევად საწვავსა და ბუნებრივ აირზე მუშაობენ, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ელექტროენერგია. ელექტროენერგიის მიწოდებაში შეფერხებების გამო, სკოლები ცდილობენ, შეიძინონ გენერატორები, ან გამოიყენონ გათბობის ალტერნატიული საშუალებები. "ჩვენ ვერიდებით ელექტროენერგიის კუსტარულ მიწოდებას, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს "ეი-ი-ეს თელასთან", "თბილგაზთან". შეთანხმების მიხედვით, ისინი არც ერთ ობიექტს არ გამოგვირთავენ, თუ რაიმე მიზეზით მთელი რაიონი ან ქალაქი არ გამოირთო",- აცხადებენ განათლების სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელები. მათივე თქმით, ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან, გათბობაზე ნორმატივები დააწესონ. ერთცვლიან სკოლებს დღეში 6 საათით ათბობენ, ცვლანახევრიანებს - 8 საათით, ხოლო ორცვლიან სკოლებს - 10 საათით. გათბობის ასეთი წყვეტილი მიწოდება, ცხადია, მოქმედებს გათბობის ხარისხზე. ცუდად, ან საერთოდ არ თბება დერეფნები თუ სპორტული დარბაზები.

"გათბობა იდეალური რომ იყოს, მხოლოდ მსოფლიო ბანკის იმედზე არ უნდა ვიყოთ, - ამბობს სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩიაშვილი, - მთავრობამაც უნდა იზრუნოს, რომ ჩვენშივე შეიქმნას მარტივი სისტემები. მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში მზადდება მარტივი, საიმედო და ეკონომიური ქვაბები, რომელიც შეიძლება ჩაირთოს ძველ სისტემებში. გარდა ამისა, 31-ე ქარხნის მიერ გამოშვებული გაზის გამათბობლები იქნებ ტექნოლოგიურად ისე შემუშავდეს, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება სასწავლო და აღმზრდელობით დაწესებულებებში. ბიუჯეტში უნდა ჩაიდოს როგორც ახალი სისტემების მონტაჟი, ისე არსებული სისტემების სარეაბილიტაციო თანხები".

რაც შეეხება ზოგიერთი სკოლის დირექტორის მიერ გამოთქმულ სურვილს სალიარის საწვავის გაზით შეცვლის შესახებ, სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ "თბილგაზს" უკვე წარუდგინეს 65 სკოლისა და ბაღის სია, რომლებშიც სალიარზე მომუშავე ინდივიდუალური საქვაბე დგას და მისი გაზზე გადაყვანა სთხოვეს. "თბილგაზიდან" მოსული ოფიციალური შეტყობინებით, 65-დან 32 ობიექტში არის ამის საშუალება. სამეურნეო სამსახურის დაკვეთით, "თბილგაზში" მზადდება პროექტი და მომავალი წლიდან ეს ობიექტები გაზის საწვავზე გადავა.

ზამთრისთვის მზადება ითვალისწინებს, აგრეთვე, შეშით მომარაგებასაც, რაც ცენტრალიზებულად მიმდინარეობს. საბაზო ობიექტებში შეშა უკვე შემოზიდულია და კვირის ბოლომდე ობიექტებს მიეწოდება.

ოთხდღიანი შიმშილობის მარგი ძმედების კოეფიციენტი

ირაკლი პეტრიაშვილი

იგნასიო ირიბარენი

"ეი-ი-ეს თელასის" გაერთიანებული პროფკავშირების საპროტესტო აქციისა და თანამშრომელთა ოთხდღიანი შიმშილობის შემდეგ ამერიკული კომპანია სერიოზულ დათმობებზე წავიდა. "ეი-ი-ესი" მზად არის, პროფკავშირების ცხრაპუნქტიანი მოთხოვნებიდან უმრავლესობა დააკმაყოფილოს.

ეთერ მამულაშვილი

შეგახსენებთ, რომ "ეი-ი-ეს თელასის" ათასამდე თანამშრომელი საკუთარ კომპანიას გასულ კვირას საჯაროდ დაუპირისპირდა. ისინი ადმინისტრაციისგან ხელფასების მომატებას, ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათების დაწესებას, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაუქმებასა და, თანამშრომელთა პენსიაზე გასვლის შემთხვევაში, პენსიაზე დანამატის დაწესებას მოითხოვდნენ. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, "ეი-ი-ეს თელასის" გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ, წევრებმა და კომპანიის თანამშრომლებმა, ორშაბათიდან შიმშილობა დაიწყეს.

გუშინ ამერიკული კომპანიის გენერალური დირექტორი, ლონდონიდან წინა საღამოს დაბრუნებული იგნასიო ირიბარენი გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარეს ირაკლი პეტრიაშვილს შეხვდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ "ეი-ი-ეს თელასი" ამბოხებულ თანამშრომლებს შეჰპირდა, რომ, მომავალი წლის იანვრიდან, მათ ელექტროენერგიაზე მნიშვნელოვანი შეღავათი ექნებათ. კერძოდ, იმ ათას ორასამდე თანამშრომელს, რომელთა სახელფასო ანაზღაურება 400 ლარს არ აღემატება, კომპანია, ყოველთვიურად 200 კილოვატსაათ ელექტროენერგიას ჩუქნის, დანარჩენებს კი – 100-ს.

"ეი-ი-ესი" თანახმაა, გააუქმოს მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები და თითოეულ თანამშრომელს გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებას ჰპირდება. უფრო მეტიც: 9 დეკემბრიდან კომპანიის 120 პერსონალს მუდმივი თანამშრომლის სტატუსი მიენიჭება.

რაც შეეხება პენსიების საკითხს, ამერიკული კომპანია ამ ეტაპზე თავს იკავებს დანამატების დაწესებისგან. "ეი-ი-ესი" თანამშრომლებს ჰპირდება, რომ ამ საკითხს უახლოეს მომავალში განიხილავს და, სავარაუდოდ, დადებითად გადაწყვეტს.

"იმის გამო, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს კერძო საპენსიო ფონდი, ვფიქრობ, ჩვენი მოთხოვნა უსაფუძვლო და უსამართლოც იყო, მაგრამ კომპანიის ადმინისტრაციამ გვითხრა, რომ, შესაძლოა, თავად ჩამოაყალიბოს კერძო საპენსიო ფონდი", - გვითხრა ირაკლი პეტრიაშვილმა.

მოშიმშილეები ამერიკული კომპანიის ზეპირ დაპირებას არ ენდნენ და "ეი-ი-ეს"-ისგან პირობის შესრულების დოკუმენტური დადასტურება მოითხოვეს. კომპანია აქაც დათმობაზე წავიდა და ამბოხებულებს ჩააბარა ხელმოწერილი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც უახლოეს დღეებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაში გაივლის რეგისტრაციას.

ასეთი შეთანხმების შემდეგ თანამშრომლები იმდენად კმაყოფილები არიან, რომ გადაწყვიტეს, ხელფასების მომატების მოთხოვნით აღარ შეაწუხონ ხელმძღვანელობა. კონსენსუსის მიღწევის შემდეგ პროფკავშირში აცხადებდნენ, რომ მათი აქცია კომპანიის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. **"ფაქტობრივად, ეს იყო დემარში იმ პროფკავშირების მიმართ, რომლებიც არაფერს აკეთებენ საკუთარი წევრების დასაცავად",** - ასე განმარტა პეტრიაშვილმა ოთხდღიანი აქციის მნიშვნელობა.

მალე გაზაფხული მოვა: "ეი-ი-ეს თელასი" მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებას ჰპირდება

უახლოეს ორ კვირაში კომპანია "ეი-ი-ეს თელასი" დაიწყებს საკუთარ აბონენტებთან ინდივიდუალური სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმებას. უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდების, ოცდაოთხსაათიანი გრაფიკის დარღვევისა და სხვა პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თითოეულ მოქალაქეს საშუალება ექნება, სასამართლოში უჩივლოს ამერიკულ კომპანიას. თბილისელები "ეი-ი-ეს თელასთან" კონტრაქტს გააფორმებენ შესაბამისი რაიონის ბიზნეს-ცენტრებში.

ეთერ მამულაშვილი

დედაქალაქის ახლად შექმნილი თვითმმართველობის ორგანო უნდობლობას უცხადებს ამერიკულ კომპანიას. საკრებულოში აცხადებენ, რომ "ეი-ი-ესი" სამომხმარებლო კონტრაქტის გაფორმებას არც ამჯერად იჩქარებს, რადგან ის ხელშეკრულების პროექტით ნაკისრ ვალდებულებებს გაურბის.

"ეი-ი-ესი" თბილისში შემოსვლისთანავე ყოველდღე ჰპირდება მოსახლეობას, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულებას გაუფორმებს, მაგრამ ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებდა მას. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე მოხდება, რადგან "თელასს" არ სურს, საკუთარ თავზე აიღოს ის, რაც მათი წყალობით ხდება ქალაქში", - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ.

ამერიკულ კომპანიაში აცხადებენ, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულების გაფორმების გაჭიანურება საკონტრაქტო დოკუმენტის რამდენიმე პუნქტის ორაზროვნებამ და გაუმართაობამ გამოიწვია. ზოგიერთი დეტალი ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან ახლაც ზუსტდება.

მომდევნო ერთი კვირის მანძილზე სემეკისა და "ეი-ი-ეს თელასის" იურისტები იმსჯელებენ, როგორ მოიქცეს ამერიკული კომპანია იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი უარს იტყვის "ეი-ი-ესთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე. "გარდა ამისა, გადასაწყვეტია ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც. დღეს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საკუთარი საცხოვრებელი სახლი გაქირავებული აქვს. ასეთ შემთხვევაში ვინ უნდა გააფორმოს "ეი-ი-ეს თელასთან" ხელშეკრულება - სახლის მესაკუთრემ თუ დამქირავებელმა? ამჟამად ამას ვარკვევთ", - გვითხრა ამერიკული კომპანიის მომხმარებელთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვალერი ფანცულაიამ.

ამ საკითხების მოგვარებისთანავე, კომპანია თბილისელებთან სამომხმარებლო ხელშეკრულების გაფორმებას დაიწყებს. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ამერიკულ კომპანიას კონტრაქტების გასაფორმებლად 31 დეკემბრამდე აძლევს ვადას. "ეი-ი-ესი" ითხოვს, ამ ვადამ მომავალი წლის გაზაფხულამდე გადაიწიოს. სემეკი მზად არის, ამ დათმობაზეც წავიდეს, თუ კომპანია პირობას შეასრულებს და ხელშეკრულებების გაფორმებას წლის ბოლომდე დაიწყებს.

რუსეთი დელფინ "აფალინას" წინააღმდეგ

კონვენციას "გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" საქართველო 1996 წლის აგვისტოდან შეუერთდა. ამ კონვენციის სახით შექმნილია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი სისტემა. მონაწილე მხარეთა (156 ქვეყანა) კონფერენცია ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

სანტ-იაგოში გამართულ მე-12 კონფერენციაში საქართველოს ორკაციანი დელეგაცია მონაწილეობდა. შეხვედრაზე მიღებული ახალი რეზოლუციები და გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს მომავალი 2 წლის განმავლობაში კონვენციის განხორციელებას საერთაშორისო დონეზე. ჩვენი დელეგაციის ინიციატივით, მხარეთა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გაამკაცრებს ამ კონვენციაში შესული დათვის სახეობათა კონსერვაციულ ღონისძიებებს. გარდა ამისა, საქართველომ წარადგინა წინადადება, რომლითაც მოითხოვდა შავი ზღვის დელფინის - აფალინას (tursiops truncatus) კონვენციის II დანართიდან I დანართში გადატანას.

საქმე ის არის, რომ I დანართში შეტანილია ის სახეობები, რომელთაც ამჟამად ემუქრებათ გადაშენების საფრთხე. ამიტომ ამ ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობა განსაკუთრებით მკაცრად უნდა დარეგულირდეს.

შავი ზღვის დელფინი "აფალინა" კონვენციის II დანართშია შეტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამჟამად არ ემუქრება გადაშენების საფრთხე, მაგრამ თუ საერთაშორისო ვაჭრობა ამ სახეობათა ნიმუშებით მკაცრად არ იქნება დარეგულირებული, შესაძლოა, ასეთი საფრთხის წინაშეც აღმოჩნდეს.

"ქართულ დელეგაციას ჰქონდა "აფალინას" კომერციული მიზნებისთვის გამოყენების მრავალი ფაქტი, მაგრამ ამ წინადადების წარდგენა და განხილვა მხარეთა კონფერენციის მიერ და მისი მხარდაჭერა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავდნენ ევროკავშირის ქვეყნები. რუსეთის მხარე კი უარყოფდა "აფალინას" კომერციული მიზნებისთვის გამოყენების ფაქტებს. კონფერენციაზე წინადადების პირველად გატანისას 8 ხმა დაგვაკლდა," - აღნიშნავს შეხვედრის მონაწილე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა ბიწაძე. ევროკავშირის ქვეყნებთან და ამ კონვენციის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ექსპერტ-იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ საქართველო, თავისი წინადადებით, მეორედ შევიდა მხარეთა კონფერენციის დასკვნით პლენარულ სხდომაზე და მიზანსაც მიაღწია. აღსანიშნავია, რომ წინადადება ფარული კენჭისყრით გავიდა. კონვენციის მიხედვით, დელფინი "აფალინა" დარჩება II დანართში, მაგრამ მისი დასახელების გასწვრივ იქნება საგანგებო მინიშნება: "პირველადი კომერციული მიზნებისთვის საერთაშორისო ვაჭრობა აკრძალულია".

დღეისთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მომზადებული აქვს კანონპროექტი "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით ვაჭრობის შესახებ". ეს კანონპროექტი უშუალოდ ამ კონვენციისთვისაა შექმნილი.

კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს მიერ წარდგენილი და კონფერენციაზე მიღებული წინადადება ძალაში შევა მიღებიდან 90 დღის შემდეგ.

მოკლედ

გუშინ, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თხოვნით, "დედამიწის მეგობრები - ინგლისი"-ს წარმომადგენლებმა ლონდონში, "ბი-პის" სათავო ოფისის წინ, საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი "ბი-პი"-სგან ბორჯომის ხეობის დაცვას მოითხოვდნენ. ტრანსპარანტები და მოთხოვნები მათ ჩვენმა მწვანეთა მოძრაობამ გაუგზავნა. ქართველი "მწვანეები" იმედოვნებენ, რომ ინგლისელი კოლეგების პროტესტი შედეგს გამოიღებს და "ბი-პი" უკან დაიხევს. **"24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტმა, შვიდთვიანი დებატების შემდეგ, მეორე და მესამე მოსმენით (83 ხმა 10-ის წინააღმდეგ) მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ".

პარლამენტარ ნატო ჩხეიძის შეფასებით, პარლამენტმა ნარკობიზნესისა და კონტრაბანდის განვითარების ხელშემწყობი კანონი მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მეხუთე დღეა, გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. ამ სკოლის 25-მდე პედაგოგი ექვსი თვის გაუცემელ ხელფასს ითხოვს და გაკვეთილების ჩატარებაზე უარს აცხადებს. როგორც გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლერი პაპუაშვილი აცხადებს, დღეს ამ სკოლის პედაგოგები მხოლოდ ორი თვის ხელფასს მიიღებენ და სასწავლო პროცესი განახლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილწყალკანალი" მაგისტრალური ქსელების რეაბილიტაციისთვის 500 მილიონ დოლარს ითხოვს. დაახლოებით, 30-40 წელია, წყალსადენის ქსელები არ გამოცვლილა, რის გამოც კვირაში რამდენჯერმე ქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე ქსელები მწყობრიდან გამოდის. მსოფლიო ბანკმა, ქსელების რეაბილიტაციისთვის, "თბილწყალკანალს" 25 მილიონი დოლარის გამოყოფა აღუთქვა, რასაც "თბილწყალკანალი", სავარაუდოდ, მომავალი წლის ივნის-ივლისში მიიღებს. **კავკას-პრესი**

თაბუკაშვილის №44 გამვლელებს კიდევ კარგა ხანს დააფრთხობს

ორშაბათს მერიაში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ თაბუკაშვილის N44-ის მობინადრენი ავარიული სახლიდან ამ კვირაში უნდა გაიყვანონ. მერიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ზოდელავას დავალებები ფურცელზე არ რჩება, თუმცა, მერიამ ამ სახლის მობინადრეთა დაკმაყოფილება რომც მოინდომოს, მათთვის სასურველს ვერაფერს შესთავაზებს.

ავარიული სახლი თაბუკაშვილის ქუჩაზე

ნანა ქადაგიშვილი

ამ დღეებში მერიამ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდს, ხანგრძლივი ლოდინისა და არაერთგზის მოთხოვნის შემდეგ, შეპირებული თანხის ნახევარი - 500 ათასი ლარი გადაურიცხა.

ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი და საავადმყოფოებს თავშეფარებული მოქალაქე ფონდის დაფინანსებას სექტემბრიდან ელოდა. ფონდის ხელმძღვანელი ზურაბ გუდავაძე აცხადებს, რომ მიღებული თანხით სასწრაფოდ დაიწყებენ ბინების შესყიდვას. თუმცა, თუ მერიამ და პრეზიდენტის ფონდმა შეპირებული 2,5 მლნ. მალევე არ მიაშველეს, 500 ათასი ლარი 2 ათასამდე დაზარალებულს ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს. მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ქალაქის გარეუბნებში ნაყიდ ბინებზე უარს აცხადებს.

თაბუკაშვილის №44-ის წინ მოსახლეობამ ჯერ კიდევ 5 წლის წინათ შემოღობა ქუჩა. მობინადრეებმა ეს პროტესტის ნიშნად გააკეთეს, მაგრამ ამ ქუჩაზე გამვლელებსაც ნაადგათ. სახლი იმდენად ავარიულია, რომ შეიძლება, ყოველ წამს ჩამოინგრას. აქ 9 ოჯახი ცხოვრობს. 2-3 წლის წინათ მერიას მათი გასახლება გადაუწყვეტია. მაშინდელ ვიცე-პრემიერს, მეძმარიაშვილს, ყიფშიძის ქუჩაზე გადაყვანა შეუთავაზებია, რაზეც მობინადრეები სიამოვნებით დათანხმებულან, მაგრამ მეძმარიაშვილს პირობის შესრულება არ დასცალდა. მალე იგი ღვინიაშვილმა შეცვალა და დაპირებაც მეძმარიაშვილს გაჰყვა. როგორც მოსახლეობამ გვითხრა, მიწისძვრამდე მათი სახლი აღარავის გახსენებია, თუმცა, არც მიწისძვრის შემდეგ იკლავენ თავს ჩვენი დახმარებითო, ჩივიან ისინი. თუმცა, ქალაქის ხელმძღვანელობას მთლად უყურადღებობას ვერ დავაბრალებთ. მოსახლეობა არ მალავს, რომ მერიამ მათ 2300-2300 დოლარი შესთავაზა, მაგრამ ცხრავე ოჯახს უარი უთქვამს - ამ თანხით გლდანში თუ ვიყიდით ბინას, იქ ცხოვრებას კი თაბუკაშვილზე დანგრეული სახლი გვირჩევნიაო, აცხადებს მოსახლეობა.

ორშაბათს მერიაში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ თაბუკაშვილის №44-ის მობინადრენი ავარიული სახლიდან ამ კვირაში უნდა გაიყვანონ. მართალია, მერიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ზოდელავას მიერ მიცემული დავალებები ფურცელზე არ რჩება, მაგრამ ზემოთ აღნიშნული განცხადების ავტორს ვერ მივაკვლიეთ. დავალება არც ფონდის ხელმძღვანელის გუდავაძის ყურამდე მისულა. თუმცა, მერიამ თაბუკაშვილის №44-ის მობინადრეთა გაყვანა რომც მოინდომოს, მათთვის სასურველს ვერაფერს შესთავაზებს. დაზარალებული მოსახლეობის უკმაყოფილების მიუხედავად, ფონდის ხელმძღვანელობა ბინების შეძენას ისევ თბილისის გარეუბანში აპირებს. მერიის მიერ მოცემული თანხით ამდენ დაზარალებულს რუსთაველზე და ვაკეში რომ ბინას ვერ ვუყიდით, დიდი მიხვედრა არ სჭირდებაო, პასუხობს გუდავაძე. თაბუკაშვილის №44-ის მცხოვრებლები კი არც გლდანსა და ლილოში წავლენ. "მთავრობას ვერ ვენდობით. აქედან თუ წავალთ, უკან აღარავინ დაგვაბრუნებსო", - აცხადებს მოსახლეობა.

რამდენად საფუძვლიანია ქალაქის ცენტრში მცხოვრებ დაზარალებულთა შიში, დროთა განმავლობაში გამოჩნდება. მერია ირწმუნება, რომ არავის არაფერი დაეკარგება, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას იმდენად გატეხილი აქვს სახელი, თბილისელებს მისი აღარ სჯერათ. ბევრს იმედი აქვს, რომ პროტესტითა და წინააღმდეგობის გაწევით მერიას აიძულებენ და სასურველ ბინას აყიდინებენ. მოსახლეობას საკრებულოს ზოგიერთი წევრის განცხადებებიც აგულიანებს. "ფონდის მიერ ნაყიდი ბინებიდან არც ერთი არ ვარგა, სამ წელიწადში დაინგრევა. მოსახლეობა მათი ბინების ფართისა და ღირებულების მიხედვით დააკმაყოფილონ და უკმაყოფილოც არავინ იქნება," - აცხადებს საკრებულოს მდივანი ზურაბ ჟვანია.

ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირება კანონიერია - ასეთია სასამართლოს ვერდიქტი

პირველი გვერდიდან

“სინამდვილეს არ შეესაბამება ადვოკატების განცხადება, რომ მათ საკმარისი დრო არ ჰქონდათ და ვერ მოასწრეს საქმის მასალების გაცნობა. ამის დრო მათ ნამდვილად ჰქონდათ, რადგან გენერალური პროკურორის დადგენილება სამი ჩეჩნის ექსტრადიციის შესახებ, მათ დადგენილების მიღებისთანავე გაასაჩივრეს. რუსულ და ქართულ ენაზე დაბეჭდილი საქმის მასალებიც იმავე დღეს გადაეცათ ბრალდებულებს. ეს ყველაფერი კი ერთი კვირის წინ მოხდა”, – ირწმუნებოდა პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსით მყოფი გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი პაატა მსხილაძე, რომელსაც რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტაციის სიმართლეში ეჭვი არ ეპარება.

ადვოკატი ლია მუხაშავრია განსასჯელებთან კონსულტაციის დროს.

“არ მივიღებთ მონაწილეობას ისეთ პროცესში, რომელიც არაობიექტურად, მიკერძოებით მიმდინარეობს და რაღაც შეკვეთას ემსახურება. საქმის მასალებს ჩვენ არ ვიცნობთ და კანონიერი უფლება გვაქვს, ამისთვის გარკვეული ვადა მოვითხოვოთ. მოსამართლეს კი ნამდვილად არა აქვს უფლება დროში შეგვზღუდოს,” – აღშფოთებას ვერ მალავდნენ ჩეჩნების ინტერესების დამცველები. რაც შეეხება რუსლან გელოგაევის, ხუსეინ ალეხანოვისა და რუსტამ ელიხაჯიევის ახლობლებსა და მათ გულშემატკივარ ჩეჩნებს, რომლებიც გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მრავლად იყვნენ, ექსტრადიციის საკითხის სასამართლოში განხილვის ფაქტზე ასეთი აზრი გააჩნიათ: **“ბრალდებულებისთვის განაჩენი უკვე გამოტანილია, სასამართლოში მათი საქმის განხილვა უბრალო ფორმალობაა. არადა, სამშობლოს დაცვისთვის ტერორისტებად მონათლულებმა სწორედ საქართველოს გამოუცხადეს ნდობა და მის საზღვრებსაც სწორედ ამიტომ მოადგნენ. მაინც გვაქვს იმედი, რომ ქართული მართლმსაჯულება მათ არ გაწირავს”**, - განაცხადეს ჩვენთან საუბრისას განსასჯელების ახლობლებმა.

როგორც უკვე გითხარით, დაცვის გარეშე დარჩენილ ჩეჩნებს სასამართლომ სახაზინო ადვოკატები დაუნიშნა. თუმცა, პროცესზე სასწრაფოდ მიყვანილმა სახაზინო დამცველებმაც მოსამართლეს საქმის მასალების გასაცნობად რამდენიმედღიანი ვადა მოსთხოვეს. ხანგრძლივი ფიქრისა და თათბირის შემდეგ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ არკად პარუნიანმა არც სახაზინო ადვოკატების მოთხოვნა დააკმაყოფილა; რუსეთიდან გამოგზავნილი ჩეჩნების ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობაზე მათაც უარი უთხრა. მოსამართლემ სასწრაფოდ, ერთი ხელის მოსმით განიხილა ჩეჩნების საქმე და მათი ექსტრადირების გადაწყვეტილებაც ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა.

ერთი სიტყვით, ხმაურიან და ხალხმრავალ პროცესზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გუშინ ადვოკატებისა და ბრალდებულების კონსტიტუციური უფლებები მართლმსაჯულებამ უხეშად დაარღვია. **“სასამართლომ პოლიტიკური დაკვეთა სამართალწარმოების კანონების დარღვევით, უპრობლემოდ შეასრულა”**, – ასეთია სასამართლო ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოტანილი საბოლოო ვერდიქტი. რაც შეეხება სამ ჩეჩენ პატიმარს, რომლებიც გუშინ მთაწმინდა-კრწანისიდან ორთაჭალის მეხუთე საპყრობილის გზას გაუყენეს, კანონით კიდევ ერთი შანსი ეძლევათ – რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაესში გასაჩივრების 10-დღიანი ვადა.

სავარაუდოდ, უზენაესი სასამართლოც ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რის შემდეგაც ბრალდებულებსა და მათ დამცველებს შეუძლიათ ევროსასამართლოს მიმართონ. თუმცა, საეჭვოა, ევროპელი მოსამართლეების განაჩენმა რუსლან გელოგაევს, ხუსეინ ალეხანოვსა და რუსტამ ელიხაჯიევს ორთაჭალის ციხეში მოუსწროს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვირობას ვადა გაუვიდა

ინგა ალავიძე

ერთმანეთის მიყოლებით მომხდარი ორი გატაცების - “ლუკოილის” ვიცე-პრეზიდენტის მამისა და ქუთაისის ავტომშენებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის გატაცების შესახებ, ჯერჯერობით, კვლავ არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ გამტაცებლებმა მძევლები შეაფასეს.

ქუთაისის ავტომშენებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ამირან ნაცვლიშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ გამტაცებლებმა 2 მილიონი დოლარი მოითხოვეს.

იმერეთის საოლქო პროკურორის მოადგილის გურამ გვენცაძის განცხადებით, ნაცვლიშვილის მეუღლეს გუშინ ღამით ტელეფონით დაუდგენელი პირები დაუკავშირდნენ და გამოსასყიდი მოითხოვეს.

კრიმინალთა კავშირზე გამოსვლის შემდეგ დადგინდა, რომ ნაცვლიშვილი გატაცებულია. მიუხედავად იმისა, რომ გატაცებულის ოჯახის წევრებს სამართალდამცავებისათვის ოფიციალური საჩივრით არ მიუმართავთ, სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე ქუთაისის პროკურატურაში გუშინ სისხლის სამართლის საქმე მაინც აღიძრა.

გამოძიება მომხდარ გატაცებასთან დაკავშირებით მწირ ინფორმაციას ფლობს, ჯერჯერობით დაუდგენელია, რა ვითარებაში მოხდა ნაცვლიშვილის გატაცება, უცნობია ეჭვმიტანილთა ვინაობაც.

თუმცა, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, ზაზა ძნელაძის განცხადებით, სამხარეო პოლიციის პირადი შემადგენლობა მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზეა გადასული და მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები.

გამოსასყიდი მოსთხოვეს “ლუკოილის” ვიცე-პრეზიდენტსაც. სადი შარიფოვის თავისუფლება გამტაცებლებმა 400 ათას დოლარად შეაფასეს. თუმცა, გამოსასყიდის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ძალოვანები უარყოფენ. ქვემო ქართლის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის განცხადებით, პროკურატურას მსგავსი შეტყობინება არ მიუღია. პროკურორის განცხადებას ეთანხმება ქვემო ქართლის პოლიციის უფროსი ალექსანდრე ბუკიაც.

სადი შარიფოვი მესამე დღეა, რაც ტყვეობაში იმყოფება. არადა, შს მინისტრმა მისი გატაცების მეორე დღესვე პირობა დადო – შარიფოვი 24 საათში გათავისუფლებული იქნებაო. მინისტრის პირობას გუშინ ღამით ვადა გაუვიდა.

აფხაზები საკუთარი პრობლემების ქართველებზე გადაბრალებას ცდილობენ

სოფიკო ჩხაიძე

"აფხაზებს ავიწყდებათ, რომ მათ ტერიტორიაზე უამრავი კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებს და ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ ყოველივე, თითქოს, ამ მხარეში დანაშაულს მხოლოდ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩასული პირები სჩადიან”, - განაცხადა გუშინ, ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის რაიონის პროკურორმა მებრძოლი ჭკადუამ, როცა ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის კომენტირება ვთხოვეთ.

საქმე ის გახლავთ, რომ გუშინ ჭუბურხინჯის შეხვედრა, თუ არ ჩავთვლით კოდორის ხეობის პატრულირების მოკლე ანგარიშს, მთლიანად მიეძღვნა გალის რაიონში ბოლო ერთი კვირის მანძილზე მომხდარ აფეთქებებს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თუ აქამდე აფხაზური მხარე 29 ნოემბერს გალის აფხაზური ადმინისტრაციის შენობაში მომხდარი აფეთქების მოწყობას ქართველ პარტიზანებს აბრალებდა, გუშინ, შეხვედრის მსვლელობისას, ბრალდების ობიექტად საქართველოს ხელისუფლება იქცა. გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ვალერი ლომიას თქმით: **„ეს აფეთქება იყო ტერორისტული აქტი და იმას ნიშნავს, რომ საქართველო ტერორისტულ ომს გვიცხადებს“**.

აფხაზები ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებენ 30 ნოემბერს, გალის რაიონის სოფელ შეშელეთში, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე მომხდარ აფეთქებაშიც. ამ ტერორისტული აქტის შედეგად აფეთქდა „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა და დაიღუპა მასში მსხდომი სამი ადამიანი. ორი მათგანი აფხაზეთში ცნობილი კრიმინალის, თავის დროზე ქართველების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის, ამჟამად კი სეპარატისტულ ხელისუფლებასთან დაახლოებული ვალერ ბუთბას დაჯგუფების წევრები იყვნენ, მესამე კი – ვინმე ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებამდე სოხუმში ცხოვრობდა, ომის დროს კი მისმა ოჯახმა აფხაზეთის ტერიტორია დატოვა და თბილისში გადმოსახლდა.

მებრძოლი ჭკადუას თქმით, მოკლული ანჩაბაძის მამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, თავად დაღუპული კი ძალზე ხშირად სტუმრობდა ზუგდიდს და სამართალდამცველებს მის შესახებ საკმაოდ საეჭვო ინფორმაცია გააჩნიათ. ზუგდიდის პროკურორი ანჩაბაძის მიმართ არსებული ბრალდებების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ მისი ყოფნა ბუთბას დაჯგუფების წევრებთან უკვე მრავლისმეტყველია.

”ყველაფრის ქართველებისთვის გადმობრალებით აფხაზური მხარე, სიტუაციის დაძაბვასთან ერთად, საკუთარი პრობლემების მიჩქმალვას ცდილობს. არადა, იქ რომ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის სისხლიანი გარჩევები უკვე შემაშფოთებელ სახეს იღებს, აღარავისთვისაა საიდუმლო”, - ამბობს მებრძოლი ჭკადუა.

ბანდიტებმა კიდევ ერთი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელის მშობელი გაიტაცეს

ტყვარჩელში გაიტაცეს რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ნავთობკომპანიის “სლავნეფტის” ვიცე-პრეზიდენტის ჯუმბერ ტყებუჩავას დედა. აფხაზ სეპარატისტთა შსს-მ ინფორმაცია, რომელიც აქამდე გასაიდუმლოებული იყო, გუშინ გახადა საჯარო. ოფიციალური ვერსიით, უცნობი პირები ტყებუჩავას დედასთან სახლში მივიდნენ და დაუდგენელი მიმართულებით წაიყვანეს. სავარაუდოდ, გატაცების ერთადერთ მიზანს ფულის გამოძალვა წარმოადგენს. თუმცა, გამტაცებლები გატაცებულის ახლობლებს ჯერ არ დაკავშირებიან და გამოსასყიდი არ მოუთხოვიათ.

არძინბას სამართალდამცველთა განცხადებით, გატაცება აფხაზ და ქართველ კრიმინალთა “ერთობლივი ნამუშევარია”. მათი მტკიცებით, ჯუმბერ ტყებუჩავას დედა ზუგდიდში გადაიყვანეს. ქართველი კანონდამცველები ამ ინფორმაციის გადამოწმებით არიან დაკავებულნი.

“მართალია, ჯუმბერ ტყებუჩავა ბიზნესმენი გახლავთ, მაგრამ იგი ისეთი მდიდარი არ არის, რომ მისი დედა აფხაზთა და ქართველთა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს გაეტაცა, რათა შემდეგ მიღებული თანხა გაენაწილებინათ.

კატეგორიულად უარვყოფ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ, თითქოს, გატაცებაში ქართველი პარტიზანები მონაწილეობდნენ. პარტიზანი თუ ჩავიდოდა ტყვარჩელში, იქედან ქალს ნამდვილად არ გაიტაცებდა. ასეთი შემთხვევა ჯერ არ მომხდარა.

საერთოდ, აფხაზეთში ადამიანების გატაცება ძალზე გახშირდა. ეს უკონტროლო ზონაა, სადაც თავი მოიყარეს სხვადასხვა ტიპის დამნაშავეებმა. აფხაზეთს თავს აფარებენ რუსეთისა და სხვა ქვეყნების მიერ ძებნილი კრიმინალები. შესაძლოა, ტყებუჩავას დედის გატაცება სწორედ მათ დაგეგმეს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მხარეს ჩვენთვის არ მოუმართავს, ჩვენ მაინც ვატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, მაგრამ სეპარატისტების ვერსია არ დასტურდება,” – “24 საათთან” საუბრისას განაცხადა აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ.

თურქეთში შეურაცხყოფილი მსაჯი სამართალს ვერც სამშობლოში პოულობს

თამარ კაკიტაძე

“სასამართლოში მიდი და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად იბრძოლე. თქვენ პირველი არ ხართ, ვინც თურქული ავია კომპანიის მსხვერპლი გახდა,” – დაარიგეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიქტორ ხოშაბა.

ჩოგბურთის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვიქტორ ხოშაბა რამდენიმე წელია, რაც საკუთარ ქალიშვილს, ბასმათ ხოშაბას სპორტის ამ სახეობაში ავარჯიშებს. 11 წლის გოგონას ცნობილი ჩოგბურთელი ლეილა მესხი მეტად ნიჭიერ და პერსპექტიულ სპორტსმენად ახასიათებს და მომავალში დიდ წარმატებებსაც უწინასწარმეტყველებს.

საქართველოს ბავშვთა ნაკრების წევრი, ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორი და სხვა შეჯიბრებებში გამარჯვებული ბასმათ ხოშაბა მიმდინარე წლის ივლისში, გერმანიაში, კერძოდ, ფრანკფურტში, ევროპის ეგიდით გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს. პატარა სპორტსმენმა შეჯიბრებაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა და მამა იძულებული გახდა, ბავშვი სასწრაფოდ თბილისში წამოეყვანა.

“ფრანკფურტიდან თბილისში ფრენა რამდენიმე დღის შემდეგ იყო დანიშნული. ამიტომ გადავწყვიტე ტრაპიზონში გადმოვფრენილიყავი და იქიდან წამოვსულიყავი საქართველოში. “თურქიშ აირლაინის” ავია კომპანიაში ტრაპიზონამდე ბილეთი რომ მოვითხოვე, მითხრეს – რეისი ხვალ არისო. სხვა გზა არ მქონდა. ორი ბილეთი ავიღე და იძულებული გავხდი, ავადმყოფ ბავშვთან ერთად ღამე აეროპორტში გამეტარებინა,” – მოგვიყვა ვიქტორ ხოშაბა.

“თურქიშ აირლაინის” ოფისში კლიენტს აუხსნეს, თვითმფრინავი ჯერ სტამბულში ჩაფრინდება და ორი საათის შემდეგ ტრაპიზონში გაფრინდებითო. დასახელებული მარშრუტი აღნიშნული იყო ბილეთებზეც.

მეორე დღეს მამა-შვილი სტამბოლში ჩაფრინდა. **“აეროპორტის თანამშრომლებს ბილეთები რომ ვაჩვენე, იქვე ქვეყნის შიდა რეისების აეროპორტში გამაგზავნეს. იქ ბილეთებს რომ ვაჩვენებდი, ხან იქით მგზავნიდნენ, ხან აქეთ. ნახევრ საათზე მეტი აქეთ-იქით მატარეს და ბოლოს გამომიცხადეს – თქვენი რეისი გაფრინდა და შემდეგ რეისზე გაგიშვებთო. მაგრამ გაფრენის უფლება მეორე რეისზეც არ მომცეს. მე თურქული არ ვიცი და ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე. მანიშნებდნენ ადგილები არ არისო. ამ დროს ვხედავდი, რომ თურქებს ნაღდ ფულზე ბილეთებს აძლევდნენ. მოვითხოვე თარჯიმანი, ან საქართველოს საკონსულოსთან დაკავშირება, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევდა. ბოლო რეისზეც რომ არ გამიშვეს, პოლიციას ვთხოვე, ჩვენი დეპორტირება მაინც მოეხდინათ. არც ამან მიშველა. ბავშვი ავად იყო, ამასობაში მეც ცუდად გავხდი, ნერვიულობაზე გულის შეტევა დამემართა. ვითხოვდი ექიმს, მაგრამ - უშედეგოდ,”** – ამბობს ხოშაბა.

ის ღამეც მამა-შვილმა თურქეთის აეროპორტში სკამებზე გაათენეს. მეორე დღეს იგივე სცენარი გამეორდა. ამასობაში თურქეთში მცხოვრები ქართველები გამოჩენილან და უთქვამთ: “ნაღდ ფულს თუ არ გადაუხდი, გაფრენის საშუალებას არ მოგცემენო”.

“ამდენი ფული აღარ მქონდა. ამიტომ მოლარეს ვთხოვე, ბილეთები უკან მიეღო და სტამბულიდან ტრაპიზონამდე თანხა დაებრუნებინა. დამცინეს, ფრანკფურტში წადი და ფულს იქ დაგიბრუნებენო”, – იხსენებს საერთაშორისო მსაჯი.

ერთი სიტყვით, ორდღიანი ხვეწნა-მუქარის შემდეგ ვიქტორ ხოშაბა ვერც ტრაპიზონის თვითმფრინავში მოხვდა და ვერც ფული დაიბრუნა. მშიერ-მწყურვალი მამა-შვილი იძულებული გახდა ტრაპიზონამდეც და საქართველომდეც იაფფასიანი ავტობუსით ჩამოეღწიათ.

“იმდენად შეურაცხყოფილი და დამცირებული ვიყავი, გადავწყვიტე, თურქული მხარისთვის პასუხი მომეთხოვა. საკუთარი ღირსების დაცვას საკუთარ ქვეყანაში მაინც რომ შევძლებდი, ეჭვიც არ მეპარებოდა და ამიტო თბილისში “თურქიშ აირლაინის” ოფისში მივედი,” – გვიყვება ხოშაბა.

როგორც ჩვენი რესპოდენტი აღნიშნავს, ამ ოფისში საქმის წარმოება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. მაგრამ დაზარალებული მგზავრისთვის უთქვამთ – “განცხადება თურქულ, ან ინგლისურ ენაზე დაწერეთ, ჩვენ თურქეთში გავგზავნით, მაგრამ პასუხს დაგვიბრუნებენ თუ არა, არ ვიცითო.” თურქების ოფისში მომუშავე ქართველი მოხელის გულგრილობამ ვიქტორ ხოშაბა კიდევ უფრო გაამწარა და ღირსების დასაცავად საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიმართა.

დაზარალებულმა სასარჩელო განცხადებაში მორალური და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად “თურქიშ აირლაინისგან” 50 ათასი დოლარი მოითხოვა. როგორც ხოშაბას ადვოკატმა ხათუნა თეზელაშვილმა გვითხრა, მოსამართლე თამაზ საბიაშვილმა, თურქული მხარის მოთხოვნით, პროცესი ორჯერ გადადო. მესამედ კი სხდომა დანიშნა 11 ოქტომბერს, 5 საათზე. მაგრამ პროცესზე მისულ მომჩივან მხარეს მოახსენეს, რომ სხდომა 1 საათზე ჩატარებულა და რადგანაც არ გამოცხადდნენ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

ამონაწერი გადაწყვეტილებიდან - **“განვიხილე საქმე ვიქტორ ხოშაბას სარჩელის გამო თურქული ავიაკომპანიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის სახით 50 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ”.** გადაწყვეტილების ამგვარმა შინაარსმა ხაოშაბა და მისი ადვოკატი საბოლოოდ დააეჭვა.

მომჩივანმა მხარემ სასამართლოს გადაწყვეტილება სასწრაფოდ გაასაჩივრა. ახალი პროცესი 22 ნოემბერს 1 საათზე დაინიშნა. მაგრამ, მდივნის განმარტებით, პროცესი კვლავ გადაიდო; ამჯერად, მოსამართლის ავადმყოფობის გამო. არადა, დაახლოებით 4 საათზე ხოშაბამ საბიაშვილი კაბინეტში ნახა.

მოსამართლის ამგვარი საქციელით და გადაწყვეტილების შინაარსით დაეჭვებულმა ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის შესწავლა მოითხოვა და აღმოაჩინა, რომ საქმეში სასარჩელო განცხადება საერთოდ არ არსებობს, ანუ ვიღაცამ გააქრო. **“დიდი წინააღმდეგობის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარესთან შევედი და მომხდარის შესახებ განცხადება დავუტოვე”**, – გვითხრა ადვოკატმა.

ერთი სიტყვით, სამართლის მაძიებელი ხოშაბა საკუთარ ქვეყანაშიც გაუგებრობაში აღმოჩნდა.

თუმცა, სასამართლოს საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს. **"ერთ-ერთ პროცესზე მართლაც მოხდა გაუგებრობა. როგორც შემდეგ გაირკვა, მდივანმა (ამჟამად იგი სასამართლოში აღარ მუშაობს) მომჩივანი მხარე სხვა დროს გააფრთხილა, პროცესი კი სხვა დროს იყო დანიშნული. ამიტომ, მხარის გამოუცხადებლობის გამო, მისი სარჩელი არ დავაკმაყოფილეთ. მეორე პროცესზე ავად გავხდი, რის გამოც ბევრი სხდომა გადაიდო. ამ ორმა შემთხვევამ ხოშაბა გაამწარა. თუმცა, ყველაფერი წინ არის. 18 დეკემბერს ახალი პროცესია დანიშნული და საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, რომელი მხარე დარჩება გამწარებული,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მოსამართლე თამაზ საბიაშვილმა.

ცნობილი ფეხბურთელების მამას მანქანა მოპარეს

გუშინ ცნობილი ფეხბურთელების შოთა, რეზო და არჩილ არველაძეების მამის, რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის, იუსტინე (კიჭა) არველაძის მანქანა გაიტაცეს. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსმა გოგი ნებიერიძემ გვითხრა, არველაძის მძღოლმა ავტომობილი “პეჟო” ავტოფარეხიდან გამოიყვანა და ვიდრე ძრავი გახურდებოდა, სახლში ავიდა. დაქოქილი მანქანა კი იოსებიძის ქუჩაზე დატოვა. უკან დაბრუნებულ მძღოლს “პეჟო” ადგილზე აღარ დახვდა. ავტომობილის და გამტაცებლების კვალს პოლიცია დღემდე ეძებს, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ. სხვათა შორის, ამ ქუჩის შესახებ თავად სამართალდამცველები, დიდი ხანია, ხუმრობენ: – იოსებიძეზე ფეხი გარეთ რომ დაგრჩეს, იმასაც მოგაჭრიანო. ეს კი, ალბათ იმის ბრალიც არის, რომ იოსებიძეზე “მოღვაწე” ბევრი დამნაშავე ხშირად, რატომღაც დაუსჯელი რჩება ხოლმე.

ნარკორეალიზატორი პანკისელი ქისტი თბილისში დააკავეს

სულ ცოტა ხნის წინათ პანკისის ხეობა რუსეთიდან საქართველოში ნარკოიმპორტის ერთ-ერთ ძირითად დერეფნად მიიჩნეოდა და მეტიც, საუბრობდნენ ხეობაში ნარკოტიკების გადასამუშავებელი ქარხნის არსებობაზეც. მაგრამ პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყების შემდეგ, ქართველ სამართალდამცველთა ინფორმაციით, ხეობა არა მხოლოდ ჩეჩენი ბოევიკებისა და პანკისს თავშეფარებული კრიმინალებისგან გაიწმინდა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა პანკისის ხეობიდან ნარკოტიკების მთელ საქართველოში გავრცელებაც. თუმცა, პრობლემა რომ მთლიანად არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, ამას ბოლო ხანებში პოლიციის მიერ რამდენიმე ნარკორეალიზატორის დაკავებაც მოწმობს. პანკისის ხეობაში შეძენილი დიდი რაოდენობით ჰეროინის თბილისში რეალიზების გამო დაკავებული სიღნაღელი ნინო ბეგიაშვილის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. ამჯერად, თბილისის პოლიციის ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა კვლავ პანკისიდან თბილისში დიდი რაოდენობით გასაყიდად ჩამოტანილი ჰეროინი აღმოუჩინეს ვინმე ნოდარ გუმაშვილს.

გუმაშვილი თავად პანკისელი ქისტია, სოფელ ჯოყოლოდან. იგი ორჯერ უკვე არის ნასამართლევი, ორჯერვე ხულიგნობისთვის. პოლიცია მის მიერ ნაქირავებ ბინაში, ჩიქოვანის ქუჩაზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მივიდა და ჩხრეკისას აღმოუჩინეს კიდეც 41,7 გრ ჰეროინი. მოგვიანებით გუმაშვილმა აღიარა, რომ ნარკოტიკები მან პანკისიდან ჩამოიტანა თბილისში და გაყიდვას აპირებდა. მისი საქმე გამოსაძიებლად თბილისის პოლიციის საგამოძიებო სამმართველოს გადაეცა. გამომძიებლები ჯერ არ ახმაურებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, კონკრეტულად ვისგან შეიძინა ნოდარ გუმაშვილმა პანკისში ჰეროინი და ვისი დახმარებით აპირებდა თბილისში მის რეალიზაციას.

მართული ანარქია - ენერგეტიკის მართვის სტილი

"შეძრწუნებული ვარ იმით, რაც მოვისმინე. ჩემი კოლეგების გამომეტყველებასა და ჟესტიკულაციას რომ ვუყურებ, ვხვდები, ყველა შეშფოთებულია. თუმცა, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდება, ასეთი ინფორმაცია მაინცადამაინც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. თუ იმის მეათედიც კი მართალია, რაც მოხსენებაშია ნათქვამი, სულაც აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ასეთ დღეში ვართ," - იტყვის ირაკლი ჩუბინიშვილის საათნახევრიანი მოხსენების დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

"ეს მოხსენება არის პური გენერალური პროკურატურისთვის. ახლა, ამ წუთში, 10 საგამოძიებო ჯგუფი მაინც უნდა იქმნებოდეს და იწყებდეს მუშაობას," - განაცხადებს დავით სალარიძე პარლამენტის სამთავრობო ლოჟაში მჯდომი ნუგზარ გაბრიჩიძის გასაგონად, რომელიც ირაკლი ჩუბინიშვილის გამოსვლისას, განუწყვეტლივ და გულმოდგინედ ინიშნავდა რაღაცას.

"თუ მოხსენების შესახებ არ ითქვა, რომ ის ტყუილია, გამოდის, რომ ლოჟაში დამნაშავეთა ბანდა ზის", - კიდევ უფრო მძაფრ რეაქციას ამჟღავნებს სანდრო ბრეგაძე. მისგან განსხვავებით, ვასილ მაღლაფერიძეს ეუფლება განცდა, რომ **"ცუდ სიზმარს ხედავს"**, ხოლო აკაკი ბობოხიძეს უჭირდება შეგრძნება, **"თითქოს, სახელმწიფოში არ ცხოვრობს"** (როგორც ხედავთ, მას და დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს არსებული მდგომარეობის ერთნაირი აღქმა აქვთ).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ასეთი შოკისმომგვრელი მოხსენების ავტორი, "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი ირაკლი ჩუბინიშვილი გუშინდელი საპარლამენტო დღის ნამდვილ გმირად იქცა. მისი კოლეგები, თვით მოწინააღმდეგე ფრაქციების წარმომადგენლებიც კი, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საკმაოდ კვალიფიციური იყო და მას ხანგრძლივი მუშაობის "კვალი" აჩნდა. თავის მხრივ, ჩუბინიშვილი დაბეჯითებით ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ საკითხის შესწავლისას ცდილობდა, აპოლიტიკური ყოფილიყო და ეს კარგად გამოუვიდა. ამის დასტურად დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე იმ ფაქტს ასახელებს, რომ პარტიული კუთვნილების მიუხედავად, მოხსენების შინაარსს კომისიის ყველა წევრი ეთანხმება.

ფაქტობრივად ერთადერთი პარლამენტარი, რომელიც საერთო განწყობას ფეხს არ უბამს და საკითხი მაინც პოლიტიკურ ჭრილში გადაჰყავს, "მრეწველი" ლევან პირველია. **"თქვენ არ გაწყობდათ ენერგეტიკის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე საუბარი მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იყავით და გაწყობთ ახლა, როდესაც ოპოზიციაში აღმოჩნდით. ეტყობა, თქვენს პარტიას ფულები შემოაკლდა,"** - "გაერთიანებულ დემოკრატებთან" მიმართებაში ასეთ ვარაუდს გამოთქვამს იგი. თუმცა, მას უმალ უბრუნდება "ხურდა" - გიორგი ბარამიძეს სასაცილოდ არ ჰყოფნის, რომ ფულების შემოკლებაზე სწორედ ლევან პირველი საუბრობს და ოპონენტს შეახსენებს, რომ სწორედ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ამხილა მან თანაპარტიელი "მოქალაქეები",

ირაკლი ჩუბინიშვილის მოხსენებით დეპუტატები შოკირებულები დარჩნენ.

მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა, მაგრამ **"შევარდნაძემ დამნაშავეებს თავზე ხელი გადაუსვა და დასჯის ნაცვლად, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადასვა".**

ჩუბინიშვილის მოხსენების შემდეგ, პარლამენტარები ინტერესით ელოდნენ გენერალური პროკურორის გამოსვლას და იმაში გარკვევას, რამდენად აქვს დავით მირცხულავას "წყალი შემდგარი". თუმცა, მათი ცნობისმოყვარეობა ვერ დაკმაყოფილდა - ნუგზარ გაბრიჩიძე მხოლოდ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდა, რომ საპარლამენტო კომისიის დასკვნაში მოყვანილ ფაქტებზე რეაგირებას აუცილებლად მოახდენს და ამისთვის ორთვიანი ვადა მოითხოვა.

დეპუტატები "მთავარი ბრალდებულის" - დავით მირცხულავას კონტრარგუმენტებითაც გაწბილებულები დარჩნენ. სათბობენერგეტიკის მინისტრმა, ძირითადად, მის საკუთარ სფეროში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ობიექტურ მიზეზებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ყველა პრობლემა უფინანსობიდან და დაბეგვრის რეჟიმიდან მოდის, ხოლო გამოსავლის ერთადერთ გზად ახალი ენერგოობიექტების მშენებლობა დაასახელა. თუმცა, სიტყვა არ დაუძრავს იმ სენზე, რამაც დარგი გამოხრა - კორუფცია, თანხების დატაცება, პრივატიზების პროცესში დაშვებული დანაშაულებრივი ქმედებები.

"საქართველოს და ენერგეტიკის წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის, თუ რაიმე შეცდომა დამიშვია, ეს შეგნებულად არ გამიკეთებია. ჩემს თანამდებობას არ ვეკიდები, მაგრამ ტყუილად ტალახის შესხმასაც ვერ ავიტან," - დასძინა თავისი გამოსვლის დასასრულს მირცხულავამ. "თანამდებობაზე გამოკიდება" მას შემთხვევით არ უხსენებია - მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნამ რამდენიმე დეპუტატის გამოსვლაში გაიჟღერა.

"ენერგოჯოჯოხეთის" თემის ამოწურვა გუშინ ვერ მოესწრო. მის ირგვლივ მსჯელობა პარლამენტში დღესაც გაგრძელდება. დავით მირცხულავას დეპუტატების მრავალრიცხოვან კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს, რის შემდეგაც ფრაქციები მინისტრის მიმართ თავის დამოკიდებულებას დააფიქსირებენ, ბოლოს კი "განაჩენიც" გამოცხადდება - საკანონმდებლო ორგანოში ორი დღის განმავლობაში მიმდინარე განხილვა დადგენილების მიღებით დასრულდება. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ეს "განაჩენი", იგი საერთო სიტუაციაზე გავლენას მაინც ვერ მოახდენს. ენერგოქილერების დასჯა ბევრს არაფერს ნიშნავს, ვიდრე არ დადგინდება, ვისგან ღებულობენ ისინი შეკვეთას.

მინისტრები იცვლებიან, ენერგოკრიზისი კი - რჩება

პირველი გვერდიდან

გუშინ ჩუბინიშვილმა პარლამენტის ყურადღება ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სექტორში აღმოჩენილ მრავალ პარადოქსს მიაპყრო.

ენერგეტიკული "საქმეების" შესწავლის შედეგად, კომისიამ ენერგოობიექტების მიერ ბიუჯეტისთვის დამალული 20 მილიონი ლარი გამოააშკარავა. ეს თანხა მიზერულია იმასთან შედარებით, რა ოდენობის ზარალიც თავად ენერგოსექტორმა განიცადა.

გარდა ამისა, კორუფციული სქემა, რომლის წყალობითაც რკინიგზის ანგარიშიდან ენერგეტიკის კუთვნილი 22 მილიონი ლარი, ერთ-ერთი რუსული ფირმის გავლით, სომხეთში მოხვდა, იურიდიულად დასაბუთებული ყოფილა. სამაგიეროდ, სომხეთის მიერ უკანონოდ აშენებული აღმოჩნდა ელექტროგადამცემი ხაზი "აშოცკი-ნინოწმინდა", რომლის საშუალებითაც ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობა ელექტროენერგიით "არმენერგოს" მიერ მარაგდება და, პრაქტიკულად, ენერგოკრიზისის პრობლემა აღარ აწუხებს.

"სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში თავად ამბობდნენ, ეს ხაზი უკანონოაო და ამის გამო არ აფორმებდნენ. ახლა კი, როცა არც ამ ხაზის ღირებულება ფიგურირებს არსად და არც მისი ოფიციალური მეპატრონეა ცნობილი, ამბობენ, გვჭირდებოდა და იმიტომ ავაშენეთო. ამიხსენით, თუ ეს ხაზი მართლაც საჭირო იყო, რატომ არ გააფორმეს ოფიციალურად? გამოვიდა, რომ სომხეთი, უბრალოდ, შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და სრული სამი თვის განმავლობაში უკანონო მშენებლობას აწარმოებდა. ეს, უბრალოდ, უხერხულია. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ხაზი გამოვრთოთ და ნინოწმინდის მოსახლეობა უშუქოდ დავტოვოთ, მაგრამ იმ ხალხმა, ვის გამოც ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, პასუხი უნდა აგოს," – აცხადებს ირაკლი ჩუბინიშვილი.

"ეს ხაზი რომ უკანონოა, ამას მეც ვაღიარებ, - დაადასტურა მოგვიანებით ჩუბინიშვილის სიტყვები სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამაც, - **მაგრამ ის, თავის დროზე, ურბანიზაციის სამინისტროს უნდა დაემტკიცებინა."**

დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე არაეფექტურად დახარჯული ენერგოკრედიტების საკითხსაც შეეხო. ამ კრედიტებიდან ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური – თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რეაბილიტაციისთვის გერმანიის საკრედიტო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხები, გარდაბნის თბოელექტროსადგურზე მომხდარი ხანძრის შედეგად, პრაქტიკულად, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა.

ცალკე მსჯელობის საგნად იქცა ის 260 მილიონი ლარი, რომელიც, ჩუბინიშვილის მტკიცებით, "ეი-ი-ეს თელასმა" ელექტროენერგიის ტარიფში ორჯერ ასახა და ახლა მოსახლეობას ახდევინებს. **"ამ დარღვევის მიზეზად ის ჭარბი ინვესტიციები იქცა, რაც "ეი-ი-ესმა" 1999-2000 წლებში განახორციელა. მას ეს ინვესტიცია ერთხელ უკვე ჰქონდა დენის ტარიფში ასახული, მაგრამ 2001 წელს თავიდან მოითხოვა მისი გათვალისწინება,"** – განაცხადა ჩუბინიშვილმა.

გუშინ მან ენერგეტიკული ობიექტების უკანონო პრივატიზაციის საკითხიც გაიხსენა. როგორც ცნობილია, 1993-95 წლებში კაპიკებად გაიყიდა მცირე ელექტროსადგურები. მყიდველებს შორის კი ის ჩინოვნიკებიც არიან, ვინც დღემდე საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებენ სახელისუფლებო ეშელონებში. **"პრივატიზაცია ქართულად"** – ასე უწოდა ჩუბინიშვილმა მცირე ჰესების გაყიდვის პროცესს. მისი თქმით, ამჟამად დღის წესრიგში ჩხოროწყუჰესის "ქართულად" გაყიდვის საკითხიც დგას.

ჩუბინიშვილის განცხადებით, კომისიის მიერ შესწავლილ საქმეებზე სამართალდამცავების მხრიდან რეაგირება, ჯერჯერობით, არ მოჰყოლია. "ფა-პეტის", "იბერია-პრაიმ კაპიტალის", "კენო ჯგუფისა" და სხვა კერძო ფირმების დანაშაულებრივი ქმედებები პროკურატურისთვის ჯერ კიდევ ზაფხულიდან არის ცნობილი, თუმცა დღემდე არავინ დასჯილა. ენერგოობიექტების ხელში ჩაგდების მიზნით ჩამოყალიბებული კორუფციული სქემები დღემდე წარმატებით ფუნქციონირებენ ენერგოსექტორში. **"არადა, ენერგოკრიზისი სახეზეა, ხალხი კი დაიღალა გაუთავებელი ტყუილების სმენით,"** – განაცხადა ჩუბინიშვილმა. **"მოსახლეობა ისეა დაძაბული, ლამის ჩვენც შევუერთდეთ,"** – აღშფოთება ვერ დამალეს დეპუტატებმა მოხსენების მოსმენის შემდეგ.

დავით მირცხულავა

საბოლოოდ, ჩუბინიშვილმა ხელისუფლებას კომისიის დასკვნებზე რეაგირება მოსთხოვა. **"შეისწავლოს პროკურატურამ ეს საქმეები და გვითხრას, ვინ არის დამნაშავე; გადახედოს "ეი-ი-ესთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას; შეიმუშაოს ენერგოპოლიტიკა და, ბოლოს-დაბოლოს, აგოს პასუხი შექმნილ ვითარებაზე. დანაშაულის ტიპოლოგია უკვე ცნობილია. ამდენად, თუ პოლიტიკური ნება იქნება, მაშინ ენერგეტიკაში კორუფციული მექანიზმები აღმოიფხვრება,"** – განაცხადა მან.

ფაქტობრივად, პასუხები კითხვაზე, თუ რატომ არ გვაქვს ელექტროენერგია, ხელისუფლების წინაშე დევს. მთავრობის წარმომადგენლებს კი პარლამენტართა შეკითხვებზე პასუხის გაცემა დღეს დილიდან მოუწევთ.

თვალსაზრისი

ნავთობსადენის გადარჩენა ნავთობსადენით გადარჩენისთვის

ეკა კვესიტაძე

თუნდაც რამდენიმე თვის წინ ვერავინ მოიფიქრებდა, რომ საქართველოში ბაქო-ჯეიჰანის პროექტს რეალური საფრთხე დაემუქრებოდა, რადგან ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებული პროექტი შევარდნაძის მრავალწლიანი მმართველობის ყველაზე სერიოზულ მიღწევად ითვლებოდა. ქვეყნისათვის მის მნიშვნელობას რადიკალურად განწყობილი ოპოზიციაც აღიარებდა.

ამ იდეის წარმატებული პოპულარიზაციით წლების განმავლობაში თავად შევარდნაძე იყო დაკავებული, რომელიც ცდილობდა სოციალურად უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა იმაში მაინც დაერწმუნებინა, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდებოდა და ეს სინათლე ენერგოპროექტები იქნებოდა.

ნავთობსადენი ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების სფეროში მალევე აღმოჩნდა და ფაქტია, რომ ამ ეტაპზე დასავლეთის საქართველოსადმი ინტერესს, პირველ რიგში, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-ერზრუმის გაზსადენი განსაზღვრავს.

ამიტომაც იყო, რომ ბორჯომთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა, რომელიც ლამის ნავთობსადენის წინააღმდეგ ატეხილ კამპანიაში გადაიზარდა, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ამერიკის პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში.

ამერიკელებმა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ისიც აშკარად მიანიშნეს, რომ თუ არა ეს მილსადენი, საქართველოსადმი ინტერესი ამ დონის არ იქნებოდა.

ეს არის რეალობა, რომლის წინაშეც ჩვენ რამდენიმე დღის წინ პირისპირ აღმოვჩნდით. "ბრიტიშ პეტროლიუმისა" და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პროექტის გადავადება, თუნდაც სულ ცოტა ხნით, მის მთლიანად შეჩერებას გამოიწვევდა, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა ამერიკისა და დასავლეთის სხვა წამყვანი სახელმწიფოების საქართველოს მიმართ ინტერესის განელება.

ბორჯომთან დაკავშირებული პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა უსაფრთხოების იმ თითქმის უპრეცედენტო ზომების გამო, რომელსაც ბრიტანული კომპანია ბორჯომის მონაკვეთზე ნავთობსადენის მშენებლობისას მიიღებს.

მაგრამ, უსაფრთხოების ამ ზომების გარეშეც, ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობა მაინც არ შეჩერდებოდა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი ის განცხადება, რომელიც პრეზიდენტმა გასული კვირის დაძაბული დღეების შემდეგ გააკეთა, რომ გადაწყვეტილებას ის იღებს და არა ნინო ჩხობაძე.

შევარდნაძის ერთადერთი საყრდენი დღეს ეს პროექტია. მას სხვა არანაირი კაპიტალი აღარ დარჩა. მოუგვარებელია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმები ჩადებულია სამცხე-ჯავახეთში და პანკისში. აბსოლუტურად მოუგვარებელია ყველა სოციალური პრობლემა, ისევ გრძელდება ენერგეტიკული კრიზისი და რაც მთავარია, მთავრობა სრულიად უუნაროა, რომ ეს პრობლემები გადაჭრას.

ერთადერთი, რითაც შევარდნაძეს საკუთარი ათწლიანი მმართველობის გამართლება შეუძლია, ეს ბაქო-ჯეიჰანი და ბაქო-ერზრუმია (ამ პროექტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზსადენი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად ყველაზე ეფექტური გზა აღმოჩნდა).

ამ პროექტების ჩავარდნა, თან იმ სარჩულით, რომ ხელისუფლება, ყველა სიკეთესთან ერთად, ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების წინაშეც გვაყენებს, იქნებოდა ბოლო და ყველაზე ძლიერი დარტყმა შევარდნაძისა და მისი ხელისუფლებისათვის.

თუმცა, მათი ჩავარდნა სხვა ძალიან მძიმე შედეგებსაც მოიტანდა.

საქართველომ დიდი ხანია დაკარგა ახალგაზრდა დემოკრატიის სამაგალითო ქვეყნის სტატუსი და დღეს მისი მიმზიდველობის საიდუმლო, მხოლოდ გეოსტრატეგიულ მდებარეობაშია. ამ მდებარეობის კონკრეტული რეალიზება კი, ამ ეტაპზე, ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის გზით ხდება.

რას ნიშნავს, რომ ამ პროექტების ჩავარდნის შემთხვევაში ქვეყანა, სადაც კორუფცია ყვავის, სადაც ყოველდღე იტაცებენ ადამიანებს და სადაც პოლიტიკას კრიმინალური კლანები განაგებენ, ყველანაირ მიმზიდველობს კარგავს?

ეს ნიშნავს, რომ კარგავ ამერიკას, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს (ყოველ შემთხვევაში, ეს პარტნიორობა ბევრად უფრო უმნიშვნელო გახდება ამერიკისთვის). ამასთან ერთად, კარგავ მოკავშირეებს თურქეთისა და აზერბაიჯანის სახით და, რაც ყველაზე მთავარია, სერიოზული და გადაუჭრელი პრობლემების ფონზე, თითქმის მარტო რჩები რუსეთის პირისპირ, როცა უკვე თეთრი სახლიდან აღარ ურეკავენ და აღარ აფრთხილებენ პუტინს იმისათვის, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორია დაბომბა.

რუსეთის თავის ნებაზე მიშვება, თავის მხრივ, საქართველოში ჩადებულ ნელი მოქმედების ყველა ნაღმს ააფეთქებს, სხვადასხვა მხრიდან წამოსულ საფრთხეებს კი ქვეყნის კორუმპირებული და უუნარო ხელისუფლება, ბუნებრივია, თავს ვერ გაართმევს.

დღეს შევარდნაძის მთავარი საყრდენი ამერიკის მხარდაჭერაა. ეს მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება და თუ არ აძლიერებს, ყოველ შემთხვევაში, სტატუს–ქვოს შენარჩუნებაში ამ ხელისუფლებას ხელს უწყობს. ნავთობსადენს უსაფრთხო და სტაბილური გარემო სჭირდება. ასე რომ, საქართველოში ამერიკის მთავარი ინტერესი, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, სტაბილურობაა. ამ სტაბილურობის შენარჩუნების გარანტი კი ამერიკის ხელისუფლებისთვის დღეს შევარდნაძეა.

პრინციპული მნიშვნელობა უკვე დაკარგა იმ ფაქტმა, რომ ის კორუმპირებულ ხელისუფლებას მეთაურობს და არაფერს აკეთებს კორუფციის წინააღმდეგ, რომ ის უკიდურესად არაპოპულარულია და ქვეყანა დანგრევის პირას მიიყვანა. პრინციპული მნიშვნელობა უკვე არც იმას აქვს, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხი თანადათან იკლებს და უკვე ბევრი არაფერი გვაშორებს ტოტალიტარული რეჟიმებისგან. მართალია, ასეთი საკითხები მუდმივად ხდება გავლენიანი საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების ან თუნდაც რამდენიმე კონგრესმენის კრიტიკის საფუძველი, მაგრამ ეს რეალურ პოლიტიკაზე ნაკლებად აისახება.

ამერიკის ადმინისტრაციას აწუხებს კორუფციის თემა, ადამიანის უფლებების დარღვევები და, ზოგადად, დემოკრატიის ხარისხი მის მეგობარ ქვეყნებში, მაგრამ, ბუნებრივია, არა იმდენად, რომ ეს საკუთარ პრაგმატულ ინტერესებზე მაღლა დააყენოს.

შორს რომ არ წავიდეთ, ამის ძალიან კარგი მაგალითია აზერბაიჯანი და ცენტრალური აზიის ქვეყნები, სადაც, დემოკრატიის საშინელი დეფიციტის მიუხედავად, არანაირი პრობლემა არ ექმნებათ ამერიკის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში.

ანუ დღეს ამერიკას გაცილებით უფრო მეტად აღელვებს სტაბილურობა და მისი შენარჩუნება, ვიდრე დემოკრატიის ხარისხი საქართველოში.

სტაბილურობა ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და მის შენარჩუნებაში ამერიკის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს.

ლოგიკურად ჩვენი სტაბილურობა, დიდწილად, ამ ერთ მილთან არის დაკავშირებული, რაოდენ გამაღიზიანებელი და აღმაშფოთებელიც არ უნდა იყოს ეს ჩვენი ინტელექტუალებისთვის.

შევარდნაძე დიდოსტატია ისეთი სიტუაციების შექმნისა, რომელსაც თავის სასარგებლოდ და მისი მართველობის გასახანგრძლივებლად იყენებს. მას ეკუთვნის ნავთობსადენის იდეაც, რომელიც გარანტიას აძლევს, რომ მისი მმართველობა ამერიკის ხელშეწყობითა და დახმარებით კიდევ დიდხანს გასტანს.

ამ მოჯადოებულ წრეში ერთადერთი ალტერნატივა, შევარდნაძის ხელისუფლების დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით შეცვლაა, რომელსაც ძალიან ძლიერი პარტია ან ოპოზიციურ ძალთა ძლიერი გაერთიანება სჭირდება.

ეროვნული სიმბოლიკა კონკურსით შეირჩევა B2

ლამაზი ქალები „კოვალაში„ B2

შოთა არველაძე სამომრად ემზადება B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

მე გავძლებ და იმას მივალწევ, რომ ეს დამნაშავეები დაისაჯონ

ენერგეტიკაში ყველა ქილერს ვიცნობ

მომავალში, თუ ისტორიკოსები დაინტერესდებიან და ჩვენს ხანას შეისწავლიან, საქართველოს ენერგეტიკული კრიზისის გამომწვევი მიზეზების პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩუბინიშვილის მოხსენება მათ ქრესთომატიად გამოადგებათ. ოღონდ, ეს იქნება ჩვენი დროის დანაშაულებათა ქრესთომატია. ჩვენს ხანას კი, არც "ქვის", არც "ომების", არამც და არამც "რენესანსის", არამედ - "შემზარავის" მაშინდელ სინონიმს უწოდებენ. ჩუბინიშვილის გამოსვლისას მოსახლეობას დენი არ მიეწოდებოდა. ამიტომ, მათ ვერ მოისმინეს იმის თეორიული ახსნა, რასაც პრაქტიკულად, დღეში იმდენჯერ გრძნობენ, რამდენჯერაც შუქის ასანთებად მივლენ ჩამრთველთან, ან - როცა ჩაის ასადუღებლად გაზის ქურას მიაშურებენ. ეს, როგორც გითხარით, ჩუბინიშვილის გამოსვლისას მოხდა. ამ გამოსვლის დასრულებისას კი გავრცელდა ინფორმაცია, ენერგეტიკის სამინისტრო იწვისო. ჩუბინიშვილმა მშვიდად თქვა: ისე ვილაპარაკე, რომ შერცხვათ და სირცხვილით დაიწვნენ. და თუ არ შერცხვათ და დოკუმენტებს ანადგურებენ, სულ ტყუილად, რადგან რაც გვჭირდება, გვაქვსო.

მაია ჭალაგანიძე

ირაკლი ჩუბინიშვილი

ნაზა ფაჩკორიას მიერ

- ჩვენ წარმოვადგინეთ ის მასალები, რომელზეც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. ეს ძირითადად ეხება იმ კანონდარღვევებს, რომელიც ენერგეტიკის სექტორში ხდება და რომელიც ენერგეტიკაში არსებული კრიზისის ძირითადი ფაქტორია.

- რა არის მთავარი?

- მოსახლეობის შემოსავლების დონე ვერ უზრუნველყოფს ელექტროენერგიის შესყიდვას და ამის გამო, ენერგეტიკული პერობლემები სოციალურ პრობლემად გადაიქცა. შეგროვილი თანხები კი იჭმება, იტაცებენ და ჩვენ ამას ვადასტურებთ.

- თქვენ, ალბათ, კერძო სექტორს არ ეხებით.

- ვიძიებთ სახელმწიფო სტრუქტურებში და ქონების მართვის სახელმწიფო ობიექტებში შექმნილ ვითარებას და არა კერძო სტრუქტურებში. მაგალითად, "თბილსრესი", რომელმაც ზამთარში საბაზო სიმძლავრეები უნდა მოგვცეს, წელს 150 პროცენტით არის დაფინანსებული, ანუ, იმაზე მეტი აქვს, ვიდრე ეკუთვნოდა... მათ ხელფასებიც კი არ აქვთ დარიგებული. ეს ფული სხვადასხვა ფილტრი ფირმების მეშვეობით არის დატაცებული და ეს ფირმები დავასახელეთ.

- კერძოდ?

- მაგალითად, წელს. "იბერია პრაიმკაპიტალი", "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენი"... ჩვენ დავადგინეთ ისიც, რომ ეს ფირმები თანხებს იტაცებენ, ბიუჯეტში კი კაპიკს არ იხდიან.

- ალბათ, გვარებიც ცნობილია და არამარტო თქვენთვის.

- ერთ-ერთი ფირმის დირექტორი - მირიან ცხვარაძე, ჩვენს მიერ ძებნაშია გადაცემული. "იბერია პრაიმ კაპიტალი"-ს საქმე პროკურატურას შარშან გადავეცით, რადგან შარშანაც ანალოგიური დანაშაული ჩაიდინა. ორგანიზაციამ იცის, რომ ჩვენ ვდევნით და რომ მათზე საქმეა აღძრული. წელს მაინც იგივეს აკეთებენ და თან უფრო დიდი მასშტაბით. აი, ამაზე ვსაუბრობ, როცა ვამბობ, რომ არ არსებობს სახელმწიფო მენეჯმენტი. ჩემი ამოცანა ადამიანის დასჯა არ არის. მაგრამ, სახელმწიფო იმასაც არ აკეთებს, რომ მათ მეორედ ვეღარ გაბედონ დანაშაულის ჩადენა.

- თქვენ საბუთებით საუბრობთ. მინისტრიც გამამართლებელ საბუთებს იშველიებს. ვინ არის მართალი?

- როცა ადამიანს კრიმინალურ დანაშაულებებში სდებენ ბრალს, მას თავის მართლების უფლება აქვს და ამ უფლებას ვერ წავართმევ. ჩვენი ამოცანა პიროვნულად დავით მირცხულავას წინააღმდეგ ბრძოლა არ არის. ასე საკითხს არ ვაყენებ. კრიმინალის არსებობა კი ჩვენი მოგონილი არ არის. ამაზე კვალიფიციურად მუშაობენ სპეციალისტები და ეს მათი დასკვნებია. ჩვენს მიერ წარმოებული საქმეები, პრაქტიკულად, დასრულებულია და მზადაა სასამართლოში წარსადგენად.

- მაგრამ, მასალების მოძიების იქით, ალბათ, კომისია ველარ წავა.

- ვიბრძოლებ იმისთვის, რომ დამნაშავე დაისაჯოს. თუ მირცხულავა არ გამოდგა დამნაშავე და სასამართლომ გაამართლა, ვიტყვი, რომ - სასამართლომ გაამართლა, მაგრამ სანამ ეს საკითხი ასე არ დადგება, ვალდებული ვარ, ვიბრძოლო. ვიბრძოლო, ვიდრე ამის უფლებამოსილება მექნება.

- ხომ შეგიძლიათ, მინისტრის იმპიჩმენტის საკითხი დააყენოთ?

- ამის უფლება ყველა დეპუტატს აქვს. მიმაჩნია, რომ მთლიანად ხელისუფლებაა დამნაშავე იმაში, რაც ამ დარგში ხდება.

- თქვენ ზესატფონის ფეროს საკითხზე ისაუბრეთ - რომ ფეროსთვის ხეთისაც. 1999 წლამდე, სანამ "ეი-ი-ესი" შემოვიდოდა და თვითონ დაიწყებდა სომხეთიდან ელექტროენერგიის შემოტანას - დაფიქსირებული იყო ვალი, 4 მილიონ 400 000 დოლარი. ამაზე ჩაჩხიანს აქვს გაფორმებული საბუთები, მაშინდელ ფინანსთა მინისტრს ონოფრიშვილს... მოკლედ, ეს ვალი ოფიციალურად იყო ცნობილი. შემდეგ, ხელი მოეწერა დოკუმენტს, სომხეთისთვის ამ ვალის გადახდის მექანიზმის შესახებ.

გამოყოფილი თანხები სადღაც ოფშორულ ზონაში წავიდა და ფეროს, პირიქით, ვალები დაედო. რომ გაყვით ამ ძაფს, სადამდე მიგიყვანათ?

- ჩვენ ეს საქმე პროკურატურას გადავეცით და აქ დასრულდა ჩვენი უფლებამოსილება. მაგრამ, ფაქტია, რომ ეს არის გარიგება ამ ოფშორულ ფირმასა და ფეროს ხელმძღვანელობას შორის. ფირმის ხელმძღვანელის ვინაობა პროკურატურისთვის ცნობილია. ეს არის თურქი მოქალაქე. გარიგება კი მიზნად ისახავს ფეროს ჯიბეში ჩადებას. ამისთვის მათ ერთ-ერთ ბერკეტად ენერგეტიკული მაქინაცია გამოიყენეს, რითიც 10 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენეს ამ სფეროს.

- ანუ, სულ მალე გამოჩნდება ფეროს მყიდველი, მხსნელად მოევლინება საწარმოს და სინამდვილეში კი სწორედ ის იქნება დამტაცებელი?

- ეს აღარ მოხდება, თუმცა ისინი პირდაპირ გამოვიდნენ ტელევიზორში და თქვეს, ფეროს ჩვენი ვალი აქვსო და 51 პროცენტს ითხოვდნენ. მინდა ვთქვა, რომ სინამდვილეში, ყველა დანაშაული ცნობილია.

- სწორედ ამ წლის ბოლოს, აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად დაინტერესდა ენერგეტიკის სფეროთი. როგორ ფიქრობთ, არის ეს პოლიტიკური ნება, რომ ამ ყველაფერს ბოლო მოეღოს?

- რამდენი ხანია ამ თემებზე ხმამაღლა ვსაუბრობ და ბევრი სხდომა მაქვს ჩატარებული. რაც ამ საგამოძიებო საქმით ვარ დაკავებული, იქიდან ვიბრძვი, რომ როგორმე ხელისუფლების პოლიტიკური ნება გამოვიწვიო. მათ ოქტომბრის ბოლოს შექმნეს კომისია, რომ ზამთარი რამენაირად გადაიარონ. ეს გვიანია. ამას ნიშნისმოგებით ნამდვილად არ ვამბობ.

- თქვენი აზრით, რას ნიშნავს ავთანდილ ჯორბენაძის ასეთი აქტიური დაინტერესება ენერგეტიკით. თქვენი აზრით, მართლაც უნდა რაიმეს გამოსწორება, თუ დადგა დრო, რომ მტაცებლების ერთი ჯგუფი მეორეთი შეიცვალოს?

- ხელისუფლებამ თვითონ გადაწყვიტოს, როგორ უვლის ამ პრობლემებს. ჩვენ სადამდეც შეგვეძლება, არ დავანებებთ, რომ ეს კრიმინალი გაგრძელდეს.

ნებისმიერი გააქტიურება კარგია, თუ ეს ქვეყანას გამოადგება. ამ გააქტიურების სერიოზულობის ნიშანს შემდეგ შემთხვევაში დავინახავდი: 15 აგვისტოს კანცელარიას მივწერეთ, თუ რატომ და როგორ აწუხებს მოსახლეობას დენის არსებული ტარიფი. და რომ საჭიროა "თელასს" ეს გადაწყვეტილება შეავცვლევინოთ, რადგან ტარიფი არასწორია. სამი თვე გავიდა და ამაზე რეაგირება არ არის. ამიტომაც არ მგონია, რომ რაიმეს გამოსწორება უნდათ. ოქტომბრის ბოლოს კომისიის შექმნა საქმეს არ უშველის. ასე იყო შარშანაც და სხვა დროსაც.

- მირცხულავამდეც არანაკლებად ოდიოზური მინისტრები გვყავდა. მათ დროსაც ხდებოდა მსგავსი რამ...

- დიახ. ჩვენ პროკურატურაში გადაცემული გვაქვს საქმე, რომელიც 135 მილიონი ლარის უკანონო გადავადებას ეხება. ამას ხელს აწერს მინისტრი გიორგაძე. თუმცა, მსგავსი რამ ყველა მინისტრის დროს ხდება. მაგალითად, სომხეთის ვალი 2,5 მილიონით მეტი გადაიხადეს და ამას მინისტრმა პირადად დაარტყა ბეჭედი და ხელიც მოაწერა.

- სომხეთის თემა ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო თქვენს მოხსენებაში. თუ შეიძლება, დაწვრილებით გვიამბეთ ამის შესახებ.

- საქართველოს ენერგოსისტემას სხვადასხვა სახელმწიფოების თუ კომპანიების ვალი აქვს. მათ შორის, სომრეკავენ, მაგრამ, ის, რომ ყველაფერი აღმასრულებლიდან მოდის, ცხადია.

- რა რაოდენობის უცხოური ფულია შემოსული ენერგეტიკაზე ბოლო წლებში?

- 300 მილიონამდე. ამა თუ იმ ფორმით, 200 მილიონზე მეტი ათვისებულია.

- თქვენ გრძნობთ ამ ათვისებული თანხის სიკეთეებს?

- თანხის ათვისების იურიდიულ მექანიზმებზე ჩვენი აზრი ყველა საჭირო ორგანიზაციამ იცის. ადამიანურად კი, გეტყვით, რომ ამ თანხების ათვისება საქართველოს საკეთილდღეოდ არ ხდება. უზარმაზარი თანხები ჩაიდო მეცხრე და მეათე ბლოკში. მეათე ბლოკი კი აფეთქებულია. სხვა რა უნდა გითხრათ? ვინც ააფეთქა, ეს ფული იმან უნდა დააბრუნოს. ეფექტურობა ეს იქნება.

- დღეს "იტერა", ანუ, რუსული ფული ოფიციალურად შემოდის საქართველოში. რატომ გაიყიდა "აზოტი"?

- აზოტი არ არის ენერგეტიკული ობიექტი, ამიტომ ჩვენს კომპეტენციაში არ შედის მისი შესწავლა. თუმცა, დავინტერესდით, თუ რა ვალები გვაქვს "იტერასი". აღმოჩნდა, რომ არც კონტროლის პალატამ და არც ქონების მართვის სამინისტრომ არ იცის, რა ვალები გვაქვს. ანუ, საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს დაანგარიშებული და შესწავლილი, რა, რამდენი და რატომ გვმართებს "იტერასი". ამასთან დაკავშირებით ჩვენს დასკვნას მალე განვაცხადებთ.

- რა ძალებს აწყდებით საქმის გამოძიების დასასრულს?

- არ მინდა ვისაუბრო, ვინ ვის უკან დგას. ცხადია, ეს ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით, არ მაქვს დოკუმენტური სამხილი. ყველგან გამოყენებული არიან შეგზავნილი ვითომ დირექტორები, ვის ხელშიც ეს თანხები გადის. თუ ჩვენ მათ არ დავაკავებთ, იმის უკან მდგომზე ვერ გავალთ. როცა მკვლელობაა, ვსაუბრობთ ხოლმე შემკვეთსა და ქილერზე. ენერგეტიკაში ყველა ქილერს ვიცნობ. და ეს ქილერები უნდა დაიჭირონ... იმან რომც არ თქვას, მის უკან ვინ დგას, სხვას ქილერობა აღარ მოუნდება. მთელმა სისტემამ იცის, რა ტიპის დანაშაულები ხდება.

- ვისაუბროთ ელექტროენერგიის ტარიფზე. იხდის თუ არა მოსახლეობა იმ ფულს, რომელიც არ უნდა გადაიხადოს და თქვენი გაანგარიშებით, რამდენია ეს ზედმეტი?

- დიახ, იხდის. 1998-2000 წელს შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება ტარიფში ორჯერ არის შესული. ეს მოითხოვა "თელასმა" და "სემეკმა", იმის საფუძველზე, რომ მათ ამის მოთხოვნის უფლება ჰქონდათ. მიმაჩნია, რომ ერთი და იგივე საქონელში ორჯერ ფულის გადახდა - არ შედის სამართლებრივ და ეკონომიკურ ლოგიკაში.

- რატომ გააკეთა ეს "სემეკმა"?

- ყოველთვის არის მცდელობა, რომ "სემეკი" და ელიზბარ ერისთავი ენერგეტიკის დანგრევაში დამნაშავედ გამოიყვანონ. ეს ნამდვილად არ არის ასე. ის კი შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მაგრამ სინამდვილეში, კანცელარიის ზარებზეა დამოკიდებული. რასაც ეტყვიან, იმას აკეთებინებენ.

- გამოდის, კანცელარიამ თავისთვის შექმნა ეს ორგანიზაცია.

- ცხადია. საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა, ალბერტო სოლისმა თავად შემომჩივლა, რომ კი ვართ დამოუკიდებელი, მაგრამ პრობლემები რომ გვაქვს, გვეუბნებიან, ამას ჩაურთე, იმას გამოურთე და ასე ვართო...

ვაპირებ, რომ სასამართლოში ტარიფის წინააღმდეგ შევიტანო სარჩელი და მივაღწიო იმას, რომ ეს ტარიფი ამ ფორმით გაუქმდეს და გადაიხედოს ხელშეკრულება თელასთან. ამ გზით ტარიფს სამი თეთრით შევამცირებდით. რატომ უნდა გავუშვათ ეს ხელიდან?

- ვინ არის დამნაშავე ამ ხელშეკრულების დადებაში და რა პუნქტია ყველაზე ცუდი?

- დამნაშავეა "თელასიც", "სემეკიც" და პირველ რიგში, ხელისუფლება, რომელმაც "ეი-ი-ეს" თელასს ხელშეკრულება ყოველგვარი სერიოზული ექსპერტიზის გარეშე გაუფორმა. ყველაზე ცუდი პუნქტებიდან მთავარი პუნქტია ის, რომ "თელასს" მიეცა უფლება, 1999-2000 წლებში განხორციელებული ნებისმიერი ხარჯის ინვესტიციად გატარებისა. იქ სხვა საკითხებიც არის, მაგრამ მთავარია ის, რომ სახელმწიფომ, როგორც წილის მფლობელმა, ვერ უზრუნველყო საქართველოს ინტერესების დაცვა. ამისთვის კი არავინ ისჯება.

- თუ იცით, კიდევ რომელი ენერგეტიკული ობიექტი მზადდება გასაყიდად?

- ასე დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით, კიდევ გარკვეული ჰესების გადაცემა უნდათ და ეს არ არის დასაშვები.

- თქვენ, როგორც ექსპერტი, რა დიაგნოზს დაუსვამთ საქართველოში შექმნილ ენერგეტიკულ ვითარებას?

- ენერგეტიკა ფინანსურად და მორალურად გაკოტრებული დარგია. ამაში კი ხელისუფლების 10 წლიანი პოლიტიკაა დამნაშავე.

კომენტარი

პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რევაზ არველაძე:

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ის კორუფციული სქემები, რის შესახებაც ჩუბინიშვილმა ისაუბრა, წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სქემები არსებობს. ვინც ისინი მოიფიქრა და ამით დიდი ფულები "მოხსნა", სასტიკად უნდა დაისჯონ – ამაში ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ თუ ეს სქემები ამდენი ხანია არსებობს და სამართალდამცავებმა ეს საქმეები არ გამოიძიეს, დღევანდელი ენერგოკრიზისისთვის პასუხისმგებლობა მათაც უნდა გაიზიარონ.

ფაქტია, რომ საბითუმო ბაზარმა კანონი დაარღვია და ხელშეკრულებები გააფორმა ელექტროენერგიის მომხმარებლებთან. მას ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან ის ასოციაციაა და ფინანსურ ოპერაციებს არ უნდა აწარმოებდეს. ისიც ფაქტია, რომ მას კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებისკენ თავისი ინტერესები უბიძგებდა, მაგრამ ეს სამართალდამცავების საქმეა, სანამ ისინი ამ საქმეს არ შეისწავლიან და თავის დასკვნებს არ წარმოადგენენ, ვერ დავადანაშაულებ.

ჩემთვის ახალი არ იყო ის ინფორმაციები, რომლებიც ჩუბინიშვილმა სხვადასხვა საგამოძიებო სტრუქტურების მიერ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით ჩართო თავის მოხსენებაში. მაგრამ, საქმე ისაა, რომ როდესაც პროკურატურა საქმეს იძიებს, ძიების პროცესში ჩარევის უფლება თვით პარლამენტსაც არა აქვს. ჯერ პროკურატურამ უნდა დაასრულოს საქმე, მერე სასამართლომ განიხილოს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება, ჩადენილ დანაშაულზე ვისაუბროთ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, მე რომ ვიკითხე, თუ დაისჯება ჯონდი ბაღათურია ბრალდებისათვის, თუ მის მიერ "სემეკის" წინააღმდეგ აღძრული საქმე ამ უკანასკნელის გამართლებით დამთავრდა-მეთქი.

მიმაჩნია, რომ ჩუბინიშვილის მოხსენებაში გამოსავალის ძიებაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვითარების გამოსასწორებლად რეალური ღონისძიებების დასახვა არავის უნდა. თუ ის ბრალდებები, რომლებმაც მოხსენებაში გაიჟღერა, მართალი აღმოჩნდა, არა მგონია, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს იმპიჩმენტი დასჭირდეს – მაშინ ის, უბრალოდ, დასაჭერი იქნება. არ ვიცი, რომელია მართალი - მირცხულავა თუ ჩუბინიშვილი, მაგრამ, წინააღმდეგი ვარ, რომ არაკომპეტენტურმა ორგანომ ენერგეტიკის სამინისტროს რაიმე ბრალდებები წაუყენოს. ეს სამართალდამცავთა საქმეა.

თავისთავად ცხადია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დარგისთვის, რომელზეც ქვეყნის უსაფრთხოებაა დამოკიდებული, წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული პოლიტიკა და განვითარების პროგრამები. 1997 წელს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამუშავებულმა ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფციამ პარლამენტის კომიტეტები შემოიარა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ეს დოკუმენტი ისევ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაუბრუნდა დასახვეწად, საერთოდ გაქრა და აღარავის გახსენებია. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტის დამტკიცება თავად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს არ აძლევს ხელს, ვინაიდან ენერგოპოლიტიკის კონცეფციის დამტკიცებით მას ის კონკრეტული პასუხისმგებლობა დაეკისრება, რისი შესრულებაც, ალბათ, გაუჭირდება. ამ პოლიტიკის არ არსებობას კი პარადოქსამდე მივყავართ: ენერგეტიკა, რომელიც მსოფლიოში ყველგან რენტაბელური დარგია, საქართველოში მეწველ ძროხას ჰგავს და ყველა მას ძარცვავს.



მარადიული თემა

ლამაზი ქალები "კოპალაში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

ერთი კვირის განმავლობაში სასტუმრო "კოპალას" სტუმრები გიორგი ხმალაძისა და გიორგი კოკილაშვილის ფოტოგამოფენის დათვალიერებას შეძლებენ. ეს გამოფენა გუშინ გაიხსნა.

ქალები, განსაკუთრებით კი ლამაზი ქალები ყოველთვის იწვევენ არამარტო მამაკაცების, არამედ ქალების აღტაცებას. ამის მოწმე გუშინ გავხდი, როდესაც "კოპალაში" გამოფენის გახსნაზე მისულ საზოგადოებას გადავავლე თვალი. გამიკვირდა: მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა მამაკაცებისას აშკარად სჭარბობდა, ეს უკანასკნელნი კანტი-კუნტად თუ ჩანდნენ, ძირითადად, ღვინოს წრუპავდნენ, თვალს ლამაზად გაშლილი სუფრისკენ აპარებდნენ და, რაც ყველაზე უცნაურად მეჩვენა, თითქოს არად აგდებდნენ მოდელებს – არც ფოტოსურათებზე გამოსახულებს და არც მათ გვერდით მდგომთ. სამაგიეროდ, მრავალი ქალი – ახალგაზრდა და არც ისე ახალგაზრდა, ლამაზი და არც ისე ლამაზი, მაგრამ უკლებლივ ყველა საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული და დავარცხნილი, გულმოდგინედ აწონებდა ერთმანეთს თავს და არც ერთ გამვლელს არ ტოვებდა უკომენტაროდ. ჩანს, ის აზრი, რომ ქალები, ძირითადად, ერთმანეთს ეპრანჭებიან, არ უნდა იყოს მთლად საფუძველს მოკლებული.

როგორც მოგახსენეთ, სასტუმროს გალერეის კედლებს მშვენიერი ქალბატონების ფოტოსურათები ამშვენებს. ფოტოსურათიცაა და ფოტოსურათიც - პირადად მე მსგავსი არაფერი მინახავს – უჩვეულოდ მოლაპლაპე, ყოველი კუთხიდან სხვადასხვანაირი. პირველი, ვინც გაბედა და "საგანი" ახლოდან დაათვალიერა, ბატონი იური მეჩითოვი იყო. მისი მაგალითით ფრთაშესხმულმა, მეც გადავწყვიტე გამერკვია, რასთან მქონდა საქმე, მაგრამ მაინც ვერაფერს მივხვდი.

ავტორებმა - გიორგებმა, ხმალაძემ და კოკილაშვილმა, მიამბეს, რომ მსგავსი ტექნიკა მართლაც არავის გამოუყენებია და ის მათთვისაც მოულოდნელი მიგნება იყო. საქმე ის გახლავთ, რომ სტამბაში ყოველი ფოტოსურათი განსაკუთრებულ ლითონის ფირფიტაზე იბეჭდება, მასალის დაბეჭდვის შემდეგ კი ეს გამოსახულებები სტამბის თანამშრომლებისათვის, უბრალოდ, ჯართია. სწორედ ამ გადასაყრელად განწირულ ფირფიტებს დაადეს ჩვენმა გმირებმა თავდაპირველი გამოსახულება, ფირი. "ექსპერიმენტის" შედეგი საზოგადოებამ გუშინ იხილა, და თუ დაინტერესდებით, "კოპალას" კარი ყოველი დამთვალიერებლისთვის ღიაა.

"ჯადო", "სხვა" და სხვა

თამარ მურვანიძე

რატომ გადაწყვიტა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ აკა მორჩილაძისა და ბესო ხვედელიძის წიგნების ერთობლივი პრეზენტაციის გამართვა? გამომცემლობის დირექტორის, ბაკურ სულაკაურის თქმით, მიზეზი რამდენიმეა: ეს მწერლები, სრულიად განსხვავებული სტილისტიკის მიუხედავად, რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს: "გიო ახვლედიანი და ბესო ხვედელიძე ორი ყველაზე კარგი ახალგაზრდა მწერალია საქართველოში, ორივე გვიყვება ამბებს, ორივე წერს დახვეწილი ენით, და ორივე ძალიან პროდუქტიულია".

აკა მორჩილაძის "სხვა" და **ბესო ხვედელიძის "ჯადო"** გამომცემლობამ მკითხველს გუშინ კლუბ "სარდაფში" წარუდგინა.

"სხვა" პატარა დეტექტიური რომანია, რომელიც მწერალმა სულ რაღაც ორ კვირაში დაწერა ზაფხულში, რომანმა სათაური რამდენჯერმე შეიცვალა: "ხომ იცით, როგორც ხდება, ჯერ არ იცი, რა დაარქვა, მერე რაც დაარქვი, ის აღარ მოგეწონება, - გვეუბნება გიო ახვლედიანი.

რომანს ერქვა "დავიდარაბა", "დონ ჟუანი", ბოლოს მწერალმაც და გამომცემელმაც არჩევანი "სხვაზე" შეაჩერეს, გიო ახვლედიანი ამას მარტივად ხსნის: "ეს იმიტომ, რომ ეს უფრო სხვაა, ეს დონ ჟუანი არ არის." და ეს არც აკა მორჩილაძეა, რადგან ახალი რომანი მან სხვანაირად დაწერა, ცოტა სხვანაირი გრამატიკით და სხვანაირი დიალოგებით, ესეც ერთერთი მიზეზია იმისა, რომ ნაწარმოებს საბოლოოდ ეს სახელი დაერქვა. თავდაპირველად მწერალი ფიქრობდა, "სხვა" ახალი ფსევდონიმით გამოექვეყნებინა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მკითხველი მასში გიო ახვლედიანს ვერ ამოიცნობდა და ისევ თავის ფსევდონიმს მიუბრუნდა.

"ამ რომანით არაფერს ვამბობ, მე ამბის მოყოლა მიყვარს, ჩვეულებრივი ამბავია, ცოტა სიყვარული, ორჯერ მეტი სიძულვილი და ბოლოს ერთი ტყვია, ეგ არ და ეგა," – ამბობს მწერალი, რომელსაც ლაპარაკი ნაკლებად უყვარს და ლაპარაკს წერას ამჯობინებს.

საუბრის დროს მრავალსიტყვაობით ბესო ხვედელიძეც არ გამოირჩევა (კაცმა რომ თქვას, ეს ორი მწერალი ამითაც ჰგავს ერთმანეთს), მისი კრებული ცხრა მოთხრობისგან შედგება. ეს მოთხრობები ბოლო ოთხი წლის განმავლობაშია დაწერილი და გამოქვეყნებული სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებში: "ალტერნატივაში", "არილში"... გამომცემლობამ ბესო ხვედელიძის 24 მოთხრობიდან 9 საუკეთესო მოთხრობა შეარჩია, რათა მკითხველისთვის მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნა ახალგაზრდა მწერალზე. მოთხრობები ქრონოლოგიურადაა დალაგებული, ოღონდ უკუღმა: ახალი მოთხრობებით იწყება და ძველით მთავრდება.

"კრებულისთვის "ჯადო" ტყუილად არ დაგვირქმევია. ეს ერთ-ერთი საკვანძო მოთხრობის სახელია, თანაც ეს სახელი რაღაცნაირად ყველა მოთხრობას შეეფერება, ყველა მათგანში არის რაღაც ჯადოსნური, აქ ნაამბობს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ შეხვდებით, - ამბობს ბესო ხვედელიძე. ბესო ახლა რომანს წერს, თუ ყველაფერი კარგად იქნება, როგორც თვითონ ამბობს, წერას იანვრის ბოლოსთვის დაასრულებს. რომანის სამუშაო სათაურია "ლბილი სევდის დედა" – ლსდ.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ახალ პროექტს ახალ წლამდე, 26 დეკემბერს ვიხილავთ. ეს გამომცემლობის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იქნება. ბაკურ სულაკაური მასზე დიდ იმედებს ამყარებს - ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ბიბლიოთეკას "ჰარი პოტერი" შეემატება.

P.S. სანამ აკა მორჩილაძისა და ბესო ხვედელიძის წიგნებს შეიძენდეთ, ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერს გადახედეთ, "დედაქალაქის" ჩანართში აკა მორჩილაძის ახალი რომანის ნაწყვეტი დაიბეჭდება.

კალენდარი

6 დეკემბერი

50-60-იან წლებში მსოფლიო ჯაზის ბუმმა მოიცვა. შეიძლება ითქვას, რომ ჯაზის მოსმენა, ჯაზის სიყვარული მსმენელს ამერიკელმა პიანისტმა და კომპოზიტორმა დეივ ბრუბეკმა ასწავლა. 1951 წელს დეივ ბრუბეკი, საქსოფონისტი პოლ დესმონდი, ჯო დოჯი (დასარტყამი) და ბობ ბეიტსი (ბასი) შეიკრიბნენ და ჯგუფი შექმნეს. ბრუბეკის კვარტეტი ახალი სიტყვა იყო მუსიკაში, სიტყვა, რომელიც საზოგადოებამ მაშინვე აიტაცა – ეს იყო ე.წ. "ქულ ჯაზის" განუყოფელი ნაწილი. მან შექმნა უამრავი მუსიკალური ნაწარმოები, მათ შორის - ორი ბალეტი, მიუზიკლი, ოთხი კანტატა და, რა თქმა უნდა, ჯაზური კომპოზიციები ფორტეპიანოსათვის. ბრუბეკ-დეზმონდის კვარტეტმა 17 წელი იარსება, ჯგუფმა შექმნა მსოფლიოში პირველი ცნობილი ჯაზის თემა Take Five, რომელმაც მას შემდეგ არაერთხელ გაიჟღერა. არანაკლებ ცნობილი გახდა კვარტეტის სინგლი Blue Rondo a la Turk.

კვარტეტის დაარსებიდან სამი წლის შემდეგ, 1954 წელს ბრუბეკის ფოტო ჟურნალ "ტაიმის" გარეკანზე დაიბეჭდა. ჯაზმენის მოხვედრა ამ ჟურნალის გარეკანზე პირველი შემთხვევა იყო ჯაზის ისტორიაში. "ტაიმ მეგეზინმა" ბრუბეკი "ამერიკული ჯაზის ახალი ეპოქის" ლიდერად მონათლა. მუსიკალურ გამოკითხვებში ბრუბეკის კვარტეტს წლების განმავლობაში პირველი ადგილი ეკავა.

კვარტეტის დაარსებიდან ათი წლის თავზე ჟურნალმა "ნიუ იორკერმა" ის ყველაზე მაღალანაზღაურებად და ყველაზე პოპულარულ ჯგუფად დაასახელა. 1967 წელს ბრუბეკმა კვარტეტი მიატოვა და მთელ დროს მუსიკის შეთხზვას უთმობდა.

დღეს **დეივ ბრუბეკს** 82 წელი შეუსრულდა. ბრუბეკი 1920 წლის 6 დეკემბერს დაიბადა კონკორდში, კალიფორნიაში.

ეროვნული სიმბოლიკა კონკურსით შეირჩევა

მანამდე კი ორი კომისია უნდა გაერთიანდეს

მერიის შენობაზე აფრიალებულმა ახალმა, ე.წ. ხუთჯვრიანმა დროშამ სახელმწიფო ჰერალდიკის პრობლემის გადაწყვეტა დააჩქარა. გუშინ კულტურის სამინისტროში საკითხის მოგვარება კიდევ ერთხელ სცადეს. კულტურის საბჭოს კოლეგიის სხდომა კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. სახელმწიფო სიმბოლიკის საბოლოო ბედს, სავარაუდოდ, გაერთიანებული საგანგებო კომისია გადაწყვეტს.

სესილი გოგიბერიძე, მარიკა ლორთქიფანიძე და გურამ შარაძე

ვერა ნეფარიძე

სესილი გოგიბერიძემ, პრეზიდენტისგან მიღებული ძველი დავალების შესასრულებლად, კულტურის საბჭოს კოლეგიის წევრების გარდა, სამინისტროში კიდევ რამდენიმე ისტორიკოსი და ხელოვანი მიიწვია. საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ადამიანებმა გუშინ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე ისაუბრეს, რაც, ძირითადად, არსებულის აუცილებლად შეცვლის მტკიცებით გამოიხატა. სხდომის, თითქმის, ყველა მონაწილე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მერიის შენობის თავზე ახლახან აფრიალებული ე.წ. "ხუთჯვრიანი" დროშის გამო. როგორც ცნობილია, დროშის ამ ვარიანტს ლობირებს საპარლამენტო კომისია ელდარ შენგელაიას თავმჯდომარეობით, რომელიც ასევე ეროვნული სიმბოლიკის შეცვლაზე მუშაობს.

ეროვნულ სიმბოლიკაზე სამუშაოდ, საპარლამენტოს გარდა, საპრეზიდენტო კომისიაცაა შექმნილი, რომელსაც თავად პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. ადრე მისი მოადგილე ვალერი ასათიანი იყო, ახლა ამ თანამდებობის მემკვიდრე სესილი გოგიბერიძე გახდა. მინისტრის თქმით, პრეზიდენტმა რამდენჯერმე შეახსენა მას პასუხისმგებლობა ეროვნული სიმბოლოების შეცვლასთან დაკავშირებით. საბოლოოდ გოგიბერიძემ კოლეგიის სხდომა გადაწყვიტა, რომელიც სახელმწიფო კომისიას საკუთარ წინადადებებს მოუმზადებს.

"მსჯელობას ვიწყებთ სუფთა ფურცლიდან. გავარკვიოთ ახლა, გვინდა თუ არა არსებული სიმბოლიკის შეცვლა და საერთოდ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?" - მიმართა სხდომის დასაწყისში მონაწილეებს სესილი გოგიბერიძემ. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სიმბოლიკის შეცლასთან დაკავშირებით მონაწილეებს ორი აზრი არ ჰქონიათ. ყველაზე სასწრაფოდ დროშის საკითხის გადაწყვეტა მიიჩნიეს. არსებულის შეცვლის აუცილებლობას ყველა მონაწილე თავისებურად ხსნიდა. მხატვარი თემურ გოცაძის აზრით, ის ვერ იქნება თანამედროვე საქართველოს სიმბოლო, რადგანაც ის თავის დროზე საქართველოს ავტონომიურ სტატუსს გამოხატავდა. სხვები, ძირითადად, დროშის მიმართ პირადი ანტიპათიის გამჟღავნებით შემოიფარგლნენ. "ახლანდელი დროშა არ მომწონს, მაგრამ მის უკან იმდენი რამ დგას, ჩემი აზრით, ამ საკითხის ერთი ხელის დაკვრით მოგვარება არ შეიძლება. დროშაზე ქვეყნის ისტორია არ უნდა ეხატოს, " - თქვა ისტორიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ და დაამატა, რომ ისიც კონკურსის გამოცხადების მომხრეა.

მარიკა ლორთქიფანიძე, გურამ შარაძესთან ერთად (მათ აზრს ეთანხმებოდა მწერალი დათო ტურაშვილიც, რომელმაც სხდომის წევრებს დროშის საკუთარი ვარიანტი აჩვენა), ამტკიცებდა, რომ ე.წ. ხუთჯვრიანი დროშა ისტორიულად საქართველოსი არასდროს ყოფილა. თუმცა, არის ისტორიკოსების გარკვეული ჯგუფი, რომელიც მათ აზრს არ იზიარებს. როგორც სხდომაზე თქვეს, აღნიშნული ხუთჯვრიანი დროშა ისტორიულად კათოლიკე მისიონერების, ახლა კი - ფრანცისკანელების კუთვნილებაა. "უფრო მეტიც, სწორედ ამ დროშით გაწყვიტეს ჯვაროსნებმა მართლმადიდებლები", - დაამატა დათო ტურაშვილმა. გურამ შარაძისთვის არც გუშინდელი სხდომა იყო გამონაკლისი და საზოგადოებამ რამდენჯერმე მოისმინა მისი საკმაოდ ემოციური გამოსვლა. მისი თქმით, გარკვეულმა ჯგუფმა პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად გადაიბირა სა-პატრიარქოს წმიდა სინოდი და აცხადებენ, რომ ეს დროშა პატრიარქმაც აკურთხა. საპატრიარქოს პოზიცია პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ გაგვაცნო: "დროშის შეცვლამ მღელვარება არ უნდა გამოიწვიოს. ჩვენთვის მთავარია ქართულ დროშაზე გამოსახული იყოს ჯვრის სიმბოლიკა. მანამდე საპატრიარქომ საკუთარი ვარიანტი (თეთრ ფონზე შინდისფერი, ლურჯხაზებიანი ჯვარი, შუაში ბორჯღალით) შესთავაზა საპარლამენტო კომისიას, საიდანაც გვიპასუხეს, - სჯობს, ძველი დროშა აღვადგინოთო. რაც შეეხება ე.წ. ხუთჯვრიან დროშას, ისტორიკოსების აზრი იყოფა. მაგალითად, დავით მუსხელიშვილი მას საქართველოს ისტორიულ დროშად მიიჩნევს". დეკანოზი დავითის თქმით, ეს დროშა კათოლიკე მისიონერების სიმბოლოსგან განსხვავებულია. სხდომაზე გურამ შარაძემ რამდენიმე წლის წინათ აკაკი ბაქრაძის პუბლიკაციაც გაიხსენა, სადაც ავტორი ამ დროშის არაქართულ წარმომავლობაზე წერდა. "იქნებ მივუჩინოთ ისტორიულ დროშას ისტორიული ადგილი. სიფრთხილის გამო, შესაძლოა, უარყოფითი შედეგი მივიღოთ", - კონკურსის ჩატარებას მიემხრო მხატვართა კავშირის ახალარჩეული თავმჯდომარე, გია ჯანბერიძე. დათო ტურაშვილმა საზოგადოებას დროშის საკუთარი ვარიანტი აჩვენა. საქართველოს დროშა ამ სახით მას სამი წლის წინათ სიზმარში უნახავს. ექსპერიმენტის სახით, მას ეს დროშა სტადიონზე ერთ-ერთი მატჩის დროს აუფრიალებია და, მისივე თქმით, დროშას ხალხის სიმპათიაც დაუმსახურებია. დროშის ტურაშვილისეულმა ვარიანტმა გუშინდელ შეხვედრაზეც დაიმსახურა მოწონება, თუმცა მარიკა ლორთქიფანიძის თქმის არ იყოს, ეროვნული სიმბოლიკის შერჩევა მთლად ასე იოლიც არ არის.

გუშინ ყველაზე ერთსულოვანნი მაინც ეროვნულ ჰიმნთან დაკავშირებით იყვნენ. "ჰიმნი პირდაპირ აღებულია ჰაიდნის მუსიკიდან. რატომ უნდა გამოვიყურებოდეთ პლაგიატებად. ტექსტი უხეიროა, ფორმა – ამორფული, თანაც ქართველი ხალხის მეხსიერებაში ვერ დამკვიდრდა", - მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელს სხდომაზე, თითქმის, ყველა დაეთანხმა. რაც შეეხება გერბს, შეთანხმდნენ, 1918-21 წლების ეს სიმბოლო, რომელიც რუსმა მხატვარმა იოსებ შარლემანმა შექმნა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ მასზე მუშაობას გაცილებით დიდი დრო სჭირდება.

კონკრეტული გადაწყვეტილება სხდომაზე არ მიუღიათ. ამჯერად მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს ორი კომისიის (საპარლამენტო და საპრეზიდენტო) გაერთიანება.

ხალხმრავლობა ცისფერ გალერეაში

თამარ სუხიშვილი

ქალბატონო მანანა, გთხოვთ ცენტრისკენ – მიკროფონს ასწორებს მხატვარი თემო გოცაძე.

ქალბატონო მანანა, გთხოვთ დაიცენტროთ – პერიფრაზს უკეთებს გოცაძის ნათქვამს მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.

ქალბატონი მანანა არ ჩანს.

სად გაიქცევა – ხუმრობს გოცაძე.

არ გაიქცეს, კარი ჩაკეტეთ – აგრძელებს მირზაშვილი.

როგორც იქნა, ქალბატონი მანანაც გამოჩნდება და გამოფენას ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადებენ.

გუშინ ცისფერ გალერეაში ბატონ თენგიზ მირზაშვილისა და მისი მეუღლის, ქალბატონ მანანა თავაძის ნამუშევრები გამოიფინა. ეს გამოფენა თბილისის საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილ ექსპოზიციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ბატონი თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებას ჩვენში ყველა იცნობს, მისი ნახატები ქართველი დამთვალიერებლისთვის ძალიან ახლობელია, ამას გალერეაში გუშინდელი ხალხმრავლობაც მოწმობდა.

რაც შეეხება მანანა თავაძის ნამუშევრებს, როგორც ხელოვნებათმცოდნეებმა აღნიშნეს, ეს ნამდვილი აღმოჩენაა, გემოვნებიანი, პოეტური, ტონალური ფერწერის დახვეწილი აღქმით... ეს სურათები მხოლოდ დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებს არ წარმოადგენს, ხალხურ ტრადიციებზე დაყრდნობით ქალბატონმა მანანამ სრულიად ახალი ჟანრი შექმნა.

მანანა თავაძე სპეციალობით არქიტექტორია, დიდი ხანია არქიტექტორობას თავი მიანება და ქსოვილზე მუშაობს: "ნაჭრისგან შესრულებული ბევრი ხალხური ნიმუში მინახავს, ყოველთვის მინდოდა ასეთი აპლიკაციები გამეკეთებინა, - ამბობს მხატვარი, - რასაც ვაკეთებ, გატაცებით ვაკეთებ, დანარჩენი მნახველმა უნდა შეაფასოს."

მნახველებს ქსოვილზე ნამუშევრები ისე მოეწონათ, რომ... მანანა თავაძის კოლექციამ თენგიზ მირზაშვილის კოლექციაზე მეტი ყურადღებაც კი მიიპყრო. "მეწყინა," – იცინის ბატონი თენგიზი.

მანანა თავაძე და თენგიზ მირზაშვილი

ცისფერ გალერეაში წარმოდგენილი კოლექცია ნებისმიერი გალერეისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა. გამოფენა 15 დეკემბრამდე გასტანს.

ალექსანდრე დიუმა – ჩვენი ბავშვობა

352 ტომი, 37 ათასი პერსონაჟი და 300-მდე საყვარელი

კავკასიაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ალექსანდრე დიუმა მარსელში ჩოხაში გამოწყობილი უნახავთ, სწორედ ასე ჩაცმულს გადაუღია მას მოგვიანებით პარიზში ცნობილი ფოტო. საბჭოთა პერიოდში კი ცნობილმა ქართველმა გრაფიკოსმა, მამია მალაზონიას ამ ფოტოსაგან პლაკატი შექმნა წარწერით - "ჩამოდით საქართველოში". ეს პლაკატი მაშინ მოქმედ, თითქმის, ყველა ინტურისტის ფოიეს ამშვენებდა.

თეონა ჯაფარიძე

30 ნოემბერს პარიზი დიდი მოვლენის მომსწრე გახდა - ალექსანდრე დიუმას ფერფლი ასი წლის შემდეგ საფრანგეთის პატარა ქალაქ ვიე კოტერედან, პარიზის პანთეონის მოედანზე, წმინდა ჟენევიევას ტაძარში გადაასვენეს. გრანდიოზული ცერემონიალი ფრანგულმა ტელე-არხმა TV5-მა პირდაპირ ეთერში გადასცა. ამ მოვლენის საინტერესო დეტალებზე კი "24 სათს" უამბო ქართველმა მთარგმნელმა და დიუმას მკვლევარმა, გიორგი ეკიზაშვილმა, რომელიც, საფრანგეთის პრეზიდენტის მიწვევით, ცერემონიალს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რა თქმა უნდა, საქართველოში საფრანგეთის საელჩოც გამოეხმაურა. 5 დეკემბერს (დიუმას გრადაცვალების დღეს) კინო-თეატრ "ამირანში" საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა მირეი მიუსომ და კულტურის ატაშემ, ფრანსუა ლორანმა მიღება მოაწყვეს. ქართველ ფრანკოფილებს საშუალება მიეცათ, ფრანგულ ენაზე ენახათ დიუმას ცნობილი რომანის "დედოფალი მარგოს" ერთ-ერთი ბოლო, პატრიკ შეროს მიერ შექმნილი კინო-ვერსია იზაბელ აჯანის მონაწილეობით. მიღებაზე ქალბატონმა მიუსომ ქართველ საზოგადოებას აუწყა, რომ პარიზული ცერემონიალი პატრიკ კაზალსკის მხატვრული ფილმის - "დიუმა საქართველოში" - ჩვენებით დაგვირგვინებულა.

ისევ პარიზიდან ახლად დაბრუნებული, საფრანგეთის აკადემიური "პალმის რტოს" ორდენის ოფიცრის მფლობელის, გიორგი ეკიზაშვილის ნაამბობს დავუბრუნდეთ: მთელ პარიზში გამოკრული აფიშები ხალხს მოუწოდებდნენ: "დიუმა პანთეონში. გააცილეთ ის წიგნით ხელში". 30 ნოემბერს პანთეონის მოედნის ახლომდებარე ქუჩები ხალხით გადაიჭედა. ყოველ იქ მისულს ხელში დიუმას რომელიმე წიგნი და ჩირაღდანი ეკავა. მანამდე დიდი მწერლის ფერფლი ჯერ პარიზთან ახლოს, სენ-ჟერმენ ან ლეში - ერთ დროს დიუმას კუთვნილ ციხე-დარბაზში დაუსვენებიათ, იქიდან კი მდინარე სენით უკვე პარიზის ცენტრში ჩამოაბრძანეს და დაასვენეს სენატის შენობაში, სადაც დიუმა, თურმე, ორჯერ იყრიდა კენჭს და ორჯერვე - უშედეგოდ. ამის შემდეგ ცერემონია სენ-მიშელის ბულვარიდან, "სუფლოს" ვიწრო ქუჩით, დიუმას მიერ აღწერილი ეპოქების ამსახავ კოსტიუმებში გამოწყობილი "ბრბოს" თანხლებით, პანთეონის მოედანს მიუახლოვდა. მოედნის სამხრეთ ტრიბუნა მთავრობის წევრებს ეკავათ, ჩრდილოეთ ტრიბუნა კი – მიწვეულ სტუმრებს ჰქონდათ დათმობილი. "მეამაყება, რომ იმ წუთებში საქართველოს წარმოვადგენდი", - იხსენებს ბატონი გიორგი ეკიზაშვილი. საფრანგეთის პრეზიდენტს, ბატონ ჟაკ შირაკს თავისი ერთსაათიანი სიტყვა ასე დაუწყია, - "ალექსანდრე დიუმა ჩვენი ბავშვობაა".

დიუმას ცნობილი ფოტო

წმინდა ჟენევიევას ტაძრამდე დიდი მწერალი შავ ცხენებზე ამხედრებულ ოთხ მუშკეტერსა და შავკანიან მხედარ ქალს მიუცილებიათ. ალექსანდრე დიუმას ახალ განსასვენებელს სამი მეტრი აშორებს მისი დიდი მეგობრის, მეორე დიდი ფრანგის, ვიქტორ ჰიუგოს საფლავთან.

როგორც გაირკვა, ფრანგები და დიუმას მკვლევარები დიდი ინტერესით ეკიდებიან დიუმას ცხოვრების იმ ეპიზოდს, როდესაც დიდმა მწერალმა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში იმოგზაურა. პარიზიდან დაბრუნებულმა ბატონმა გიორგიმ ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც ჩამოიტანა: ახლახან დიუმას კიდევ ორი, აქამდე უცნობი ხელნაწერი აღმოჩენილა, რომელიც ასე თარიღდება: "ტიფლისი, 19 დეკემბერი, 1858 წელი". ორივე ხელნაწერი უკვე გამოიცა ფრანგულად, როგორც დიუმას კავკასიური პერიოდის რომანები. ბატონი გიორგი მათი ქართულად თარგმანის ორგანიზებას გვპირდება.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, როგორშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სპეციალური კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, როგელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, როგელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

Программа передач 9.12

ТВ3

06.00 Мультфильмы 08.20 - 09.40 Сказка о Золотом петушке 09.40 - 10.00 Музыкальная программа 10.00 - 10.40 Приключения Электроника 10.40 - 11.05 Новости 11.05 - 11.45 Сам себе режиссер 11.45 - 12.00 Мультфильмы 12.00 - 12.20 Сказка о Золотом петушке 12.20 - 12.40 Приключения Электроника 12.40 - 13.05 Сам себе режиссер 13.05 - 13.30 Мультфильмы 13.30 - 14.00 Сказка о Золотом петушке 14.00 - 14.25 Сам себе режиссер 14.25 - 14.45 Приключения Электроника 14.45 - 15.10 Мультфильмы 15.10 - 15.40 Сказка о Золотом петушке 15.40 - 16.00 Сам себе режиссер 16.00 - 16.20 Приключения Электроника 16.20 - 16.40 Мультфильмы 16.40 - 17.05 Сказка о Золотом петушке 17.05 - 17.30 Сам себе режиссер 17.30 - 17.50 Приключения Электроника 17.50 - 18.10 Мультфильмы 18.10 - 18.30 Сказка о Золотом петушке 18.30 - 18.45 Сам себе режиссер 18.45 - 19.05 Приключения Электроника 19.05 - 19.30 Мультфильмы 19.30 - 19.50 Сказка о Золотом петушке 19.50 - 20.05 Сам себе режиссер 20.05 - 20.30 Приключения Электроника 20.30 - 20.50 Мультфильмы 20.50 - 21.10 Сказка о Золотом петушке 21.10 - 21.30 Сам себе режиссер 21.30 - 21.50 Приключения Электроника 21.50 - 22.10 Мультфильмы 22.10 - 22.30 Сказка о Золотом петушке 22.30 - 22.55 Сам себе режиссер 22.55 - 23.15 Приключения Электроника 23.15 - 23.40 Мультфильмы 23.40 - 00.00 Сказка о Золотом петушке

ТВС

06.00 Мультфильмы 08.20 - 08.40 Сказка о Золотом петушке 08.40 - 09.00 Приключения Электроника 09.00 - 09.20 Мультфильмы 09.20 - 09.40 Сам себе режиссер 09.40 - 10.00 Сказка о Золотом петушке 10.00 - 10.20 Приключения Электроника 10.20 - 10.40 Мультфильмы 10.40 - 11.05 Сказка о Золотом петушке 11.05 - 11.25 Сам себе режиссер 11.25 - 11.45 Приключения Электроника 11.45 - 12.00 Мультфильмы 12.00 - 12.20 Сказка о Золотом петушке 12.20 - 12.40 Сам себе режиссер 12.40 - 13.05 Приключения Электроника 13.05 - 13.30 Мультфильмы 13.30 - 13.50 Сказка о Золотом петушке 13.50 - 14.10 Сам себе режиссер 14.10 - 14.35 Приключения Электроника 14.35 - 14.55 Мультфильмы 14.55 - 15.15 Сказка о Золотом петушке 15.15 - 15.40 Сам себе режиссер 15.40 - 16.00 Приключения Электроника 16.00 - 16.20 Мультфильмы 16.20 - 16.40 Сказка о Золотом петушке 16.40 - 17.05 Сам себе режиссер 17.05 - 17.30 Приключения Электроника 17.30 - 17.50 Мультфильмы 17.50 - 18.10 Сказка о Золотом петушке 18.10 - 18.30 Сам себе режиссер 18.30 - 18.45 Приключения Электроника 18.45 - 19.05 Мультфильмы 19.05 - 19.30 Сказка о Золотом петушке 19.30 - 19.50 Сам себе режиссер 19.50 - 20.05 Приключения Электроника 20.05 - 20.30 Мультфильмы 20.30 - 20.50 Сказка о Золотом петушке 20.50 - 21.10 Сам себе режиссер 21.10 - 21.30 Приключения Электроника 21.30 - 21.50 Мультфильмы 21.50 - 22.10 Сказка о Золотом петушке 22.10 - 22.30 Сам себе режиссер 22.30 - 22.55 Приключения Электроника 22.55 - 23.15 Мультфильмы 23.15 - 23.40 Сказка о Золотом петушке 23.40 - 00.00 Сам себе режиссер

ТВ1

06.00 -Мультфильмы 08.20 - 08.40 Для детей 08.40 - 09.00 Приключения Электроника 09.00 - 09.20 Мультфильмы 09.20 - 09.40 Сказка о Золотом петушке 09.40 - 10.00 Сам себе режиссер 10.00 - 10.20 Для детей 10.20 - 10.40 Приключения Электроника 10.40 - 11.05 Мультфильмы 11.05 - 11.25 Сказка о Золотом петушке 11.25 - 11.45 Сам себе режиссер 11.45 - 12.00 Для детей 12.00 - 12.20 Приключения Электроника 12.20 - 12.40 Мультфильмы 12.40 - 13.05 Сказка о Золотом петушке 13.05 - 13.25 Сам себе режиссер 13.25 - 13.45 Для детей 13.45 - 14.05 Приключения Электроника 14.05 - 14.30 Мультфильмы 14.30 - 14.50 Сказка о Золотом петушке 14.50 - 15.10 Сам себе режиссер 15.10 - 15.30 Для детей 15.30 - 15.50 Приключения Электроника 15.50 - 16.10 Мультфильмы 16.10 - 16.30 Сказка о Золотом петушке 16.30 - 16.45 Сам себе режиссер 16.45 - 17.05 Для детей 17.05 - 17.25 Приключения Электроника 17.25 - 17.40 Мультфильмы 17.40 - 18.00 Сказка о Золотом петушке 18.00 - 18.20 Сам себе режиссер 18.20 - 18.40 Для детей 18.40 - 19.00 Приключения Электроника 19.00 - 19.20 Мультфильмы 19.20 - 19.40 Сказка о Золотом петушке 19.40 - 20.05 Сам себе режиссер 20.05 - 20.30 Для детей 20.30 - 20.50 Приключения Электроника 20.50 - 21.10 Мультфильмы 21.10 - 21.30 Сказка о Золотом петушке 21.30 - 21.55 Сам себе режиссер 21.55 - 22.15 Для детей 22.15 - 22.40 Приключения Электроника 22.40 - 23.00 Мультфильмы 23.00 - 23.20 Сказка о Золотом петушке 23.20 - 23.40 Сам себе режиссер 23.40 - 00.00 Для детей

ТВ2

06.00 -Мультфильмы 08.20 - 08.40 Для детей 08.40 - 09.00 Приключения Электроника 09.00 - 09.20 Мультфильмы 09.20 - 09.40 Сказка о Золотом петушке 09.40 - 10.00 Сам себе режиссер 10.00 - 10.20 Для детей 10.20 - 10.40 Приключения Электроника 10.40 - 11.05 Мультфильмы 11.05 - 11.25 Сказка о Золотом петушке 11.25 - 11.45 Сам себе режиссер 11.45 - 12.00 Для детей 12.00 - 12.20 Приключения Электроника 12.20 - 12.40 Мультфильмы 12.40 - 13.05 Сказка о Золотом петушке 13.05 - 13.25 Сам себе режиссер 13.25 - 13.45 Для детей 13.45 - 14.05 Приключения Электроника 14.05 - 14.30 Мультфильмы 14.30 - 14.50 Сказка о Золотом петушке 14.50 - 15.10 Сам себе режиссер 15.10 - 15.30 Для детей 15.30 - 15.50 Приключения Электроника 15.50 - 16.10 Мультфильмы 16.10 - 16.30 Сказка о Золотом петушке 16.30 - 16.45 Сам себе режиссер 16.45 - 17.05 Для детей 17.05 - 17.25 Приключения Электроника 17.25 - 17.40 Мультфильмы 17.40 - 18.00 Сказка о Золотом петушке 18.00 - 18.20 Сам себе режиссер 18.20 - 18.40 Для детей 18.40 - 19.00 Приключения Электроника 19.00 - 19.20 Мультфильмы 19.20 - 19.40 Сказка о Золотом петушке 19.40 - 20.05 Сам себе режиссер 20.05 - 20.30 Для детей 20.30 - 20.50 Приключения Электроника 20.50 - 21.10 Мультфильмы 21.10 - 21.30 Сказка о Золотом петушке 21.30 - 21.55 Сам себе режиссер 21.55 - 22.15 Для детей 22.15 - 22.40 Приключения Электроника 22.40 - 23.00 Мультфильмы 23.00 - 23.20 Сказка о Золотом петушке 23.20 - 23.40 Сам себе режиссер 23.40 - 00.00 Для детей

Расписание матчей

ТВ1

07.00, 08.00, 09.00, 09.30 Мультфильмы 09.40 Сказка о Золотом петушке 10.00 Новости 10.15 Сериал "Семейные узы" 11.05 Вечерняя мафия 11.50 "Евразия" 12.05, 16.15, 01.10 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Лошадь в космосе" 13.15 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 15.10 Телекинез "Новый день". "Гонка" 16.45 "Евразия" 17.00 "Фабрика звезд" 17.30 "Звездный час" 18.00 "Большая стирка" 19.00 Сериал "Семейные узы" 19.55 "Шуры за шуткой" 20.00 Новости 20.15 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 21.55 "Евразия" 22.00 Сериал "Семейные узы" 22.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 23.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВС

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечная мафия "Бизнес. Деловой простой ресторан" 11.50 "Евразия" 12.05, 16.15, 01.10 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Лошадь в космосе" 13.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 15.10 Телекинез "Новый день". "Гонка" 16.45 "Евразия" 17.00 "Фабрика звезд" 17.30 "Звездный час" 18.00 "Большая стирка" 19.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 19.55 "Шуры за шуткой" 20.00 Новости 20.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 21.55 "Евразия" 22.00 Сериал "Семейные узы" 22.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 23.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВ2

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечная мафия "Бизнес. Деловой простой ресторан" 11.50 "Евразия" 12.05, 16.15, 01.10 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Лошадь в космосе" 13.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 15.10 Телекинез "Новый день". "Гонка" 16.45 "Евразия" 17.00 "Фабрика звезд" 17.30 "Звездный час" 18.00 "Большая стирка" 19.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 19.55 "Шуры за шуткой" 20.00 Новости 20.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 21.55 "Евразия" 22.00 Сериал "Семейные узы" 22.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 23.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

Расписание матчей 10.12

ТВ1

07.00, 08.00, 09.00, 09.30 Мультфильмы 09.40 Сказка о Золотом петушке 10.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВС

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечная мафия "Бизнес. Деловой простой ресторан" 11.50 "Евразия" 12.05, 16.15, 01.10 "Фабрика звезд" 12.35 Дисней-клуб: "Лошадь в космосе" 13.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 15.10 Телекинез "Новый день". "Гонка" 16.45 "Евразия" 17.00 "Фабрика звезд" 17.30 "Звездный час" 18.00 "Большая стирка" 19.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 19.55 "Шуры за шуткой" 20.00 Новости 20.15 Художественный фильм "ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД" 21.55 "Евразия" 22.00 Сериал "Семейные узы" 22.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 23.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВ2

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечная мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

Расписание матчей 11.12

ТВ1

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВС

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВ2

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

Расписание матчей 12.12

ТВ1

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВС

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

ТВ2

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.05 Вечерняя мафия "Пирогов адвокату". 12.10, 16.15, 00.30 "Фабрика звезд" 12.40 Спецотряд ведет колобка 13.15 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ" 15.00 "Путешествия натуралиста" 15.30 "Большие родители". В. Чкалов 16.40 "Евразия" 16.55 Животные - нарушители. 18.00 "Большая стирка" 19.25 "Сергей Сунчозе. Год после жизни" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 "Звездный час" 23.10 "Поселений евро 2". "Шоу" 22.00. 01.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 01.45 "Евразия" 02.00 Сериал "Семейные узы" 02.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе" 03.30 Художественный фильм "Одиннадцать на Дуврской" 05.00 Телекинез "Новый день". "Гонка" 05.45 "Евразия" 06.00 Сериал "Семейные узы" 06.45 Дисней-клуб "Лошадь в космосе"

"Мужчина с розой"

Stephen King's Rose Red (2002 г.)

00 ч. 05 б.

Автор романов ужасов, нагоняющих страх на читателя, пишет и сценарии. Но, в отличие от большинства своих коллег, Кинг не ограничивается одним жанром. Вот и в новом фильме... Перед нами классическая история о привидениях, в которой, однако, есть и элементы триллера, и любовная линия, и даже немного черного юмора.

Режиссер: **Крейг Р. Баксли**

В ролях: **Кэтрин Хикс, Кевин Данн, Джулианна Маккарти, Мэттью Лиллард, Эмбер Бенсон, Кристофер Ллойд, Кэтрин Дент, Кэтрин Уокер, Кэтрин Хикс, Кевин Данн, Джулианна Маккарти, Мэттью Лиллард, Эмбер Бенсон, Кристофер Ллойд, Кэтрин Дент, Кэтрин Уокер**

13 февраля, среда, 15:00

"Мужчина с розой"

Stephen King's Rose Red (2002 г.)

00 ч. 05 б.

